ტერორიზმის ახალი ტალღა

A2

პრესომბუდსმენი

A3

ახალი კინო ძველი ეპოქის ეპიგრაფით

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 3 ივლისი, 2006 წელი. №146 (1298) ფასი 50 თეთრი

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

ამბები

„რუსეთი თამაშს აგებს"

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მთავრობის საგარეო ურთიერთობების, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე იური ძიცოითი პუტინ-სააკაშვილის შეხვედრაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მათი შეხვედრა აშშ-ს რუსეთზე ზეწოლის შედეგად მოხდა.

A2

სამართალი

მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტს

„საერთაშორისო ორგანიზაციებს მოვუწოდებთ, მიმართონ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რათა მან ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს პრეზიდენტზე საქართველოში არსებული ანტიდემოკრატიული რეჟიმის შეცვლისა და სინდისის პატიმრების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლებისთვის", - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	3/07	4/07
თბილისი	25	21
ბათუმი	22	22
სოხუმი	23	25
ქუთაისი	22	24
გორი	19	18
ონი	12	14
ზუგდიდი	23	25
ახმეტა	25	20
სამტრედია	23	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7720
ევრო	2.2520
ბირვანძა სტერლ.	3.2470
რუბლი	0.0658

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
ტენდერი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

სხვა რუსეთი

„ცუდი ფონი" სამიტის წინ

სოფო ბუკია

„დიდი რვიანის" თავმჯდომარე ქვეყანა, „დიდი რვიანის" სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ოპოზიციური თავყრილობის ჩაშლით იმუქრება. „ის, ვინც ოპოზიციური პარტიების კონფერენციაზე მივა, რუსეთის არაკეთილმოსურნეა," - „დიდი რვიანის" ქვეყნების წარმომადგენელთა მისამართით აკეთებს განცხადებას პუტინის თანაშემწე.

როგორც ჩანს, ამერიკული PR-კომპანია „Ketchum", რომელიც კრემლმა რამდენიმე თვის წინ დაიქირავა, სულ ტყუილად ირჯება. ამერიკელმა PR-ტექნოლოგებმა ერთი ძალზედ შარიან საქმეს მოჰკიდეს ხელი - „დიდი რვიანის" სამიტამდე მსოფლიოში არსებული რუსეთის ნეგატიური იმიჯი უნდა გაანეიტრალონ, რაც, ალბათ, PR-სპეციალისტების კი არა, ჯადოქრების სფეროა უფროა.

დაახლოებით იგივეს იტყვის რუსული ოპოზიცია, რომელიც 11-12 ივლისს, „დიდი რვიანის" სამიტამდე ერთი კვირით ადრე, სანკტ-პეტერბურგში კონფერენციას გამართავს, სახელწოდებით - „სხვა რუსეთი".

უფრო სწორად, ან გამართავს და ან არა. კრემლმა უკვე ღიად განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ოპოზიციის ეს თავყრილობა, რომელზეც უცხოელი სტუმრებიც არიან მიწვეულნი, ჩაიშალოს. პარასკევს, პრეზიდენტ პუტინის მრჩეველმა და სპეცწარმომადგენელმა „დიდი რვიანის" სამიტის მომზადების საკითხებში იგორ შუვალოვმა გაზეთ „Financial Times"-ის გერმანული ვერსიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამ კონფერენციასთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია განმარტა. მისი თქმით, „დიდი რვიანის" ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობას ოპოზიციურ კონფერენციაში რუსეთი შეაფასებს, როგორც არამეგობრულ ნაბიჯს.

იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის ორგანიზატორები კრემლის წინააღმდეგობას დაძლევენ და შეკრებას მაინც მოახერხებენ, ეს იქნება პირველი ყველაზე დიდი ოპოზიციური თავყრილობა პუტინის რუსეთის ისტორიაში -

გაგრძელება A3 გვერდზე

ჩემი წარმოება კოსმოსში დაფრინავს

სურსათის სექტორის ხელახალი ინსპექტირება იწყება

მიხო სვიმონიშვილი.

ზურაბ ცქიტიშვილი.

ხშირად, მოქმედი კანონმდებლობა ბიზნესმენს ერთს ეუბნება, მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები და დადგენილებები კი მეორეს. ამის შედეგად ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო უარესდება და მეწარმე მუდმივად საფრთხის მოლოდინშია. შესაძლებელია, მთავრობამ კანონის ასამოქმედებლად (რასაც ადმინისტარციული ღონისძიების გატარება ჰქვია), ისეთი წესები შეიმუშაოს, რომელიც საწარმოს საქმიანობის ხელშეწყობას კი არ ემსახურება, არამედ მის შეფერხებას. ასე მოხდა ბიზნესსექტორებისთვის ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის გამარტივების მიზნით ამოქმედებული ახალი კანონის შემთხვევაშიც.

მეზუნია ჩიტების გადაფრენა

იური ლომაძის ფოტო

ადამიანის უფლებები საქართველოში

აქტუალური თემა სააკაშვილი-ბუშის შეხვედრის წინ

საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრის წინ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch პრეზიდენტ ბუშს წერილით მიმართავს. მასში საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გაუარესებაზეა საუბარი. ორგანიზაციის წარმომადგენლები აშშ-ს პრეზიდენტს, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენისკენ მოუწოდებენ.

დიმიტრი ავალიანი

Human Rights Watch ადამიანის უფლებათა დარგში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომლის ცენტრალური ოფისი ვაშინგტონში მდებარეობს. ორგანიზაცია რეგულარულად იკვლევს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და იქ არსებულ ვითარებას ყოველწლიურ ანგარიშებში ასახავს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ორგანიზაცია ზეგავლენას ახდენს აშშ მთავრობაზე და ამა თუ იმ ქვეყნისათვის დახმარების შეწყვეტას ითხოვს.

„თქვენი ადმინისტრაცია საქართველოს ასახელებს, როგორც რეგიონში დემოკრატიული გარდაქმნების იმედისმომცემ მოდელს. მაგრამ, საქართველოს დემოკრატიული წარმატებები კვლავაც სუსტია და ჩვენ დღეს მნიშვნელოვანი უკუსვლის შემაშფოთებელ ნიშნებს ვხედავთ". ასე მიმართავენ ჯორჯ ბუშს წერილის ავტორები - Human Rights Watch ევროპისა და ცენტრალური აზიის სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორი ჰოლი კარტნერი და ორგანიზაციის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელი ტომ მალინოვსკი.

ისინი პრეზიდენტ ბუშს მოუწოდებენ 5 ივლისს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა გამოიყენოს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებოისათვის.

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გარკვეული პროგრესია მიღწეული, ამჟამად საქართველოს მთავრობა უარს ამბობს უწინდელ ღირებულებებზე", - ნათქვამია წერილში. მისი ავტორების აზრით. საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი ბოლოდროინდელი ქმედება წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან და **„ვარდების რევოლუციის ძირითად პრინციპებთან"**.

გაგრძელება A2 გვერდზე

აფხაზები რკინიგზის აღდგენას ეწინააღმდეგებიან

აფხაზეთის ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთის რკინიგზის სხვა სარკინიგზო სისტემის ნაწილად ცნობას დაუშვებლად მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით მათ სპეციალური განცხადება გაავრცელეს.

2006 წლის 19-20 იანვარს საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის რკინიგზის სამსახურების ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა ოქმს „ვესელოე-ინგირის მარშრუტით გამჭოლი მოძრაობის გახსნაზე საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის შესახებ". ოქმში შესულია აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის ხელმძღვანელობისადმი მიმართვა, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზური მხარის მიერ საერთაშორისო კონსორციუმის მხარდაჭერასა და სამუშაო ჯგუფში აფხაზეთის წარმომადგენლების შეყვანას.

აფხაზური ორგანიზაციების განცხადებით, აფხაზი ხალხის კუთვნილი რკინიგზის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის განმახორციელებელი სტრუქტურა აფხაზური მხარის მონაწილეობის გარეშე შეიქმნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

პოლიციელები და დანაშაული

არასამთავრობო როგანიზაციების თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან ბოლო პერიოდში ხშირად გაისმის პრეტენზიები პოლიციელეთაგან ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე. სამართალდამცველი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა, საპასუხოდ, მოამზადეს სტატისტიკა, რომელიც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საკუთარი კოლეგების დასჯის საგრძნობლად გაზრდილ რაოდენობას ასახავს.

თამარ კაციტაძე

საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში გადაგზავლ საქმეებს თუ თვალს გადავავლებთ, აშკარაა, რომ პოლიციელებს ბოლო პერიოდში მართლაც ხშირად უწევთ ჩადენილი დანაშაულისთვის მართლამსაჯულების წინაშე თავის მართლება. თუმცა, ათეულობით განსახილველ საქმეში, რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, სამართალდამცველების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევების თუ ცემა-ნამების ფაქტებს ნამდვილად ძნელად იპოვით.

„24 საათი" გთავაზობთ საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში განსახილველად გადაგზავნილ რამდენიმე ფაქტს, რითაც შეიძლება სრული სურათი შეიქმნას, თუ რა სახის დანაშაულებისთვის სამართლდებიან კანონდამრღვევი სამართალდამცველები.

თბილისის პროკურატურამ ცოტა ხნის წინ დაასრულა გამოძიება და სასამართლოში შემდგომი განხილვისათვის გადაგზავნა ისანი-სამგორის შს სამმართველოს პირველი განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის დავით გორგაძის საქმე, რომელიც მძიმე დანაშაულში - კერძოდ, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობაშია ბრალდებული.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, პოლიციელი გორგაძე გასული წლის 23 ივნისში მეგობრის ავტომობილით გლდანის მიმართულებით მიდიოდა, როდესაც ქუჩაში სამი ახალგაზრდა დაინახა. გორგაძის საბრალდებო დასკვნაში არაფერია ნათქვამი, რომ მეგობრების მხრიდან რამე დანაშაულს ან, თუნდაც, წესრიგს დარღვევას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამართალდამცველი გორგაძე მაქანიდან გადმოვიდა და გინებით წავიდა შეკრებილებისკენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი იყვნენ ლევან თევზაძე, ელგუჯა ნუცუბიძე და ლაშა დვალიშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

აფხაზები რკინიგზის აღდგენას ეწინააღმდეგებიან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აფხაზეთის მთავრობამ, აღნიშნული გარემოების გაპროტესტების ნაცვლად, 2006 წლის 3-4 მაისს მოსკოვში „რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის“ სახელით ხელიც კი მოაწერა შეთანხმებას, რითაც აფხაზური რკინიგზა საქართველოს რკინიგზის ნაწილად ცნო. ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, აფხაზური მხარე მთელ სარკინიგზო ინფრასტრუქტურას კონსორციუმს გადასცემს. ამით კონსორციუმს გადაეცემა სტრატეგიული მაგისტრალი, მიმდებარე ტერიტორიითა და უძრავი ქონებით. თუ ხაზგასმით არ დაფიქსირდება, რომ კონსორციუმი აფხაზური რკინიგზის ინფრასტრუქტურის ბაზაზე იქმნება, ამ კონსორციუმის ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული ქონება, შესაძლოა, აქციონერებმა მათი კუთვნილი ნაწილის მიხედვით გადაინაწილონ, აფხაზეთის ტერიტორიის ამ ნაწილის ერთ-ერთი აქციონერი კი საქართველოს რკინიგზა უნდა გახდეს.

გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებებზე აფხაზური დელეგაციის საქმიანობა აფხაზეთის პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა. „დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის“ ეგიდით მოწყობილი „მრგვალი მაგიდის“ მონაწილე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და პარტიების წარმომადგენლებმა მომხდარი ანალოგიურად შეაფასეს.

„აფხაზეთის რკინიგზა, თავისი სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურასთან ერთად, სახელმწიფო ორგანიზაციად უნდა შენარჩუნდეს“, - მიაჩნიათ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს.

მათივე აზრით, აფხაზეთის გავლით გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რუსეთის მონაწილეობით და ქართული მხრის გარეშე უნდა განხორციელდეს. ამასთან, განცხადების ავტორები მოითხოვენ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტმა, პარლამენტმა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა შესაბამისი შეფასება მისცენ მოლაპარაკებაზე აფხაზური დელეგაციის ქმედებას, რომელმაც აფხაზეთის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დააყენა.

მედიანიუსი

ტერორიზმის ახალი ტალღა

ბინ-ლადენი სუნიტ მუსლიმებს მოქმედების ინსტრუქციას აძლევს

თეა მაისურაძე

ალ-ქაიდას ერაყის დაჯგუფების ლიდერის, აბუ მუსაბ აზ-ზარქავის სიკვდილის შემდეგ, ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოში უფრო გაზარდა. გასულ უქმეებზე, ინტერნეტით გავრცელებული აუდიოჩანაწერით, ბინ ლადენმა გარკვეული ინსტრუქციები მისცა სუნიტ მუსლიმებს სამომავლო მოქმედებისათვის.

ტერორისთა წინამძღოლის, ბინ ლადენის 19-წუთიანი აუდიოჩანაწერი ჯიჰადების ვებ-საიტზეა განთავსებული და ზოდაგად ისლამური სამყაროს, ერაყელი და სომალელი მუჰაჯირების მისამართით გაკეთებულ განცხადებას წარმოადგენს.

აღნიშნული ჩანაწერით ბილ ლადენი, ერაყელ მებრძოლებს მოუწოდებს, რომ ისინი ღმერთის რჩეულები არიან და მათ „უნდა გაათავისუფლონ მუსლიმები ჯვაროსნების მონობისაგან“. ტერორისტი მუქარით მიმართავს ერაყელ შიიტებს და აღნიშნავს, რომ მათ მიერ სუნიტ მუსლიმებზე გავრცელებული თავდასხმის შემთხვევაში, შიიტებით დასახლებული ტერიტორიების უსაფრთხოება ეჭვქვეშ დადგება და ალ-ქაიდა მათზე თავდასხმას განახორციელებს.

მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინის ხელისუფლება დაეცა (2003), სუნიტი მუსლიმებით დაკომპლექტებული მთავრობა შიიტებით შეიცვალა. ამ უკანასკნელთა აზრით, ისინი ხელისუფლებაში იმის გამო უნდა იყვნენ, რომ რაოდენობრივად ბევრად აღემატებიან ერაყში მცხოვრებ სუნიტებს. სუნიტების აგრესიის ფონზე ისიც აღსანიშნავია, რომ შიიტი მუსლიმების მიერ ხშირად ხორციელდებოდა თავდასხმები ერაყელი სუნიტების წინააღმდეგ.

ბინ ლადენი ვიდეოჩანაწერით მხარს უჭერს აბუ ჰამზა ალ მუჰაჯირს, რომელმაც სამი კვირის წინ სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული აბუ მუსაბ აზ-ზარქავი შეცვალა. უსამა ბინ ლადენის განცხადებით, ზარქავის სიკვდილს ალ-ქაიდას ტერორისტული დაჯგუფება არ დაივიწყებს და მებრძოლები ამის გამო შურს იძიებენ. ტერორისტი მოუწოდებს ზარქავის მემკვიდრეს, აბუ ჰამზა ალ მუჰაჯირს, რომ მან გააგრძელოს რადიკალური მოქმედებები, რაც სუნიტი მეამბოხე დაჯგუფებების გაერთიანებისკენ და ასევე აშშ-სა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ აღის მიმართული.

უსამა ბინ ლადენი ერაყელ მეამბოხეებს მოუწოდებს, რომ არ მიიღონ მონაწილეობა ბაღდადის ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში: **„არ იქნება არანაირი ვაჭრობა და დიალოგი ჯვაროსნებთან და გამყიდველებთან“** - აღნიშნავს ბინ ლადენი.

საყურადღებოა, რომ რამდენიმე კვირის წინ ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ-მალიკიმ გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც ერაყის ხელისუფლება თანახმაა მოლაპარაკებები აწარმოოს მეამბოხეებთან და მიღწეულ იქნეს კომპრომისი, რაც ერაყში სტაბილურობის დამყარებას ემსახურება. ბინ ლადენის განცხადებით, მალიკი და მისი თანამოაზრეები დაისჯებიან, მას შემდეგ რაც ალ-ქაიდა ერაყში განთავსებულ ამერიკელ სამხედროებს გაუსწორდება. გლობალური მასშტაბის ტერორისტი მოუწოდებს ყველა მუსლიმს, რომ მეამბოხეებს ფულითა და მებრძოლებით დაეხმაროს.

აუდიოჩანაწერით ბინ ლადენი სომალიში მიმდინარე მოვლენებსაც ეხმაურება და საერთაშორისო საზოგადოებას აფრთხილებს, რომ არ გაგზავნონ სომალიში სამხედრო ძალები იქ არსებული სიტუაციის დასარეგულირებლად.

ტერორისტი მოუწოდებს სომალელებს, რომ ისინი გვერდში ამოუდგნენ „მუსლიმ მსაჯულთა საბჭოს“, რომელიც სომალიში ისლამური სახელმწიფოს აშენებას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა, რომ სომალი უეცრად მოექცა ალ-ქაიდასა და მისი ლიდერის, ბინ ლადენის ყურადღების ცენტრში. „მუსლიმ მსაჯულთა საბჭოს“ შეიხი ჰასან დაჰირი ხელმძღვანელობს, რომელიც აშშ-ს მიერ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორისტთა სიაშია შეტანილი, თუმცა ჰასან დაჰირი ტერორისტებთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს.

ბინ ლადენის ამგვარ ინტერვენციას სომალიში, აქ არსებულ დაჯგუფებათა უმრავლესობა უარყოფითად აფასებს, თუმცა „მუსლიმ მსაჯულთა საბჭოს“ წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბინ ლადენს სომალის სტაბილურობა და კეთილდღეობა სურს.

ინტერნეტით გავრცელებული აუდიო-ჩანაწერით, ტერორისტი სომალიში აშშ-ს მიერ გამომცხრვარი დაჯგუფების, ბაიდოას მეთაურს, აბდულა იუსუფს „ამერიკის აგენტს“ უწოდებს და გმობს მის თანამშრომლობას მეზობელ ეთიოპიასთან. აღსანიშნავია, რომ 1000-მდე ეთიოპიელმა სამხედრომ გადაკვეთა სომალის საზღვარი ბაიდოას დაჯგუფების დასახმარებლად.

საერთაშორისო მცდელობების ფონზე, რაც სომალიში სიტუაციის დარეგულირებას ემსახურება, აფრიკის გაერთიანებამ და არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ გასულ კვირას განაცხადა, რომ ისინი გაგზავნიან ექსპერტთა ჯგუფს სომალიში იქ არსებულ სიტუაციაში უკეთ გასარკვევად. იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალეჰი გამოეხმაურა სომალიში მიმდინარე მოვლენებს და აღნიშნა, რომ ისიც ჩაებმება რეგიონის სახელმწიფოებთან მიმდინარე მოლაპარაკებებში. ბინ ლადენი კი ყველა მუსლიმს აფრთხილებს, რომ მოახდინონ ყოველგვარი ასეთი მცდელობის უგულებელყოფა. ტერორისტი ისლამურ დაჯგუფებებს იუსუფის ხელისუფლებაზე თავდასხმისაკენ მოუწოდებს. **„ამგვარი თავდასხმა უნდა მოხდეს ძალიან სწრაფად“** - განაცხადა ბინ ლადენმა და ასევე გარკვეული ინსტრუქციები მისცა სუნიტ მუსლიმებს შემდგომი ქმედებებისათვის - **„უნდა მომზადდეს თავდასხმისათვის საჭირო ყველა სახის ტექნიკა“**.

ბინ ლადენმა 1994 წელს სომალიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანა გაიხსენა, რომლის შედეგადაც 18 სპეცრაზმელი დაიღუპა. **„ამჯერად გამარჯვება ბევრად უფრო ადვილი იქნება,“** - აცხადებს ალ-ქაიდას ლიდერი.

ბუშის ადმინისტრაცია საუდის არაბეთსა და იემენს აფრთხილებს, რომ შეწყვიტონ „მუსლიმ მსაჯულთა საბჭოს“ მეომრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე მათი იარაღით უზრუნველყოფა. ჯორჯ ბუში მუსლიმებს იუსუფის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს.

საყურადღებოა, რომ ბინ ლადენმა ორი დღის წინაც გაავრცელა თავისი მუქარა, როდესაც მან ამერიკის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა და ზესახელმწიფოს ომის დაწყებით დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ეს ბინლადენის მეხუთე აუდიო „მესიჯია“. 2004 წლის ოქტომბრის შემდეგ ინტერნეტში აღარ გავრცელებულა ვიდეოჩანაწერი ალ-ქაიდას ლიდერის გამოსახულებით. ოფიციალური ვაშინგტონი ცდილობს დაამტკიცოს ჩანაწერის ნამდვილობა. თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადებით, ბინ ლადენი და ალ ქაიდა კვლავ აგრძელებს მედიის საშუალებით თავისი ბნელი ზრახვების დემონსტრირებას კაცობრიობის წინააღმდეგ.

ოფიციალური ვაშინგტონი ვარაუდობს, რომ ტერორისტი პაკისტანსა და ავღანეთს შორის არსებულ უმართავ საზღვარზე იმყოფება და ამ ტერიტორიაზე აფარებს თავს.

ადამიანის უფლებები საქართველოში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, საქართველო აღარ იქნება სხვებისათვის დადებითი მაგალითი. პირიქით, მისი პრობლემები გაუხარდებათ რეგიონში იმ ძალებს, რომელთაც ამ ექსპერიმენტის წარუმატებლობის ნახვა სურთ“, - ნათქვამია წერილში.

კონკრეტულად, *Human Rights Watch* აშშ პრეზიდენტს სთხოვს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე სამი საკითხი დააყენოს. ეს არის საპატიმროებში არსებული პირობები და პატიმართა მიმართ დამოკიდებულება; ლეტალური შედეგების მქონე სამართალდამცველების ქმედებები; ზეწოლა დამოუკიდებელ მართლმსაჯულებაზე.

„ბუშის ადმინისტრაციას კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან, მაგრამ ამან არ უნდა გამორიცხოს კონსტრუქციული, კრიტიკული დიალოგი. დროა, სწორედ ახლა წამოიწიოს ეს საკითხები, მანამდე, ვიდრე (ეს საკითხები) **მთავრობის პოლიტიკაში დამკვიდრდება,“** - ნათქვამია წერილში.

Human Rights Watch-ის წერილის კომენტირებისას საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ „24 საათთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ **„ასეთი წერილები მათი პირდაპირი მოვალეობაა, ისინი მათ ყველგან აგზავნიან“**. მისი განცხადებით, წერილში მითითებული საკითხები **„არ შეესაბამება რეალობას“**. თუმცა, მისი თქმით, **„არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ ჩვენი მეგობრები ამ თემებზეც გვესაუბრებიან. ასეთი წერილების არავის ეშინია“**.

„ვფიქრობ, *Human Rights Watch*-საც და აშშ მთავრობასაც ესმით, რომ დემოკრატიზაციის პროცესი არ არის ერთჯერადი აქტი. ეს არის პროცესი, რომელსაც ზიგზაგები ახასიათებს. ამგვარი ზიგზაგები ჩვენთანაც სახეზეა“, - აცხადებს „24 საათთან“ საუბრისას საქართველოს უსაფრთხოების და საერთაშორისო ურთიერობების კვლევის ფონდის ექსპერტი თემურ იაკობაშვილი.

თუმცა, იგი არ გამორიცხავს, რომ ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, ადგილი აქვს **„ინფორმაციით მანიპულირებას“**. კერძოდ, მისი აზრით, ეს ეხება შენიშვნებს საპატიმროში მომხდარი ამბოხების ჩახშობასთან დაკავშირებით, რომელიც **„არცერთ ქვეყანაში არ არის ადვილი საქმე“**.

„საქართველოს იმიჯი დაზარალდება იმ შემთხვევაში, თუ წერილში მითითებულ ფაქტებს ექნება მუდმივი ხასიათი. ანალოგიურ მოთხოვნებს *Human Rights Watch* მრავალ ქვეყანას უყენებს, მათ შორის აშშ-საც. მთავარია, არსებული პრობლემები იქნას აღმოფხვრილი. ამის თაობაზე, ალბათ, აშშ საქართველოს მიუთითებს. არ მგონია, რომ ამის გამო აშშ-საქართველოს ურთიერთობა გაფუჭდეს“, - აცხადებს თემურ იაკობაშვილი.

„ეს არის ძალიან დროული გამოხმაურება ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის მხრიდან. პრეზიდენტებს შორის შეხვედრები არც ისე ხშირია და ეს შეხვედრა მიეძღვნება საქართველოს სახელმწიფოს განვითარების პრობლემებს. წერილში დასმული საკითხები - საპატიმროებში არსებული ვითარება, პოლიციის თვითნებობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, არის ყველაზე პრობლემური ჩვენს ქვეყანაში“, - აცხადებს .“ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თამჯდომარე ანა დოლიძე.

მისი თქმით, **„წერილის ადრესატიც სწორად არის შერჩეული - აშშ დიდ პოზიტიურ როლს ასრულებს საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში და იქ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ამ პრობლემების მოგვარება აუცილებელია“**.

„ეს წერილი გავლენას ნამდვილად იქონიებს. Human Rights Watch სერიოზული ორგანიზაციაა, რომელსაც სამთავრობო წრეები ანგარიშს ყველა დემოკრატიულ თუ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში უწევენ,“ - აცხადებს „24 საათთან“ საუბარში ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი.

„შესაძლოა, მისი დასკვნები არ არის ყველა დეტალში სრულფასოვნად ზუსტი, შესაძლოა, იყოს დროში დაგვიანებულიც. მაგალითად, როდესაც საუბარია სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, სამართლიანი იქნებოდა ეთქვათ, რომ ბოლო დროს ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა“, - აცხადებს დარჩიაშვილი.

მისი თქმით, **„ასეთი შეფასებები არ არის ცალსახად განაჩენის გამოტანა, ისევე როგორც მსგავსი ორგანიზაციისაგან გამორიცხულია ცალსახად ქება“**. ექსპერტი ხაზს უსვამს იმას, რომ წერილის ტექსტში აღნიშნულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პრიორიტეტულობის მართებულობა, მაგრამ არის სავსებით ლოგიკური გაფრთხილება, რომ ამ ბრძოლას შეიძლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვა მოსდევდეს. **„მოყვანილია მაგალითები, რომელთა ახსნა-დასაბუთებას ხელისუფლებამ მეტი ყურადრება უნდა დაუთმოს“**, - აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

„ამდენად, მსგავსი წერილები ადეკვატურ როლს ასრულებენ ჯერაც გადასალახ პრობლემებზე მითითებით. ამ საკითხებზე პრეზიდენტების შეხვედრზე საუბარი ისედაც იქნებოდა, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის შიდა დემოკრატიულ ინსტიტუტების გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს თემა სტრატეგიული მოკავშირეების ყურადღების ცენტრშია. საქართველო ახალი ქვეყანაა, რომლის მშენებლობის პროცესი დასრულებული არ არის და რომელსაც უამრავი პრობლემები აქვს. წერილი არის მცდელობა პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისა, რაც ადეკვატურად უნდა იქნას აღქმული როგორც საქართველოს, ასევე აშშ-ს ხელისუფლების მიერ“, - აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

იმას, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ ვითარებაზე საუბარი ვაშინგტონში საკაშვილისა და ბუშის შეხვედრაზე ისედაც შედგებიდა, ამ შეხვედრის შესახებ თავად აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც მოწმობს. როგორც ოფიციალური ვაშინგტონი აცხადებს, **„5 ივლისს დაგეგმილ შეხვედრაზე ჯორჯ ბუში და მიხეილ სააკაშვილი ისაუბრებენ საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე, ცვლილებებზე, რომლებიც ბუშის 2005 წლის 9-10 მაისს საქართველოში ვიზიტის შემდეგ მოხდა“**.

ცხადია, რომ საქართველოსთვის დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის შენარჩუნებით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული აშშ-ს ხელისუფლება. აშშ-ს წარმომადგენლები ღიად საუბრობენ საქართველოზე, როგორც „ექსპერიმენტზე“ და დემოკრატიზაციის მაგალითზე სხვა ქვეყნებისათვის. დემოკრატია საქართველოში პირადად ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკის წარმატებას ნიშნავს, ხოლო ქვეყნის იმიჯის შელახვა ამ პოლიტიკის წარუმატებლობის ნიშანი გახდება.

მოკლედ

„რუსეთი თამაშს აგებს“

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მთავრობის საგარეო ურთიერთობების, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე იური ძიციოთი პუტინ-სააკაშვილის შეხვედრაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მათი შეხვედრა აშშ-ს რუსეთზე ზეწოლის შედეგად მოხდა.

მისივე თქმით, რუსეთი ამ ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო აქტიურად „ეთამაშება“ საქართველოს, იმ იმედით, რომ საქართველო შეიცვლის პოლიტიკას რუსეთის მიმართ და დასავლურ სტრუქტურებში შესვლაზე უარს იტყვის.

„სააკაშვილის ბუშთან შეხვედრის მიზანიც, ასე თუ ისე გარკვეულია - ისინი კონფლიქტების მოგვარებაზე ისაუბრებენ. მიმაჩნია, რომ რუსეთი აგებს ამ თამაშს, რადგანაც საქართველო ამ ბოლო დროს ისე იქცევა, როგორც უნდა“, - ამბობს ძიციოთი და საქართველოს ნატო-ში გაერთიანების შესაძლო პერსპექტივაზე შეშფოთებას გამოთქვამს.

„როდესაც საქართველო ევროსაბჭოში ერთიანდებოდა, მასზე უფრო დიდ ქვეყნებს მთელი რიგი პირობების შესრულებამ მოუწია ამ სტრუქტურის წევრობისთვის. საქართველო კი ისე უცბად მიიღეს ამ ორგანიზაციაში, რომ გაკვირვებულები დავრჩით. შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ საქართველოს დასავლეთმა განსაკუთრებული ადგილი გამოუყო. ის დასავლეთის მთავარი პოზიციაა პოსტსაბჭოთა სივრცეში და უკრაინაზე პატარა მნიშვნელობა როდი ენიჭება. საქართველო და უკრაინა ის რეგიონებია, რომლებსაც აშშ ძლიერად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაეჭიდა“, - აცხადებს კოკოითის მთავრობის წარმომადგენელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში გაემგზავრება

3 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში გაემგზავრება. 5 ივლისს იგი აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შეხვდება. ამ შეხვედრის გამართვის ინიციატივა ამერიკის პრეზიდენტს ეკუთვნის. საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტები, წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრებენ.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი კოტე კემულარია და რამდენიმე პარლამენტარი.

4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს შეხვდება. დაგეგმილია მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა აშშ-ში ქართული სათვისტომოების წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისში 6 ივლისს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

ირანი უკრაინისგან ფრთოსანი რაკეტების შესყიდვას უარყოფს

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა უკრაინასთან სამხედრო-სავაჭრო სავარაუდო თანამშრომლობის შესახებ.

„ირანს კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია და უკრაინისგან ფრთოსანი რაკეტები არ შეუძენია“, - განაცხადა ირანის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ.

ზემოაღნიშნული თანამშრომლობის შესახებ ეჭვი მიმდინარე წლის 30 ივნისს რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია. ივანოვის თქმით, უკრაინულმა ფირმამ „პროგრესი“ 2000-2001 წლებში ჩინეთსა და ირანს K-55 ტიპის შორი მოქმედების 6-6 ფრთოსანი რაკეტა მიჰყიდა. რუსი მინისტრის განცხადებით, ეს სარაკეტო ტექნოლოგიებზე საკონტროლო რეჟიმის უხეში დარღვევა იყო. თუმცა, ივანოვს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ ეს სარაკეტო-ბირთვული ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის რეჟიმის დარღვევის ერთადერთი შემთხვევა იყო დსთ-ს სივრცეში. ***24 საათი***

ივერიის ღვთისმშობელს ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში დააბრძანებენ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლს საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში დააბრძანებენ. როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა ზურა ცხოვრებაძემ აღნიშნა, პროცესია 12-13 ივლისს დაიწყება. ამჟამად ხატი სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. მას თავდაპირველად, სამების ტაძარში გადაბრძანებენ, 13 ივლისს - სვეტიცხოვლობას სვეტიცხოველში, შემდეგ გერგეთში და ა.შ. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მომავალ ორშაბათამდე!

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

მშვენიერ ქალაქ მილანში, საქველნოდ ცნობილ საოპერო თეატრთან არის ერთი პატარა ბარი. ძველად ალბათ ტრატორია ერქვა, ან ტავერნა. ყოველ შემთხვევაში, XIX საუკუნიდან მოყოლებული, ამ ბარსა თუ ტავერნაში ინახება ერთი ბოთლი შამპანური, რომლითაც უნდა დაჯილდოვდეს ის, ვინც თავიდან ბოლომდე დაწვრილებით და დალაგებულად მოყვება ჯუზეპე ვერდის ოპერის, "ტრუბადურის" შინაარსს. ჯილდო ჯერ არავის მიუღია.

არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ამ ვითარების მიზეზი — მთხრობელთა ნაკლოვანება თუ ოპერის გაუმარჯვი ლიბრეტო. ეს ამბავი, უბრალოდ, ერთი შემოთავაზებისთვის მჭირდება.

იქნებ "24 საათმა" დააწესოს მსგავსი პრიზი — ერთი ბოთლი კარგი ქართული ღვინო მას, ვინც შეძლებს დალაგებული და აზრიანი ინტერვიუ ჩამოართვას რეჟისორ **რობერტ სტურუას**. აქაც დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვინაა დამნაშავე — ინტერვიუერი თუ რესპონდენტი. უბრალოდ, მახსოვს, სამიოდე წლის წინათ უკვე მქონდა საბაბი, გამერჩია რობერტ სტურუას ვრცელი ინტერვიუ. ეს შესაძლებლობა ახლაც მეძლევა. და თუმცა იმ ძველი ჟინისაგან ბევრი არაფერი შემრჩა, მაინც საინტერესოდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღების მიქცევა ამ სიმპტომატურ ტექსტზე, რომელიც 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა...

საკუთრივ ინტერვიუს წინ უძღვის ავტორის — **ნანა ჭრელაშვილის** საკმაოდ ვრცელი შესავალი, საიდანაც ვიგებთ, რომ საუბარი თეატრის პრობლემებზე იქნება. თუმცა ეს გაგება არც თუ ისე ადვილად მოდის. პირველივე წინადადება დამაბნეველია: **"ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემებზე მუშაობა იქ მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა გამოიწვია"**. რა მუშაობა? სად იქ? გონებრივი დაძაბვის შემდეგ უნდა გამოვიტანოთ აზრი, რომ ნეგატიური პროცესები ქართულ თეატრში (როგორც ასეთში!) მიმდინარეობს და რომ არა ეს ნეგატიური პროცესები, არავინ იმუშავებდა მასში არსებულ პრობლემებზე. "ბოროტი კაცი დანიშიც ბოროტი არის" — გვეუბნება ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი და ჩვენც უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი წინადადების დამწერს აზრის მკაფიოდ გამოხატვას რაღაც გარეშე მიზეზი ან შინაგანი წინააღმდეგობა უშლის. იქნებ ჯობდა, ორი სიტყვით მაინც გაგვეგო, რომელ სათეატრო პრობლემებზე და ნეგატიურ პროცესებზეა საუბარი? — ვფიქრობ, მკითხველმა ეს დაიმსახურა.

ამის შემდეგ ავტორი გვისვამს რამდენიმე "მარადიულ შეკითხვას" — საინტერესოა, რომ რიტორიკული შეკითხვების ამ ქვეკატეგორიას დაბადების ზუსტი ადგილი აქვს: რუსეთი. დიახ, ყბადაღებულ "ვეჩნი ვოპროსებთან" გვაქვს საქმე — ეს ორი სიტყვა რუსული ენისათვის ლამის ბუნებრივია, მაშინ როცა სხვა ენაზე გარკვეული დაძაბვის გარეშე ვერც წარმოიდგენ. აბა, სცადეთ, აუხსენით ამერიკელს (ოღონდ სლავისტი ან სოვეტოლოგი ნუ იქნება), რას ნიშნავს eternal question! მაგრამ დავუბრუნდეთ ინტერვიუს. ნანა ჭრელაშვილის მიერ დასმულ "მარადიულ შეკითხვათა" სერია შემდეგია: **სად გადის ზღვარი ობიექტურობასა და სუბიექტურობას შორის?** — არა, ამაზე ხომ პასუხი არა მარტო შეუძლებელია, სრულიად უსარგებლოა. **რა იმალება პრობლემების მიმართ ხელოვანის ლოიალური და ზოგჯერ კრიტიკული დამოკიდებულების მიღმა?** — თუ ღმერთი გწამთ, აგვიხსენით, რა ჯანდაბის პრობლემებზეა საუბარი! ან ეს "ლოიალური და ზოგჯერ კრიტიკული" დამოკიდებულება რაღა დოზანაა? **რა არის პატრიოტიზმი და ვის როგორ ესმის თავისუფლება?** — ერიჰვა! აქ კი შეწყვიტოთ, თორემ თავს ვერ ვიოკებ... ვერც ავტორი იოკებს თავს და შეკითხვათა სერიის ბოლოს ამბობს, რომ ამ საკითხების განხილვა **"ცალკე დრამატურგიული მასალაა"**, — დიახ, თვალი არ გატყუებთ, სწორედ ასე ამბობს.

მკითხველი ვერ ასწრებს ამ "მარადიულ შეკითხვებზე" თუ "ცალკე დრამატურგიულ მასალაზე" დაფიქრებას, რადგან ინტერვიუს შესავალი თავისი გზით მიემართება და გვამცნობს, რომ **"ქართული თეატრის ისტორიის ძირითადი ნაწილი საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა, როცა თავისუფლებაზე საუბარიც კი დანაშაული იყო"** — ტყუილია! სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგოა. საბჭოთა ეპოქაში ძალიან ბევრს საუბრობდნენ თავისუფლებაზე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თავისუფლებაზე საუბრობდნენ და სხვა არაფერზე. იქნებ ჩვენც გვიჯობს, თავი დავანებოთ თავისუფლებაზე საუბარს და უფრო კონკრეტულ საგნებზე ვისაუბროთ და "მარადიული" კი არა, ზუსტი შეკითხვები დავსვათ: ვისი და რა ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს ქართველ თეატრალთა საზოგადოებაში? რატომ დღემდე არ შეცვლილა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი? რატომ მიმდინარეობს რუსთაველის თეატრის სცენაზე **ლაშა ბუღაძის** ოთხგვერდიანი პიესა საათნახევრის განმავლობაში? რა არის უფრო ძნელი — ჩარტერული რეისისათვის ფულის შეგროვება თუ ჩახლართულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა? ტელეკომპანია ვინ ჩააბარა და მერე ვისმა მზრუნველობამ მიიყვანა პარლამენტამდე კაცი, რომელიც მშობლიურ ენაზე მარტივ წინადადებებს ვერ ალაგებს? ერთი სიტყვით, თავისუფალ საზოგადოებაში შეკითხვებს რა გამოლევს! — თუ, რა თქმა უნდა, სიმხდალე და სულმოკლეობა არ გვათქმევინებს, ქართველები ვართ, რად გვინდაო.

ჩვენი ინტერვიუს ავტორიც აღწევს კონკრეტულ საკითხამდე, თუმცა ეს კონკრეტულობა ერთობ ზოგადი და ბუნდოვანია. ავტორი აღშფოთებულია, რადგან თეატრის პრობლემებს (ფეხბურთისაგან განსხვავებით) ქართული მედია არ აშუქებს. თუმცა აღშფოთებული კი არაა, უბრალოდ, უკვირს: იმასაც კი ამბობს, გასაკვირიაო. თუმცა ნამდვილად კონკრეტული შეკითხვა სხვა იქნებოდა: რატომ არ აშუქებენ თეატრის ან, საზოგადოდ, იმის პრობლემებს, რასაც ათწლეულების მანძილზე კულტურას ვუწოდებდით? პასუხი, ჩემი აზრით, სრულიად აშკარაა: ეს არავის აინტერესებს.

თუ ოდესღაც "ვრემია" და "მოამბე" იერარქიული კიბის უფრო მაღალ საფეხურზე აყენებდნენ თეატრს, ლიტერატურას, მუსიკას და ა. შ., თუ კულტურის ამ "ელიტური" დარგების გაშუქება ბევრად წინ უსწრებდა სპორტსა და ამინდის პროგნოზს, რაო, შედეგად ისეთი საზოგადოება შეიქმნა, რომელიც ფაქიზი და უნაკლო გემოვნებით გამოირჩევა? ნუთუ დღესავით ნათელი არაა, რომ, მიუხედავად სნობთა ჩივილისა, დღევანდელი თავხედური და გოიმური მედია გაცილებით უფრო ადეკვატურია მისი მომხმარებელი საზოგადოების მოთხოვნისა, ვიდრე ოდესმე ყოფილა? რაც შეეხება იმას, რაზედაც მეც არაერთხელ მიმტვრევია ღია კარები — ანუ საზოგადოების აღზრდის აუცილებლობას, ეს დიადი მიზანი არ მიიღწევა რეპორტაჟების ქრონომეტრაჟის ზრდით და მათი პოზიციის წინ წამოწევით. ასე, უბრალოდ, ფარისეველობის ახალი საყრდენი შეიქმნება...

იქნებ გვეყოს გამბედაობა და ვაღიაროთ ეს ცხადი და თვალსაჩინო ჭეშმარიტება: "კულტურას" მოთხოვნა ზრდის და არა ვიღაც-ვიღაცების ენთუზიაზმი და კეთილი ნება. ნუთუ ამის აღიარება უფრო დიდი ცინიზმი იქნება, ვიდრე ნახევრად მშიერ ქვეყანაში მთავრობისაგან "კულტურის" ძველებურად უხვი სუბსიდირების მოთხოვნა? რაც არ უნდა ფული დაიხარჯოს, დღეს მაინც ვერ მიიღწევა თეატრისადმი ისეთი ინტერესი, როგორიც ელისაბედ პირველის დროინდელი ლონდონის მდაბიოთა შორის არსებობდა. ამ მდაბიოებს არანაკლები წვლილი მიუძღვით შექსპირის შექმნაში, ვიდრე თვით დიდი ბარდის პოეტურ თუ დრამატურგიულ ნიჭს.

თვით თეატრის მესვეურები მშვენივრად გრძნობენ, საითაა დღეს გადახრილი სახალხო ინტერესების ისარი: აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ ის ღვარძლიანი და საყვედურით აღსავსე ზარები, რომლებსაც "შაბათის შოუს" მონაწილეები და ორგანიზატორები ღებულობენ თეატრის მსახიობებისაგან ყოველი მეტ-ნაკლებად წარმატებული სკეტჩის ეთერში გასვლის შემდეგ. აი, თვით რობერტ სტურუას ეყო ამის აღიარების სიმამაცე, თუმცა კი მხოლოდ სანახევროდ. ურთ ქვემოთ ის ამბობს: **"სამწუხაროდ, თეატრი დღეს ხალხსაც აღარ სჭირდება"**. მაგრამ შემდეგ ამ გარემოების ასეთ ახსნას ვპოულობთ: **"ქვეყანაში, როცა მთავრობა ცუდად ეპყრობა ვიღაცას, კონიუნქტურა თხოულობს ადამიანებისადმი ასეთივე დამოკიდებულებას. გადამდები სენივითაა. ესეც საბჭოური ფსიქოლოგიის გადმონაშთია"**. კოლეგებო, როცა რესპონდენტი ცნობიერების ნაკადს გადმოღვრის, ნუ შეგეშინდებათ მისი რედაქტირება. მაგალითად, აქ უნდა იყოს: **"კონიუნქტურა ადამიანებისაგან ასეთივე დამოკიდებულებას მოითხოვს"**. ერთი სიტყვით, ახსნა ასეთია: რახან მთავრობა "ცუდად ეპყრობა თეატრს", კონიუნქტურას ნაჩვევი ადამიანები იმავეს იმეორებენ. **"ესეც საბჭოთა ფსიქოლოგიის გადმონაშთია"** — ასკვნის რობერტ სტურუა. მაგრამ რომელი ფსიქოლოგიის გადმონაშთია, როცა ყველაფერს მაშინვე ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებით ვხსნით და ერთ საზოგადო ცენტრში გადაგვაქვს ყველა უბედურების მიზეზი? გამოდის, რომ სააკაშვილი ყოველ საღამოს თეატრში უნდა იყოს დარჭობილი, მაშინ ხალხიც მოაწყდება სალაროებს. თუმცა არის მეორე ვარიანტიც: უნდა შეიქმნას რუსთაველის, მარჯანიშვილის, სამეფო უბნის, გრიბოედოვის, სარდაფისა და სხვა თეატრების ფან-კლუბები, სადაც განაწილდებიან არველაძე, ბოკერია, კორკიტაძე, ვანო ჯავახიშვილი, მიშა ანდღულაძე და სხვები. მაშინ ნამდვილად აღორძინდება თეატრი საქართველოში. თუმცა ყველაზე ნაღდი ხერხი მაინც ტოტალიზატორია: დაახრჩობს თუ არა ოტელო დეზდემონას? აიღებს თუ არა პირველი ტენორი ზედა სი-ბემოლს?

ინტერვიუერიცა და რესპონდენტიც, როგორც ეტყობა, ამ თვალსაზრისზე დგანან. მათი ძირითადი მოლოდინი ხელისუფლებისკენაა მიმართული, ხელისუფლებას შესცქერიან თვალებში და ხელებში. მაგრამ ამავე დროს ღირსების შენარჩუნებასაც ცდილობენ. აბა, ვნახოთ, რას გვეუბნება რეჟისორი: **"მარტო მთავრობის ხელშეწყობითაც ვერ იარსებებს თეატრი; თუ ყველაფერი მთავრობას სთხოვე, რატომ არ უკეთებ იმას, რასაც ის გთხოვს?"**. მაგრამ სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული: მთავრობა არავის არაფერს არ სთხოვს! ბატონი რეჟისორი კი კვლავ იმ ნეტარ ეპოქაში ცხოვრობს, როცა ყოველივე ზემოდან მომავალი დირექტივებით განისაზღვრება. ხელოვნება მას ხელისუფლებასთან აღებ-მიცემობის პროცესად მიაჩნია. ამ პროცესში პროტესტი უიგივდება მიღებული გრანტიდან მცირე თანხის "მოტეხვას", ერთგვარ ჩრდილოვან ქმედებას, რომელიც, კარგი იქნება, თუ ხახვივით შეგრჩება. ვალიაროთ, რომ ქართულ ხელოვნებაში პროტესტი ამ დონეს იშვიათად თუ ასცილებია და ის "ანტისაბჭოური სპექტაკლები", რომელთა შესახებ წარა-მარა საუბარია ინტერვიუში, უბრალოდ მითია ან ისევ და ისევ საბჭოთა პერიოდის ერთგვარი ორაზროვნების პირდაპირი შედეგი.

ასეთივე ყავლგასული პათოსითაა გამსჭვალული რეჟისორის შემდეგი სიტყვები: **"გაეცანით, როგორ ელაქუცება მოლიერი ლუი XIV-ის საფრანგეთის განათლებულ და გენიალურ მეფეს, იმისათვის რომ დაედგა "ტარტიუფი". ახლა მე რომ დავდგა ეს პიესა, ეკლესია არ მომცემს უფლებას"**. როგორც ეტყობა, რობერტ სტურუას სიტყვები ინტერვიუერისთვის რაღაც ორაკულის მსგავსია, თორემ აუცილებლად შეასწორებდა სტილისტურად: "ელაქუცება, რომ დადგას" ან "ელაქუცებოდა, რომ დაედგა". მაგრამ ვხედავთ, რომ რეჟისორის გამონათქვამები ქალწულებრივი სიწმინდით მოვიდა ჩვენამდე. მით უფრო უცნაურია, რეჟისორის შიში, თითქოს ეკლესია "ტარტიუფის" დადგმის უფლებას არ მისცემს მას. ჯერ ერთი, ამისათვის "ტარტიუფის" აზრი უნდა გაიგონ, მასში ღრმად ჩადებული ტენდენციები უნდა შენიშნონ, ეს კი ძნელი ამბავია. მეორეც — რას ნიშნავს "ეკლესია არ მომცემს უფლებას"? რაო, თავიდანვე გადაწყვეტილი აქვს ჩვენს რეჟისორს თავის დახრა იმათ წინაშე, ვისი ქმედებაც თვითონვე სამარცხვინოდ მიაჩნია? — (**"და ვინჩის კოდის" გამო ქუჩაში დარბიან — სირცხვილია XXI საუკუნეში**). თუ თავიდანვე ამგვარი განწყობებითაა გამსჭვალული, გროში ყოფილა მისი სიმართლისმყვარეობის ფასი!

აზროვნების წესი გასაგებია: ადრე ყველაფერს განსაზღვრავდა წერილობითი დადგენილებები; ახლაც ასეა, მაგრამ წერილობითი დადგენილებების მაგიერ ზეპირი მითითებებია, ან ცალყბად ნასროლი "ნამოიკები", მთავარია ამ მინიშნებების დროული ამოცნობა. მე ეს ვიცი, მე ეს ვისწავლე, შიფრი თუ კოდი გავხსენი: ამიტომ იმასაც ვამბობ, რომ აფიშის დაწვა ვანდალიზმია, მაგრამ ერთდროულად იმასაც ვხედავ, როგორ მიმითითა ვიღაცამ საპატრიარქოსკენ — აჰა, შენი ბატონი, ამისა ისმინეო.

თუმცა ალბათ ყველაფერი არც ისე მძიმედაა. უბრალოდ, ჩვენი რეჟისორი სიტყვებთანაა მწყრალად. აი, მაგალითიც: **"საქართველოში ისტორიულად თეატრი ირონიული დამოკიდებულების საგანი გახლდათ. ამის მაგალითი ბევრია. თუნდაც 30-იანი წლები, როცა დახვრიტეს ისეთი რეჟისორი, როგორიც იყო სანდრო ახმეტელი"**. დამოკიდებულება, რომლის გამო ადამიანებს ხვრეტენ, ირონიულზე გაცილებით უფრო მძიმეა. ამგვარ დამოკიდებულებას ირონიულთან საერთოდ არა აქვს კავშირი. პირიქით, სადაც ირონიაა, იქ სიცოცხლე ყვავის — ირონიისა ყველაზე მეტად ეშინია ავტორიტარიზმს. სწორედ ირონია იყო დისკრედიტირებული იმ სამყაროში, სადაც სათეატრო სცენებზე "ოპტიმისტურ ტრაგედიას" დგამდნენ, ხოლო ჩვენი რეჟისორის მეტყველება სწორედ ირონიის ამ დისკრედიტაციის და მისგან შედგად მიღებული კრიტიკული უუნარობის პირდაპირი მაგალითია.

რას იზამ, ძნელია გათავისუფლება ათწლეულების ტვირთისაგან. ამ ტვირთის დატოვებული იარები ყველაზე მეტად სწორედ "ინტელიგენტებს" ეტყობათ. და კიდევ მედიას, რომელიც დღემდე გაფაციცებით ადევნებს თვალს იმას, გვაგინებენ თუ გვაქებენ რუსეთში. სამწუხაროდ, ამას ვერც "24 საათი" გაექცა, რასაც მოწმობს იმავე 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია — **დიმიტრი ავალიანი**, *კრემლის პოლიტკის სარკე*. სხვისი არ ვიცი, მე კი არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემთვის სულერთია, უსმენენ თუ არა რუსეთში **თამრიკო გვერდწითელის** სიმღერას, იმოწმებენ თუ არა **სოფიკო ჭიაურელის** მეგობრულ გამონათქვამებს და რომელი ღვინით გამოიბრუჟება **კოლია ბურლიაევი**.

სხვა რუსეთი - „ცუდი ფონი" სამიტის წინ

პირველი გვერდიდან

იგორ შუვალოვი: „დიდი რვიანის" ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობას ოპოზიციურ კონფერენციაში რუსეთი შეაფასებს, როგორც არამეგობრულ ნაბიჯს.

მასში მონაწილეობას მიიღებს მთელი რუსული ოპოზიცია დაწყებული ნაციონალ-დემოკრატიული კავშირის ლიდერით, მიხაილ კასიანოვით და დამთავრებული ნაციონალ-ბოლშევიკების ხელმძღვანელით, ედუარდ ლიმონოვით.

კონფერენციის ორგანიზატორებმა მომავალი სირთულეები იმთავითვე ინინასწარმეტყველეს, თუმცა კრემლისგან ასეთ ღია გამოხმაურებას არ ელოდნენ.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ოსოვცოვმა შუვალოვის განცხადება საკმაოდ მშვიდად მიიღო. მისი თქმით, კრემლი ვერ შეძლებს იმ უცხოელ სტუმართა დაშინებას, რომლებმაც უკვე თანხმობა განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობაზე.

მოწვეულ სტუმართა საბოლოო სია მოგვიანებით გამოქვეყნდება, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ რუს ოპოზიციონერთა მსჯელობას „სხვა რუსეთის" შესახებ დიდი ბრიტანეთის ელჩი რუსეთში ტონი ბრენტონი დაესწრება. როგორც ბრიტანეთის საელჩოს პირველი მდივანი ანჯუნ ნურანი რუს ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმას ბრიტანული მხარე არ აპირებს. **„თავად პრეზიდენტმა პუტინმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ვერც ერთი პრობლემა ვერ მოგვარდება დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარეშე. ვფიქრობ, რომ აღნიშნული კონფერენცია სწორედ ამ მიზნებს ემსახურება და ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ მასში მონაწილეობა მივიღოთ. ბატონი შუვალოვის გამოსვლამ ჩვენი გეგმები არ შეცვალა,"** - აცხადებს ნურანი.

კონფერენციაში მონაწილეობა უკვე დაადასტურეს იაპონიის დემოკრატიული პარტიის წევრებმა, რამდენიმე ევროპელმა დიპლომატმა და ასევე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ორმა მოადგილემ, რომელთა გვარები ამ ეტაპზე არ სახელდება.

„გაზეტა რუ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუვალოვის გამონათქვამები კრემლის ოფიციალური პოზიცია არ არის. **„შუვალოვი ღელავს, რადგან „დიდი რვიანის" სამიტის ორგანიზებაზე პასუხს აგებს, ეს კონფერენცია კი ამ სამიტს საგრძნობლად გაუფუჭებს ფონს,"** - აცხადებს ანონიმური წყარო პუტინის ადმინისტრაციიდან.

სწორედ ეს გახლავთ კონფერენცია „სხვა რუსეთის" ორგანიზატორთა მიზანიც. როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გარი კასპაროვმა აღნიშნა, ოპოზიციონერების შეკრების თარიღი სპეციალურად მიუახლოვეს „დიდი რვიანის" სამიტის ჩატარების თარიღს. **„ეს ტაქტიკურად ძალიან მოსახერხებელია. ამ დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება რუსეთისკენა იქნება მიპყრობილი და უფრო ადვილი იქნება უცხოელ სტუმართა მოწვევაც. რუსეთი ჩვენ გაცილებით უფრო გვაღელვებს, ვიდრე „დიდი რვიანი,"** - განაცხადა კასპაროვმა.

კონფერენციის კიდევ ერთი ორგანიზატორი ანდრეი ილარიონოვი კონფერენციის მიზნებზე საუბრობს. **„ოფიციალური რუსეთი" საზოგადოებას თავს ახვევს განვითარების დამღუპველ მოდელს, რასაც ქვეყანა უკანონობისკენ, ჩამორჩენილობისკენ მიჰყავს. მაგრამ არსებობს „სხვა რუსეთი", რომელმაც ამ კონფერენციის დახმარებით უნდა ამოხეთქოს,"** - აცხადებს ილარიონოვი.

შაბათს პრეზიდენტ პუტინი ფრაქცია „ედინაია როსიას" დეპუტატებს შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტმა ძალიან ბევრი ისაუბრა დემოკრატიაზე და მის მნიშვნელობაზე. რუსეთის კონსტიტუციის გარანტმა აღნიშნა, რომ რუსეთში ოპოზიციური ძალებისთვის ყველა ტრიბუნა ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

„პოლიტიკური სისტემა სტაბილური და მყარი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველას, ვინც დღეს თუ ხვალ ოპოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს, უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის ტრიბუნა," - აღნიშნა პუტინმა, რომელსაც ამავე შეხვედრაზე „ედინაია როსიას" წევრებმა პარტიის სათავეში ჩადგომა შესთავაზეს. აღნიშნული შეთავაზება პუტინმა უკომენტაროდ დატოვა.

ვიდრე პუტინის მიერ დეკლარირებული „მყარი და სტაბილური სისტემა" ამუშავდება, რუსულ ოპოზიციას საკუთარი აზრის გამოსახატავად ტრიბუნის მოპოვება დიდ ძალისხმევად უჯდება. „სხვა რუსეთის" ორგანიზატორები საკონფერენციო დარბაზის დაქირავებას დიდხანს ვერ ახერხებდნენ, ოპოზიციისთვის ტრიბუნას არავინ იმეტებდა.

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია **"საქართველოს ნაციონალური ავიახაზები"** გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო **CLUB Class** სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ **CLUB Class**-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, ტაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, **Bombardier CRJ 200 LR** -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- მ. რუსთაველი ჭრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კუკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის საგანმანათლებლო პერიოდი
(ძალაშია 01.06.2006 დან)

	ფრენა		ბათუმიდან	ბათუმში	ბათუმიდან	ბათუმში
		თბილისიდან				
ორშაბათს						
	პარალა *	QB 595/596	6:30	8:20	11:05	16:35
	ფრანკფურტ-ამ-მაინი	QB 525/526	17:50	18:50	20:10	23:10
სამშაბათს						
	მოსკოვი (შერემეტევო)	QB 771/772	8:30	10:55	20:50	23:10
ოთხშაბათს						
	ალშა - ატა	QB 577/578	12:50	18:30	21:20	23:10
	პარალა *	QB 595/596	6:30	8:20	11:20	15:50
	ალშა - ატა **	QB 577/578	17:55	23:50	2:20	4:10
ხუთშაბათს						
	მოსკოვი (შერემეტევო)	QB 777/778	8:30	10:55	11:50	14:10
	კიევი	QB 595/596	17:30	18:50	11:05	16:35
	კიევი ***	QB 543/544	8:55	10:15	12:45	16:05
	მოსკოვი (შერემეტევო) ****	QB 777/778	17:30	19:50	21:00	23:20
პარასკევს						
	სანკტ-პეტერბურგი	QB 555/556	8:30	11:55	13:00	16:20
	ოდესა	QB 541/542	17:50	18:50	20:10	23:10
შაბათს						
	მოსკოვი (შერემეტევო)	QB 771/772	8:30	10:55	20:50	23:10
კვირა						
	კიევი	QB 543/544	17:30	18:50	20:00	23:20
	კიევი ***	QB 543/544	8:55	10:15	12:45	16:05
	ალშა - ატა **	QB 577/578	17:55	23:50	2:20	4:10
	მინერალნიე ვოდი	QB 523/524	17:50	19:10	22:00	23:10

* ფრენები მოქმედებს განრიგით შესაბამისად 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედებს განრიგით შესაბამისად 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედებს განრიგით შესაბამისად 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედებს განრიგით შესაბამისად 03.08.2006 -დან

	ფრენა		ბათუმიდან	ბათუმში	ბათუმიდან	ბათუმში
		ქუთაისიდან				
სამშაბათს						
	მოსკოვი (შერემეტევო)	QB 567/568	17:00	19:20	12:05	14:25
შაბათს						
	მოსკოვი (შერემეტევო)	QB 567/568	17:00	19:20	12:05	14:25

პოლიციელები და დანაშაული

პირველი გვერდიდან

„გორგაძემ იარაღის მუქარით აიძულა ახალგაზრდები, მიწაზე დაწოლილიყვნენ და თან აგინებდა მათ. თევზაძემ პოლიციელს ჰკითხა, - რატომ გვაგინებთო, - რის გამოც, შეურაცხყოფილმა გოგრაძემ იგი ხელში აიყვანა, ჰაერში ამოატრიალა და, მოკვლის მიზნით, თავით ასფალტზე დააგდო“, - აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში.

მოწმეთა ჩვენებებით, მიწაზე დაგდების შემდეგ თევზაძემ გონება დაკარგა, გორგაძე კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. თუმცა, ცოტა ხანში იგი უკან დაბრუნდა და დაზარალებული საავადმყოფოში წაიყვანა.

თევზაძეს ექიმებმა მძიმე ხარისხის დაზიანება დაუდგინეს, რის გამოც, იგი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს და საბოლოოდ გადაარჩინეს კიდეც. უფროსი ინსპექტორი გორგაძე კი მისმა კოლეგებმა, სამართალდამცველებმა დააპატიმრეს.

სასამართლოში არსებული საბრალდებო დასკვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ქართველი პოლიციელებისთვის რიგითი მოქალაქეების მოსატყუებლად მუნდირის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია.

შს სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს მესამე განყოფილების უფროსის მოადგილე თამაზ ალანია, რომელსაც თაღლითობისთვის ასამართლებენ, ჩვეულებრივი მოქალაქის ნონა მამულიას მოტყუების მცდელობისთვის მოხვდა ციხეში.

როგორც გამოძიებამ გაარკვია, ნონა მამულიას დედაქალაქში მშენებარე სასტუმრო „თბილისის“ შენობაში საცხოვრებელი ბინის ფართის ყიდვა სურდა შეღავათიან ფასად, რისთვისაც ვინმე ქამხაძემ და კიზივაძემ მას 4500 დოლარი მოსთხოვეს. მამულია რომ თანხას არ დაკარგავდა და ბინას ნამდვილად იყიდდა, ამის გარანტად გამყიდველებმა მას პოლიციელი თამაზ ალანია დაუსახელეს.

„მამულია შეხვდა ალანიას და სამართლებრივი გარანტია მოსთხოვა, რაზეც პოლიციელმა უპასუხა, რომ გარანტია და სამართალი თავად იყო“, - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში.

როგორც გამოძიება ირწმუნება, მამულიას ეჭვი შეეპარა ალანიას „გარანტიაში“ და დასახმარებლად შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს მიმართა, რომლის თანამშრომლებმაც ალანია თანხის გადაცემის მომენტში დააკავეს.

ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ნარკოტიკების რეალიზაციასა და ნარკოდანაშაულებთან უშუალოდ არიან დაკავშირებულები, ამას ბოლო პერიოდში აღძრული საქმეების სიმრავლეც ადასტურებს. აღნიშნული ბრალდებით თბილისის პროკურატურამ ათობით საქმე გამოიძია და სასამართლოში გადაგზავნა. საქმთა ფაბულა კი, თითქმის, ყველა შემთხვევაში ერთნაირია, იცვლება მხოლოდ პოლიციელთა გვარები.

საბრალდებო დასკვნებში ასახული საქმეთა შინაარსი, ძირითადად, ქვემოთ დასახელებული ფაქტის ანალოგიურია. გამოძიების მიერ შეკრებილი მასალებით დამტკიცდა, რომ გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილემ რამაზ ჭიკაიძემ, რომლის ნარკორეალიზატორობაზეც ოპერატიული ინფორმაცია წინასწარ არსებობდა, რამდენჯერმე მიჰყიდა ვინმე აბაშიძეს ნარკოტიული ნივთიერება „ჰეროინი“. აკრძალული ნივთიერების ბოლო რეალიზაციის შემდეგ ჭიკაიძეს აბაშიძემ სამართალდამცველების მიერე წინასწარ დანომრილი ფული გადაუხადა, რაც მისი დაკავების საფუძველი გახდა. განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიციამ საკუთარ კაბინეტში დააკავა და დანიშნულ ფულთან ერთად „ჰეროინიც“ აღმოუჩინა.

ერთი სიტყვით, მართალია, დასახელებული ფაქტები დღევანდელი პოლიციელების დანაშაულებრივი ქმედებების სრული სურათი არ არის, მაგრამ ადვილი მისახვედრია ის, თუ რა ფაქტებით იწონებენ თავს მაღალჩინოსანი სამართალდამცველები დამნაშავე კოლეგებთან ბრძოლის სტატისტიკის გამოქვეყნების დროს.

მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტს

არასამთავრობო ორგანიზაციის - „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის ირაკლი კაკაბაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია - ამ განცხადებას ექიმები აკეთებენ. თუმცა, მათივე განმარტებებით, პაციენტს, რომლის პალატასაც საპატრულო პოლიცია იცავს, რამდენიმე დღე კიდევ სჭირდება სტაციონარული მკურნალობა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საავადმყოფოში იმყოფება, ასევე, ირაკლი კაკაბაძის თანამოაზრე და მეგობარი, მასთან ერთად მშვიდობიანი საპროტესტო აქციისთვის სააპელაციო სასამართლოს შენობასთან დაკავებული ლაშა ჩხარტიშვილიც. ექიმების თქმით, მასაც რამდენიმედღიანი სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროება.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის განკარგულებით, ირაკლი კაკაბაძესთან და ლაშა ჩხარტიშვილთან ერთად დაკავებულ ჯაბა ჯიშკარიანი და ზურაბ რთველიაშვილი კვლავ წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, სამართალდამცველი ორგანოს თანამშრომლები საავადმყოფოში მყოფი კაკაბაძისა და ჩხარტიშვილის ოჯახის წევრებს - არათუ პალატაში, საავადმყოფოს განყოფილებაშიც არ უშვებენ და მათ საკვების გადაცემა საპატრულო პოლიციისათვის უწევთ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“ საქართველოში სინდისის პატიმრების არსებობის თაობაზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს: Human Rights Watch-ს, Amnesty International-ს მიმართავს.

როგორც კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „29 ივნისს, სააპელაციო სასამართლოს ეზოში დაპატიმრეს არასამთავრობო ორგანიზაციათა 5 წარმომადგენელი: ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი. ზურაბ რთველიაშვილი, დავით დალაქიშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი, რომლებიც ტელევიზია „202“-ის დამფუძნებლების გათვისუფლებას მოითხოვდნენ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ უკანონო გადაწყვეტილებით დაკავებულებს 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა, რომელიც 2 თვის წინ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით გასაჩივრებას არ ექვემდებარება. **„არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი რეპრესიული ფონით, რომელსაც ქართველი სამართალდამცველები და საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ახორციელებს“**, - აცხადებენ განცხადების ავტორები. კოალიცია მიიჩნევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დაპატიმრებული პირები სინდისის პატიმრები არიან, რადგანაც მათ თავისუფლება აღუკვეთეს მხოლოდ საკუთარი აზრის გამოხატვისათვის. კოალიცია მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოსთხოვონ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სინდისის პატიმრები.

„საერთაშორისო ორგანიზაციებს მოვუწოდებთ, მიმართონ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რათა მან ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს პრეზიდენტზე საქართველოში არსებული ანტიდემოკრატიული რეჟიმის შეცვლისა და სინდისის პატიმრების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლებისთვის“, - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

24 საათი

ჩხრეკა შობის მონასტერში

გუშინ, ყველასთვის მოულოდნელად, დმანისის რაიონში, ხრამის ხეობაში მდებარე შობის მონასტერში სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა და ჩხრეკა ჩაატარა.

როგორც „24 საათისთვის“ გახდა ცნობილი, ნიღბიანები შობის მონასტერში მყოფ მორჩილებსა და არქეოლოგებს დაესხნენ თავს და მათი და ტაძრის ჩხრეკა ისე განახორციელეს, რომ ვინ ან რას ეძებდა, არაფერი უთქვამთ. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, სპეცრაზმელებმა ჩხრეკის შემდეგ ორი ახალგაზრდა მორჩილი თან წაიყვანეს, ცოტა ხანში კი ორივე უკან მიიყვანეს, ბოდიში მოიხადეს და განაცხადეს, რომ შეეშალათ და ისინი სხვებში აერიათ.

დმანისის ეპარქიის წინამძღოლი მეუფე ზენონი აღშფოთებას გამოხატავს მომხდარის გამო. მისი მონათხრობით, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე სამონასტრო კომპლექსში 30-მდე ნიღბოსანი შეიჭრა. მათ მიწაზე დააწვინეს მორჩილები და მონასტერში მყოფი რესტავრატორ-არქიტექტორები, განძრევის შემთხვევაში სროლით დაემუქრნენ და ამის შემდეგ სამონასტრო კომპლექსში ჩხრეკა ჩაატარეს.

მეუფე ზენონის თქმითვე, სპეცრაზმი გაქცეულებს ეძებდა, რომლებიც, რა თქმა უნდა, მონასტერში არ აღმოჩნდნენ. **„დააწიოკეს წმინდა სამონასტრო კომპლექსი, შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოს ეკლესიას, გადაგვიარეს და წავიდნენ. როდესაც დამნაშავის ძებნას აწარმოებენ, არსებობს შესაბამისი ორდერი ან ეპარქიის წინამძღოლს სიტყვიერად მაინც აცნობებენ. ამ შემთხვევაში კი, არც ერთი არ გაითვალისწინეს. არავინ არ უშლიდათ მათ იქ შესვლას, ეცნობებინათ წინასწარ, თუნდაც სიტყვიერად. ასე ყველაფრის გადათელვა შეიძლება ?!“** - აცხადებს მეუფე ზენონი.

შობის მონასტერში სპეცრაზმელების შეჭრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უარყო ტაძარში ჩხრეკის ჩატარების ფაქტი.

„დმანისის რაიონში მდებარე შობის ტაძარში ჩხრეკის ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. სოფელ ჩარდახში შს-ს თანამშრომლებმა ტაძართან მდებარე შენობა დაათვალიერეს,“ - ირწმუნება შინაგან საქმეთა სამინისტრო.

24 საათი

მოკლედ

დაჩაქარებული ტემპით მიმდინარე სასამართლო პროცესი

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ ყოფილი თანამშრომლის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს განახლდება.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ვის დაკითხვას გეგმავს მართლმსაჯულება დღევანდელ პროცესზე. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დაცვის მხარე დღევანდელ პროცესზე რამდენიმე შუამდგომლობის დაყენებას აპირებს. ჩვენი ინფორმაციით, სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატები სასამართლოსგან ახალი მტკიცებულებების გამოთხოვას და დამატებითი მოწმეების დაკითხვას მოითხოვს. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიებას ამ ეტაპზე უკვე დაკითხული ჰყავს, დაახლოებით, 20-მდე მოწმე; ასევე, დაზარალებული ლევან ბუხაიძეც. დაკითხულები არიან ძირითადი მოწმეებიც. ეს ყველაფერი სამ სასამართლო სხდომაზე დაჩქარებული ტემპით მოესწრო. **24 საათი**

ოთხი გამომძიებელი დისციპლინური წესით დაისჯება

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას აღმოჩენილ დარღვევებზე პროკურატურამ რეაგირება მოახდინა და ოთხი გამომძიებლის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ წარდგინება შეიტანა.

როგორც ომბუდსმენის აპარატში განგვიცხადეს, საქმე ეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოსა და განყოფილებებში სახალხო დამცველის წარმომადგენელთა მიერ გამოვლენილ დარღვევებს, რომლებიც რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას 17 აპრილს გადაეგზავნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურიდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა მიერ მიწოდებული მასალების თანახმად, საოლქო პროკურატურამ სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა და ოთხ გამომძიებელს დისციპლინური სასჯელი დაეკისრება.

მათ შორის არიან - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და განყოფილებების თანამშრომლები, გამომძიებლები - თოდუა, ცაავა, შეროზია და გაბელია. ისინი დაკავებულთა უფლებების დარღვევაში არიან ეჭვმიტანილები.

როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, გამომძიებლები წინასწარი დაკავებისას ეჭვმიტანილებს ტელეფონით სარგებლობის და ოჯახთან დაკავშირების უფლებას არ აძლევდნენ და დაკავებულთა უფლებებს არ განუმარტავდნენ. **24 საათი**

პატიმრის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა

ქუთაისელი პატიმრის, 31 წლის ვასილ გიორგაძის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. როგორც ცნობილია, ორი დღის წინ, დილის ექვს საათზე ვასილ გიორგაძე საკანში ყელგამოჭრილი იპოვეს.

ყელისა და თავის არეში მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით გიორგაძე ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოდან დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული

როგორც ცენტრის დირექტორი აცხადებს, ვასილ გიორგაძეს თავზე ოპერაცია გაუკეთდა. პატიმარი ამჟამად კომაშია. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ვასილ გიორგაძე ჯერ გასამართლებული არ არის. ის საკუთარ სასამართლო პროცესს ექვსი თვის განმავლობაში უცდიდა. **24 საათი**

ეუთო-ს მისიის დამკვირვებელი დააკავეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქალაქ სკოპიეში განლაგებული ეუთო-ს მისიიდან მიიღო წინასწარი ინფორმაცია, რომ იტალიელმა სამართალდამცველებმა 2006 წლის 25 ივნისს ქალაქ პესკარაში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, ეუთო-ს მისიის დამკვირვებელი ზურაბ ლომაშვილი.

ეუთო-ს მისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ლომაშვილი ეჭვმიტანილია ალბანეთიდან იტალიაში მსუბუქი ავტომანქანით 19,5 კგ ჰეროინის გადატანაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, ზურაბ ლომაშვილი 1991-2002 წლებში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე ირიცხებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში; ხოლო 2003 წლიდან დღემდე მუშაობს ეუთო-ს მისიის დამკვირვებლად.

საგარეო საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობები, არსებული დიპლომატიურ-სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, აგრძელებენ ფაქტების გადამოწმებასა და იტალიის სამართალდამცველ სტრუქტურებთან თანამშრომლობას. **ჯი-ეიჩ-ენი**

ფინანსურ პოლიციას შანტაჟის მოწყობაში ადანაშაულებენ

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოსთან სოფელ ფლავისმანის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ფინანსური პოლიციის მიერ გიუნაშვილების ოჯახში აღმოჩენილი ათი ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი ამ ოჯახს არ ეკუთვნოდა და პოლიციის თანამშრომლებმა კონტრაბანდა გიუნაშვილებს თავად ჩაუდეს.

ფინანსური პოლიციის რეიდის დროს სახლში გიუნაშვილების არასრულწლოვანი ვაჟი იმყოფებოდა. მისი განცხადებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა იგი ოთახში ჩაკეტეს და სიგარეტი მანქანის სადგომთან დაალაგეს.

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

დავით გიუნაშვილი პოლიციაში რამდენჯერმე უშედეგოდ დაიბარეს. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მასზე ძებნა გამოცხადდება, ბრალის დადასტურების შემთხვევაში კი, მას შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **ინტერპრესნიუსი**

სასამართლო პროცესების მონიტორინგი

ეუთო-ს მისიის ორგანიზებით, ოთხ ქართველ იურისტს და მათ თანაშემწეს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ორდღიანი კურსი უტარდებათ.

როგორც ეუთო-ს პრესსამსახურში აცხადებენ, ტრენინგებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ წარმომადგენლები ატარებენ.

ტრენინგის თემაა ადამიანის უფლებების მონიტორინგი სასამართლო პროცესებზე. ეუთო-ს მისიის ეს წამოწყება მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას სასამართლო სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში. **ინტერპრესნიუსი**

ტოქსიკური ნივთიერება ფოთის ნავსადგურში

კონტრდაზვერვის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ფოთში, ნავსადგურის მე-6 ნავმისადგომის ერთ-ერთ სათავსოში მოთავსებული ქიმიური ნივთიერება - დიდი რაოდენობით ვერცხლისწყალი ამოიღეს.

ჭურჭელში მოთავსებული ვერცხლისწყალი, დაახლოებით, 7-8 კილოგრამს იწონის. ტოქსიკური ნივთიერება ჰერმეტულ ჭურჭელში მოათავსეს და, დროებითი შენახვის მიზნით, მას უსაფრთხო ადგილას გადაიტანენ.

ჯერჯერობით გაურკვეველია, საიდან აღმოჩნდა ქიმიური ნივთიერება ტერმინალზე, სადაც ჯართის გადამუშავება ხდება.

ნავსადგურის ეკოლოგიის სამსახურის უფროსის ეკა გოგოლაძის თქმით, აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერება მიეკუთვნება ტოქსიკურ ნივთიერებათა რიცხვს და იგი აუცილებლად ჰერმეტულად დაცული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჰაერში თუნდაც მცირე დოზით აორთქლებაც კი ადამიანების ჯანმრთელობისთვის მავნე შედეგს იწვევს. **ინტერპრესნიუსი**

პრობაციის სამსახურების თანამშრომლობა

იუსტიციის სამინიტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი, მოლდოვის იუსტიციის სამინისტროს მიწვევით, ოთხდღიანი ვიზიტით კიშინიოვში გაემგზავრა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მოლდოვის იუსტიციის სამინისტროში პრობაციის სამსახური ახალი შექმნილია და მათთვის საქართველოში ამ კუთხით დაგროვილი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

ვიზიტის ფარგლებში, ალექსანდრე არაყიშვილი მოლდოველ კოლეგებს რეფორმის ძირითად მიმართულებებს დეტალურად გააცნობს. მოლდოვაში დაგეგმილ შეხვედრებზე ორი ქვეყნის პრობაციის სამსახურებს შორის მომავალი თანამშრომლობის საკითხზეც ისაუბრებენ. **24 საათი**

მეზუნია ჩიტების გადაფრენა

სოფიო თოდუა

სცენა სპექტაკლიდან.

ბოლო დროს ქართული თეატრის მისამართით უმთავრესად საყვედურები გაისმის. არცაა გასაკვირი: ჩვენ, გვინდა თუ არა ამის აღიარება, აშკარად შევიცვალეთ, შესაბამისად, საზოგადოებრივი დაკვეთაც სხვაგვარია და ქართულ თეატრსაც მისთვის აქამდე უჩვეულო რეჟიმში უწევს არსებობა. კულუარებში გაბატონებული აზრი მსახიობებისა და რეჟისორების პროფესიონალიზმის შესახებ უპირატესობას ამ უკანასკნელთ ანიჭებს - დღეს სცენაზე ნამდვილი ვარსკვლავები აღარ არიან და ჩვენც ეროვნულ დღესასწაულებზე ყოფილ პრიმადონებსა და მათ ცნობილ პარტნიორებს გრანიტის ვარსკვლავებს ვჩუქნით. ბევრს ვლაპარაკობთ ქართულ დრამატურგიაზე, პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგებიც არ გვავიწყდება და ტრადიციულად უსახსრობას ვუჩივით. მართლაც, იმის სამყოფი ფულიც არაა, რომ კულტურის სფეროში დასაქმებულ ჩინოვნიკებს ვინმემ შესავალი კურსი წაუკითხოს კულტუროლოგიაში, თუნდაც საკუთარ კაბინეტებში. ჩვენს ყველაზე ცნობილ რეჟისორებს (მეტადრე ერთს) ფანტაზიის ნაკლებობას ვსაყვედურობთ, თუმცა იმასაც ვერ ვუარყოფთ, რომ აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, მათზე უკეთესი რეჟისორი ქართულ სცენას არ შეჰმატებია. ეს ყველაფერი ერთად აღებული კი თვალნათლივ აისახება არათუ მასშტაბურ დადგმებში (ასეთებიც არის?), არამედ იაფფასიან სატელევიზიო სკეტჩებშიც.

ახმეტელის თეატრის ერთ სპექტაკლზე („ფემინა“) ვწერდი, რომ ნატო გაგნიძის სახით სცენაზე ერთდროულად კარგი დრამატურგი და შესანიშნავი მსახიობი ვიხილეთ. მორიგი პრემიერის შემდეგ ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს. პირიქით, უნდა დავუმატო, რომ მასთან ერთად ახმეტელის თეატრის სტაჟანმა არტისტმა მამუკა მაზავრიშვილიმა და დიდ სცენას ახლახან გაშინაურებულმა ზაზა თაგოშვილმა მაყურებელს ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესა „მეზუნია ჩიტები“ კეთილსინდისიერად წარუდგინეს. ბუნებრივია, ამ კეთილსინდისიერების მიღმა, რასაც მარტივად პროფესიონალიზმი ჰქვია, ასევე პროფესიონალი დრამატურგი და რეჟისორი გვინდოდა დაგვენახა. მანანა კვირკველიას რეჟისურა კი, რომ არაფერი ვთქვათ ქოქრაშვილის დრამატურგიაზე, აშკარა შეუსაბამობაში მოდის მსახიობების თამაშთან და საბოლოოდ თბილისის პრეტენზიულ პუბლიკას ჩეხოვის (და არა სტანისლავსკის) კარგად ნაცნობი თოფის ისტორიას შეახსენებს მცირეოდენი სხვაობით: როცა სცენაზე ერთი ქალი და ორი მამაკაცია, იქ აუცილებლად ფსიქოლოგიური დრამა უნდა გათამაშდეს და მაყურებელიც მოთმინებით აღიჭურვოს.

როგორც თეატრმცოდნეები გვიმტკიცებდნენ, ჩეხოვის პიესებში მოქმედება ყოველთვის იწვევს გრძნობას, გრძნობა კი აზრის მატარებელია. იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ ამ გრძნობამ გამოძახილი მაყურებლის გულში უნდა ჰპოვოს. რამდენად შეესაბამება ეს პრინციპი თანამედროვე თეატრის მოთხოვნებს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში დრამატურგიცა და რეჟისორიც სწორედ ასე მოქმედებდნენ. დავაზუსტებ: ერთიც და მეორეც დარწმუნებული არიან, რომ ჩვენს გრძნობებზე მხოლოდ სინამდვილის ადეკვატური ასახვა ახდენს შთაბეჭდილებას, თანაც ისე, რომ მაყურებელმა საერთოდაც დაივიწყოს, რომ ხელოვნება, მათ შორის თეატრალური ხელოვნებაც, ბოლოს და ბოლოს, სახეებით აზროვნებას გულისხმობს.

„მეზუნია ჩიტებში“ ვიხილეთ ჩვენთვის ზედმიწევნით ნაცნობი პერსონაჟები და ამ პერსონაჟების ზედმეტად ნატურალისტური ინტერპრეტაცია: უფხო ინტელიგენტი (მამუკა მაზავრიშვილი), რომელიც შეთავსებით მორაგბეცაა (**хулиганская игра, которую играют интеллигенты**), ქმარსა და ქმრის მეგობარს შორის გაორებული მგრძნობიარე ქალი (ნატო გაგნიძე) და, რაღა თქმა უნდა, თავხედი ნორჩი ქართველი „ნუვორიში“ (ზაზა თაგოშვილი). მეგობრების „გადაგდება“, უიღბლო სიყვარული, ჩვენი დროისთვის უცხო ერთგულება, ჩალიჩი, ქვენა გრძნობებით მანიპულირება და საცოდავად მოჭიკჭიკე თუ მოლულუნე მეზუნია ჩიტები. დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს ჩიტუნები ჩვენი ქვეყნის რომელიღაც კუთხეში ბინადრობენ, სავარაუდოდ დასავლეთ საქართველოში, თუმცა გეოგრაფიული არეალის დაზუსტებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. რა შტრიხებით გაამდიდრებდა ამ ბანალური და ჩვენთვის კარგად ნაცნობი სიუჟეტის პერსონაჟებს დრამატურგი, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. როგორ გარდასახავდა მათ რეჟისორი, ვფიქრობ, ესეც ადვილი გამოსაცნობია. საკითხავია, რას მოიმოქმედებდნენ მსახიობები, თუკი ამას ყველაფერს აცნობიერებდნენ და მათთვის მაინც სცენა ერთფეროვან სინამდვილესთან არ ასოცირდება?

ქალიც, კაციც და, ასე განსაჯეთ, ბიჭიც აშკარად იმაზე მეტს გრძნობენ, რასაც წესით დრამატურგი და რეჟისორი უნდა ხვდებოდნენ. მათი მეტყველების კულტურა, პლასტიკა თუ სულაც ინტუიცია ორსაათიან წარმოდგენას სანახაობის ელფერს ანიჭებს და შუბერტის მუსიკის ფონზე პროზაულ სიუჟეტს შეძლებისდაგვარად რომანტიკულად წარმოგვიდგენს. ეს მათი დამსახურებაა, რომ პერსონაჟებს, რომლებსაც აშკარად დაჰკრავთ ნაფტალინის სურნელი, ნატო გაგნიძის დახვეწილი არტისტიზმი, მამუკა მაზავრიშვილის ინტელიგენტური ინტონაცია თუ ზაზა თაგოშვილის ხალასი მანერები ამ გაგანია ზაფხულში გამომზეურების საშუალებას აძლევს. სხვა საქმეა, რამდენად მწველია მზის სხივები, რომელიც პარტერამდე აღწევს. ასეა თუ ისე, სწორედ ამ ტრიოს წყალობით ლირიკოსებისა და ცინიკოსების საყურადღებოდ ქვეტექსტებში დაახლოებით შემდეგი სიტყვები იკითხება: რომ არა დირექტივები „ზემოდან“ (გინდა თუ არა, ერთ სეზონზე ხუთი პრემიერა ითამაშეთ, თუ არადა, თქვენს შენობებს სხვა პატრონებიც გამოუჩნდებაო), ჩვენ დღეს სულ სხვა განზომილებებზე ვილაპარაკებდით. გაგვახსენდებოდა, რომ ახმეტელის თეატრის მწირი რეპერტუარი (სხვებთან შაედარებით, რასაკვირველია) საკასო სპექტაკლებზე არასოდეს ყოფილა ორიენტირებული; რომ სხვა თეატრების „პრიმადონებმა“ სწორედ ამ სცენაზე ითამაშეს თავიანთი საუკეთესო როლები; რომ ქართველი დრამატურგების პიესების აქაური ინტერპრეტაცია საბოლოოდ ავტორების რენომეზე დადებითად მოქმედებს; რომ აქ, მეტროს ბოლო გაჩერებაზე, სათეატროდ გამოწყობილ ქალბატონებს წააწყდებით...

რაც შეეხება „მეზუნია ჩიტებს“, იჭიკჭიკონ, არაფერს აშავებენ, მაგრამ ისე, რომ პუბლიკას სტადიონის ხმაური დაავიწყონ. იმ საღამოს კი თეატრიდან გამოსული მაყურებელი, მათ შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიც, ნერვიულად იხედებოდნენ საათებზე და ხელოვნურად შექმნილი საფეხბურთო აჟიოტაჟის ფონზე პორტუგალიის ფანკლუბში გაწევრიანებაზე ფიქრობდნენ.

Getz

ქალაქშირი რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

www.hyundai.ge

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ ართ შენი გზით

გიგი თევზაძის სიტყვა

გთავაზობთ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გიგი თევზაძის სიტყვას, წარმოთქმულს 1 ივლისს, ბაკალავრთა დამამთავრებელ დღესასწაულზე, რომელშიც კარგად არის წარმოჩენილი განათლების სისტემის რეფორმის უზოგადესი მომენტები.

პატივცემულო სტუმრებო, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებო.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა მარტო იმისათვის, რომ ვიზეიმოთ ამ უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ბაკალავრის და ხუთწლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრება, არამედ, იმისათვისაც, რომ ჩავუყაროთ საფუძველი ამ უნივერსიტეტის ტრადიციას, წარსულს და მომავალს.

უნივერსიტეტი, თავისი განსაზღვრების და წარმოშობის მიხედივთ არის არა უნივერსალური ცოდნის ადგილი, არამედ, სტუდენტთა და პროფესორთა გილდიების გაერთიანება. Universitas - სწრედ გილდიების გაერთიანებას აღნიშნავდა შუა საუკუნეების ევროპაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე უნივერსიტეტი საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, სწორედ ასე იყოს გაგებული: არა კედლები, არა შენობები, არა მხოლოდ მეცნიერთა ერთობა - არამედ - სტუდენტთა და პროფესორთა გაერთინება, რომლებიც ერთად ქმნიან საკუთარ მომავალს - კვლევაზე და ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებას.

უნივრსიტეტების და საზოგადოების, უნივერსიტეტის და სახელმწიფოს კავშირი ბევრად უფრო ღრმაა და საფუძვლიანი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და ევროპის გვიანი შუა საუკუნეებისაკენ მივყავართ: ეს არ არის ზედაპირული კავშირი, რომელიც მხოლოდ სუბორდინაციით და იერარქიით ამოიწურება. დღეს მე მინდა გელაპარაკოთ უნივერსიტეტის სულის და თანამედროვეობის სულის შესახებ: დღევანდელ სახელმწიფოს და საზოგადოებას, იმ სახელმწიფოს, რომლშივე ვცხოვრობთ, იმ საზოგადოებას, რომლის საშუალებითაც საკუთარ თავს ვსაზღვრავთ და ვიგებთ, საფუძველი შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში ჩაეყარა: მე ვგულისხმობ შუა საუკუნეების პირველ უნივერსიტეტებში სტუდენტების და პროფესორების გაერთიანებებს, რომლებსაც natio ერქვა. მანამდე ეს ლათინური სიტყვა აღნიშნავდა მხოლოდ ადამიანის წარმოშობის-დაბადების ადგილს. პირველი ევროპული სივრცე, სადაც მოხდა natio-ის, ანუ, ერის ინსტიტუციური ჩამოყალიბება, არის შუა საუკუნეების უნივერსიტეტი. ერებად გაერთიანებული პროფესორები და სტუდენტები წყვტდნენ ყველა იმ საკითხს, რომელიც უნივერსიტეტისათვის იყო მნიშვნელოვანი, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ქალაქის მმართველობასთან. რა თქმა უნდა, იყო დაპირისპირებებიც: ყველაზე ცნობილი დაპირისპირება, რომელიც სისხლისღვრაში გადაიზარდა, მოხდა მე-13 საუკუნის პარიზში - გერმანულ და ფრანგულ ნაციებს შორის - საკამათო იყო, თუ რომელ ნაციას ეკუთვნოდა ერთ ერთი ახალდაცული დოქტორი. ასევე, იყო საომარი მოქმედებების რამდენიმე შემთხვევაც ნაციებს და იმ ქალაქებს შორის, რომლებშიც უნივერსიტეტები იყვნენ განლაგებულნი. ნაციებად გაერთიანების საუნივერსიტეტო იდეა ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა - ნაციები ძლიერდებოდნენ, და არა მარტო ლოკალურ, არამედ, იმ დროის აზრით გლობალურ მნიშვნელობასაც იძენდნენ. ეს კი ხიფათს უქმნიდა არა მარტო პოლიტიკურ წყობილების სტაბილურობას, არამედ სახელმწიფოს იმდროინელი იდეასაც. ამიტომ, მე-15 საუკუნეში კონსტანცის საბჭომ აკრძალა სტუდენტების და პროფესორების ნაციებად გაერთიანება. მაგრამ, მსოფლიოს ახალი მოწყობის მარცვალი უკვე ჩაგდებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ მარცვლის გაღივებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა, საბოლოოდ, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორების ჩართვის შემდეგ, მივიღეთ ის სახელმწიფო და ის საზოგადოება, რომლშიც ვცხოვრობთ და რომელიც ერი-სახელმწიფოს იდეაზეა დაფუძნებული.

დღეს ჩვენი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ახალი იდენტობების ძებნის დაწყება ფაქტიურად დაემთხვა ევროპაში უნივერსიტეტების ცვლილების დაწყების პროცესს. უნივერსიტეტები იცვლებიან სხვა ქვეყნებშიც, და მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებებს ფორმალურად ადეკვატურობის და მოქნილობის მოთხოვნები უდევს საფუძვლად, მე ვფიქრობ, რომ ამ ცვლილების საფუძველი უფრო ღრმაა, და საბოლოოდ იმავალთ იმ ახალი იდენტობების და თვითგანსაზღვრულების წყაროსთან, როგორც ეს მოხდა ევროპაში 8-9 საუკუნის წინათ.

ეს პროცესი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც ახალი უნივერსიტეტების მშენებლობა დაიწყო და ეს აგება, კონსტრუირება ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის და საქართველოს იდენტობის ჩამოყალიბების გადამწყვეტ ფაზას: მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ეს არის არა შენობების, არამედ, პროფესორთა და სტუდენტთა შორის ახალი კავშირების მშენებლობა. საქართველოს შემთხვევაში ახალ უნივერსიტეტს აკისრია არა მარტო გლობალური, არამედ, ლოკალური ვალდებულებაც - კონკრეტული საზოგადოების და სახელმწიფოს იდენტობების და განსაკუთრებულობის ჩამოყალიბებაში ითამაშოს გადამწყვეტი როლი.

დღეს ჩვენ ვესწრებით არა მარტო კურსდამთავრებულთა საპატივსაცემად გამართულ საზეიმო ცერემონიას, არამედ, ახალი უნივერსიტეტის დაბადებასაც. არ იქნება მხოლოდ სიტყვები, თუ ვიტყვი, რომ ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი იხედება მომავალში და ეყრდნობა წარსულს - არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ იმ კონკრეტულ გამოცდილებასაც, რომლებიც ჩვენ გადმოგვეცა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის და სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გაერთიანების სახით. ამის საბუთი თუნდაც ახალი უნივრსიტეტის ის საპატიო პროფესორები არიან, რომლებმაც პატივი დაგვდეს და აქ იმყოფებიან.

დღეს ჩვენ საფუძველს ვუყრით არა მარტო ჩვენს მომავალს, არამედ, ამავე დროს ჩვენს წარსულსაც - ტრადიციების შემქნა, რომლის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი - ეს ცერემონიაა - აღნიშნავს იმ წარსულს, რომლის მემკვიდრედაც ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი თვლის თავს.

ეს უნივერსიტეტი - სტუდენტთა და პროფესორთა ეს გაერთიანება - ეყრდნობა სამ თავისუფლებას - აკადემიურს, სინდისის და არჩევანის თავისუფლებებს. ჩვენი სტუმრები, რომლებმაც პატივი დაგვდეს და დღეს აქ იმყოფებიან, განასახიერებენ უნივერისტეტის ძირითად სტრატეგიულ ხედვას: სამეცნიერო ინსტიტუტების და დაწესებულებების დირექტორების აქ ყოფნა განასახიერებს უნივერსიტეტის მიმართებას იყოს კვლევების მნიშვნელოვანი ცენტრი. განათლების და მეცნიერების მართვის სისტემის წარმომადგენლების აქ ყოფნა მიუთითებს უნივერსიტეტის ამბიციას იქცეს იმ ძირითად ერთეულად, რომელიც ქმნის ქვეყნის განათლების სისტემის მართვის და მუშაობისათვის აუცილებელ ადამიანურ და სამეცნიერო რერსურსებს. ჩვენი პარტნიორი ბანკების მმართველების დასწრება ამ ცერემონიაზე აღნიშნავს ჩენი უნივერსიტეტის და ორიენტირებას ბიზნეს საზოგადოებაზე - აქედან გამომავალი ყველა შედეგით.

მინდა მივმართო უშუალოდ კურსდამთავრებულებს: თქვენ დაიწყეთ სწავლა ერთ უნივერსიტეტში და დაასრულეთ სრულიად ახალში. თქვენს წინაშეა ორი გზა - ან გახვიდეთ შრომის ბაზარზე, ან გააგრძელოთ სწავლა ამ ან სხვა ნებისმიერ უმარლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ორივე ამ გზაზე ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიძლება გახდეს თქვენი დამხმარე და მეგზური: მათ, მინც მოინდომებს აკადემიურ განათლებას თავი დაანებოს და დაიწყოს სპეციალობის მივედვით მუშაობა, უნივერსიტეტი შესთავაზებს პროფესიული სრულყოფის და გადამზადების ძალაინ მრავალფეროვან პროგრამაბს - როგორც მათ სპეციალობაში, ასევე, პროფილის შეცვლის მსურველებს. მათ, ვინც მოინდომებს საკუთარი უახლოესი მომავალი აკადემიურ განათლებას და კვლევას დაუკავშიროს, უნივერისტეტი შესთავაზებს სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს, რომლებსაც, არა მარტო საქართველოს მასშტაბით, ცნობილი და დაფასებული მეცნიერები გაუძღვებან.

და ბოლოს, ჩემი სიტყვის დასასრულს, მინდა გავიხსენო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსის - ჯონ დუის სიტყვები: „არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე, რომ თანამედროვეობის ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს არა ახალი განათლების ძველის წინააღმდეგ, ან პროგრესული განათლების ტრადიციულის წინააღმდეგ დაპირისპირება, არამედ, თუ როგორი უნდა იყოს ის, რაც ღირსეულად იმსახურებს სახელს - განათლება. ჩვენ უფრო დამაჯერებლად და სწრაფად მივაღწევთ პროგრესს, როდესაც საკუთარ თავს მივუძღვნით იმის ძიებას, თუ რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ განათლება რეალობა იყოს და არა ცარიელი სახელი ან ლოზუნგი“. სწორედ ეს გახლავთ ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება შეიქმნეს ახალი უნივერსიტეტი და ჩვენ ჩვენი თავი და ჩვენი დრო მივუძღვნათ ამ საქმეს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 28 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი № 1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი № 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი:

1. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით, გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.
2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.
3. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 67 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით:
   - ისტორია - არა უმეტეს 13 აკადემიური თანამდებობისა;
   - არქეოლოგია, ეთნოგრაფია, სოციო-კულტურული ანთროპოლოგია - არა უმეტეს 6 აკადემიური თანამდებობისა;
   - ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებანი - არა უმეტეს 4 აკადემიური თანამდებობისა;
   - სამართალმცოდნეობა - არა უმეტეს 15 აკადემიური თანამდებობისა;
   - ეკონომიკა - არა უმეტეს 33 აკადემიური თანამდებობისა;
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი, მაძიებელი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:
   - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - ოთხი ფოტოსურათი (3/4);
   - შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   - ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
   - ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

   გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.
7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.
8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :
   - სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;
   - კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.
   - კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში, მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები, ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).
   - სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - პატენტი;
9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.
10. საბუთების მიღება იწარმოებს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, (ქ.ბათუმი, ე.ნინოშვილის ქუჩა 35, ოთახი № 513). კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 5 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 20 აგვისტოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 26 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი № 1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი № 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი :

1. ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.
2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.
3. კონკურსი გამოცხადდეს ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 33 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით :
   - მათემატიკა - არა უმეტეს 13 აკადემიური თანამდებობისა;
   - ფიზიკა- არა უმეტეს 6 აკადემიური თანამდებობისა;
   - კომპიუტერული ტექნოლოგიები- არა უმეტეს 8 აკადემიური თანამდებობისა;
   - პედაგოგიკა- არა უმეტეს 4 აკადემიური თანამდებობისა ;
   - ფსიქოლოგია - არა უმეტეს 2 აკადემიური თანამდებობისა ;
   - ფიზიკური-აღზრდა - არა უმეტეს 5 აკადემიური თანამდებობისა.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი, მაძიებელი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:
   - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - ოთხი ფოტოსურათი (3/4);
   - შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   - ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
   - ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

   გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.
7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.
8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :
   - სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;
   - კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.
   - კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები), (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).
   - სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - პატენტი;
9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.
10. საბუთების მიღება იწარმოებს ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, (ქ.ბათუმი, ე.ნინოშვილის ქუჩა 35, ოთახი № 219). კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 5 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 20 აგვისტოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 25 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი № 1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი N 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი :

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.
2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.
3. კონკურსი გამოცხადდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის 42 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით:
   - ბიოლოგია, ჰიდრობიოლოგია, ეკოლოგია - არა უმეტეს 20 აკადემიური თანამდებობისა;
   - გეოგრაფია - არა უმეტეს 8 აკადემიური თანამდებობისა;
   - ქიმია - არა უმეტეს 8 აკადემიური თანამდებობისა;
   - ქირურგია - არა უმეტეს 8 აკადემიური თანამდებობისა;
   - თერაპია - არა უმეტეს 5 აკადემიური თანამდებობისა;
   - სტომატოლოგია - არა უმეტეს 3 აკადემიური თანამდებობისა;
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება .

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი, მაძიებელი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:
   - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - ოთხი ფოტოსურათი (3/4);
   - შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   - ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
   - ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

   გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.
7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.
8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :
   - სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;
   - კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.
   - კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები), (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).
   - სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
   - პატენტი;
9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.
10. საბუთების მიღება იწარმოებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე, (ქ.ბათუმი, ე.ნინოშვილის ქუჩა 35, ოთახი № 314)., კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 5 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 20 აგვისტოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 27 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი № 1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).

2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი № 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი :

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.

3. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 50 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით :

- ქართული ფილოლოგია; ზოგადი ენათმეცნიერება; თურქული ფილოლოგია; ჟურნალისტიკა - არა უმეტეს 30 აკადემიური თანამდებობისა;

- სლავისტიკა - არა უმეტეს 10 აკადემიური თანამდებობისა;

- ევროპეისტიკა, კლასიკური ფილოლოგია და ნეოგრეცისტიკა - არა უმეტეს 20 აკადემიური თანამდებობისა;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება .

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი, მაძიებელი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მიზნით **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ოთხი ფოტოსურათი (3/4);

- შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

- ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

- ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.

7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.

8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :

- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;

- კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.

- კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში, მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები), (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).

- სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- პატენტი;

9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.

10. საბუთების მიღება იწარმოებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, (ქ.ბათუმი, ე.ნინოშვილის ქუჩა 35, ოთახი № 213)., კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 5 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 20 აგვისტოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 27 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი №1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).

2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი № 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი :

1. ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.

3. კონკურსი გამოცხადდეს ხელოვნების ფაკულტეტის 50 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით :

- ხელოვნების ისტორია და თეორია - არა უმეტეს 8 აკადემიური თანამდებობისა;

- სასცენო ხელოვნება - არა უმეტეს 10 აკადემიური თანამდებობისა;

- კინო-ტელე ხელოვნება - არა უმეტეს 5 აკადემიური თანამდებობისა;

- სახვითი ხელოვნება - არა უმეტეს 10 აკადემიური თანამდებობისა;

- კლავიშიანი საკრავები, ფორტეპიანო (სპეციალობა); საერთო ფორტეპიანო; საკონცერტმაისტერო დახელოვნება; კამერული ანსამბლი - არა უმეტეს 11 აკადემიური თანამდებობისა;

- აკადემიური გუნდის დირიჟორობა; აკადემიური სიმღერა ; საოპერო მომზადება; საორკესტრო (სიმებიანი და ჩასაბერი) საკრავები - არა უმეტეს 11 აკადემიური თანამდებობისა;

- მუსიკისმცოდნე, მუსიკოლოგი-ფოლკლორისტი - არა უმეტეს 3 აკადემიური თანამდებობისა;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან ხელოვნებისა და კულტურის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირს, კერძოდ:

საშემსრულებლო მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლეს თეატრალურ, კინოსახელოვნებო და სახვითი ხელოვნების სასწავლებელში ძირითადი საგნის სწავლებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, მათ შორის, ბოლო 3 წლის უწყვეტი სტაჟი, სამუსიკო შემსრულებლობის მიმართულებით კი - 2 წლის უწყვეტი სტაჟი.

კონსერვატორიის სამუსიკო შემსრულებლობის მიმართულებით **სრული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს: უმაღლეს სამუსიკო სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორად ან მასთან გათანაბრებულ თანამდებობაზე მუშაობის 6 წლის, მათ შორის, ბოლო 2 წლის უწყვეტი სტაჟი; საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკა, მეთოდური შრომები; კანდიდატის მიერ აღზრდილ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულებით **სრული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი; სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, მათ შორის, ბოლო 2 წლის უწყვეტი სტაჟი; მნიშვნელოვანი წვლილი მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში; უნდა იყოს ფართოდ აღიარებული სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური შრომების ავტორი; მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში.

საშემსრულებლო მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი თეატრალური, კინოსახელოვნებო და სახვითი ხელოვნების სასწავლებლის საშემსრულებლო სპეციალობის, კონსერვატორიის საშემსრულებლო სპეციალობის და მუსიკის თეორიის ძირითადი საგნის სწავლებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მათ შორის, ბოლო 2 წლის უწყვეტი სტაჟი, სამუსიკო შემსრულებლობის მიმართულებით კი - 1 წლის უწყვეტი სტაჟი.

კონსერვატორიის სამუსიკო შემსრულებლობის მიმართულებით **ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს: უმაღლეს სამუსიკო სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორად ან მასთან გათანაბრებულ თანამდებობაზე მუშაობის 3 წლის, მათ შორის, ბოლო 1 წლის უწყვეტი სტაჟი; საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკა, მეთოდური შრომები; კანდიდატის მიერ აღზრდილ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულებით **ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი; სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მათ შორის, ბოლო 1 წლის უწყვეტი სტაჟი; მნიშვნელოვანი წვლილი მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში; იყოს ფართოდ აღიარებული სამეცნიერო - კვლევითი, მეთოდური შრომების ავტორი; მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში.

საშემსრულებლო მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროფესიული და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკა და პროფესიული წარმატებები.

მუსიკის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ოთხი ფოტოსურათი (3/4);

- შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

- ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

- ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.

7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.

8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :

- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;

- კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.

- კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში, მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები), (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).

- სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- საავტორო უფლებები;

საშემსრულებლო მიმართულებით დამატებით გათვალისწინებული იქნება:

- სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, საქართველოს ან საზღვარგარეთის პროფესიული პრემიების ლაურეატობა;

- პროფესიული მოღვაწეობის პრაქტიკა და მიღწევები;

- ჯგუფის გამოშვება; მის მიერ აღზრდილთა შორის მნიშვნელოვანი პროფესიული წარმატების მქონე სპეციალისტების არსებობა.

- პროფესიული პრემიები, შემოქმედებითი საქმიანობის პრაქტიკაში განხორციელება: ფილმი, სპექტაკლი, როლი, გამოფენა, კონცერტები და სხვა;

- საპატიო წოდება.

- კონკურსში მონაწილეს, რომელსაც არ უმუშავია კონსერვატორიაში, დამატებით ეასჭიროება სამუსიკო ხელოვნების ორი აღიარებული სპეციალისტის (პროფესორის) რეკომენდაცია. რეკომენდატორი შეიძლება იყოს იმ სასწავლო დაწესებულებებიდან, სადაც კანდიდატი ბოლო დრომდე მუშაობდა (მუშაობს). რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატის როგორც პიროვნული, ისე დასაკავებელი თანამდებობისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის, საშემსრულებლო-პედაგოგიური თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმანობის შესახებ მონაცემებს.

9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.

10. საბუთების მიღება იწარმოებს ხელოვნების ფაკულტეტზე (ქ.ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 102, ხელოვნების ფაკულტეტის დეკანატი) და კონსერვატორიაში (ქ.ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 20, დირექციის სამდივნო).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 5 აგვისტო.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 20 აგვისტოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის № 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის **2006 წლის 26 ივნისის** წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლე-ბელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი (დანართი №1) თანდართული დებულებით (დანართი № 2).

2. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი ნ. მგელაძე

დანართი № 1

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი :

1. საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. კანდიდატთა სამეცნიერო-პედაგოგიური კომპეტენციები განიხილება საკონკურსო მიმართულების მიხედვით. კანდიდატს უნდა ჰქონდეს საკონკურსო მიმართულების შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ან შესაბამისი მიმართულების მიხედვით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, ან კითხულობდეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამის ძირითად სალექციო კურსებს.

3. კონკურსი გამოცხადდეს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის 26 აკადემიურ თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებით :

- ტელეკომუნიკაცია - არა უმეტეს 7 აკადემიური თანამდებობისა;

- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა - არა უმეტეს 5 აკადემიური თანამდებობისა;

- საფრენი აპარატებისა და ძრავების ექსპლუატაცია - არა უმეტეს 4 აკადემიური თანამდებობისა;

- ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია - არა უმეტეს 4 აკადემიური თანამდებობისა ;

- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა - არა უმეტეს 6 აკადემიური თანამდებობისა ;

- მაგისტრალური ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია - არა უმეტეს 6 აკადემიური თანამდებობისა .

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება .

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ამასთან, აკრედიტებულ და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი, ან უნდა იყოს ასპირანტი, მაძიებელი ან დოქტორანტი (ან მასთან გათანაბრებული პირი).

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს**:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებული ანკეტა და მისი ელექტრონული ვერსია (შრიფტი - AcadNusx ან Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი - 1,5); ანკეტის ფორმას გასცემს დეკანატი.

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ოთხი ფოტოსურათი (3/4);

- შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

- ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

- ერთი სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი);

გარდა ამისა, **სრული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დისციპლინის სწავლების კონცეფცია (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეებზე).

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირად მონაცემებს შეაფასებს **საკონკურსო კომისია**. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. საკონკურსო კომისია **სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს და დეკანის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის თაობაზე.

7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით.

8. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი **კრიტერიუმები** :

- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში;

- კანდიდატის უნარი, განათლების რეფორმისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში.

- კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო პუბლიკაციები, პირველ რიგში, მაღალრეიტრინგულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები), (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წაკითხვა/ სტაჟირება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, ტრენინგები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო აკადემიების (საზოგადოების, საბჭოების) წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სამეცნიერო ხელმძღვანელობის (საბაკალავრო ნაშრომის/მაგისტრანტის/ დოქტორანტის და სხვ.) გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა და რეცენზენტობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- სახელმწიფო და სამეცნიერო დარგობრივი პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 10 წლის განმავლობაში).

- სამეცნიერო ექსპედიციების წევრობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

- პატენტი;

9. სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით.

10. საბუთების მიღება იწარმოებს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტზე, (ქ.ბათუმი, ფიროსმ

კინო

3 ივლისი

კინო

„ამირანი“
დიდი დარბაზი
„სამმაგი ფორსაჟი - ტოკიო“
„განქორწინება ამერიკულად“
დასაწყისი: 19.00; 22.00

მცირე დარბაზი
„ტყის საძმო“
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00

გალერეა

„ჰობი“
ანტინარკოტიკული პლაკატის გამოფენა

„TMS“
ჯაზ-ფესტივალის პლაკატის გამოფენა-კონკურსი

„უნივერსი“
აქტუალური ხელოვნების გამოფენა
„დაკარგულები“

საბჭოთა მხატვრების ნამუშევრები

დუბლინში გამართულ აუქციონზე, რომელზედაც საბჭოთა კავშირის დროინდელი ხელოვნების ნიმუშები იყო წარმოდგენილი, 372 პორტრეტი, ნატურმორტი და პეიზაჟი საწყის ფასზე გაცილებით ძვირად გაიყიდა.

ნახატთა უმეტესობა ე. წ. საბჭოთა რეალიზმისა და იმპრესიონიზმის მიმართულებებს მიეკუთვნება და 1920-1980 წლებშია შესრულებული. დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა პერიოდის მხატვრის, ტიგრან ტაკმაჯიანის ტილომ „ფარა ურალზე“. სურათი 4 800 ევროდ გაიყიდა, რაც მოსალოდნელ შედეგს, პრაქტიკულად, ორჯერ აღემატებოდა. ალექსეი ვარლამოვის ნახატი „თავისუფლების 50 წელი“ კი 4 400 ევროდ შეიძინა ანონიმმა მყიდველმა. აუქციონზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ლენინის პორტრეტები. **ჯი-ეიჩ-ენი**

განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა გაზეთში "24 საათი" 29 მაისის №116-ში გამოაცხადა ტენდერი მცხეთის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის 13908 ჰა ფართობზე ტყეთმოწყობის (ინვენტარიზაცია და მონაცემთა დამუშავება) მომსახურების სამუშაოს შესყიდვაზე. 22 ივნისს ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული სსიპ "ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი". სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 90000 ლარი.

სატენდერო კომისია

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალოკომოტივო მასალების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 28 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სალოკომოტივო მასალების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში, ლოტ №1-ში, წყვილთვალის არტახის განსაკუთრებულ თავისებურებაში, ნაცვლად 1100X143X98 მმ-სა იკითხებოდეს 1010X143X98 მმ.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 28 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლელება რის მიხედვითაც:

ა) მე-6 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი: ან/და ცნობა დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) მოწოდების პირობად განისაზღროს SIF-თბილისი;

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

განცხადება

შ.პ.ს. "კომპლექსინტერსერვისი" გთავაზობთ სახელმწიფო შესყიდვების პროცესებში (ტენდერი, ფასთა კოტირება) მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მომსახურების გაწევას:

1 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება;

2 სატენდერო წინადადებებისა და მისი დანართების შედგენა;

3 კონსულტირება სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სწორად წარმართვაში.

4 თქვენთვის კანონით მონიჭებული უფლებების დაცვა.

5 ყოველდღიური ინფორმაციის მოწოდება თქვენთვის საინტერესო შესყიდვებთან დაკავშირებით.

ჩვენი მისამართია: მაჩაბლის ქ. N7
fax 92-38-92
tel: 93-14-10

სააქციო საზოგადოება - ფირმა “კოლხეთის” განცხადება

სს-ფირმა “კოლხეთი” აცხადებს აუქციონს საზოგადოების 2006 წლის 30 ივნისის №4 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალის 3,627%-ის (1 აშშ ნომინალური ღირებულების 15545 ცალი აქცია) დაუნაწილებლად გასხვისების შესახებ. განცხადებები განიხილება აქციათა ნომინალური ღირებულებებიდან ზევით, თანხის შეთავაზების შემთხვევაში.

დაინტერესებული პირების განცხადებები მიიღება 2006 წლის 7 ივლისის ჩათვლით, საზოგადოების დირექციაში სამუშაო დღის განმავლობაში (0 საათიდან (7 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, გ. ჭყონდიდელის ქ. (87. სს-ფირმა “კოლხეთის” დირექცია, ტელ.66-31-21.

ახალი კინო ძველი ეპოქის ეპიგრაფით

ნანა ბოჭორიშვილი

საავტორო ხელოვნების განვითარების ცენტრმა „მარადისმა“ და კინოთეატრმა „ამირანმა“ 28-29 ივლისს მაყურებელს კინორეჟისორ გოგიტა ჭყონიას ფილმები - „მამა, შვილი და ნიავი“ და „ფსევდომორფოზა“ წარუდგინა.

გოგიტა ჭყონია 80-იანელთა თაობის წარმომადგენელია, რომელიც თენგიზ აბულაძის მოწაფე და ქართული ექსპერიმენტული კინომიმართულების ერთ-ერთი დამფუძნებელია, მაგრამ საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, როგორც საერთოდ ქართული კინო, ასევე გოგიტა ჭყონიას შემოქმედება გარკვეულ სივრცეში ჩაიკეტა და დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

წარმოდგენილი ფილმების იდეა, თემატიკა ქვეყანაში პოლიტიკური კატაკლიზმების დროს შეიქმნა, ამიტომაც ბუნებრივია, რომ სანახაობას პოლიტიკური ელფერი დაკრავს, მართალია არა ხაზგასმულად, მაგრამ კარგად ჩანს 90-იანი წლების პრობლემატიკა, ტრაგიზმი და ხელოვანი ადამიანის ბედი, რაც თავად რეჟისორმაც გაიზიარა. თითქოს ლოგიკურია ის ფაქტიც, რომ კინო-ესსეში „ფსევდომორფოზა“ მთავარი მოქმედი გმირი თავად გოგი ჭყონიაა. ფილმში რეჟისორმა საინტერესო, კინოსთვის აუცილებელი ახლოხედით შთამბეჭდავი, პოეტური სახე შექმნა, რომელიც ახალი თავისუფალი სამყაროს ძიებაშია და სურს მსოფლიოსთან სასაუბრო ენა იპოვოს. მან წარმოგვიდგინა გმირი, რომელიც პროფესიის სიყვარულს ქალის სიყვარულთან აიგივებს ანუ „შეყვარებული კინომატოგრაფზე, როგორც ქალზე“. ფილმის მთავარი გმირი გიგო ძველი ფირების გროვაში პოულობს მოკლული ქალის გვამს, რაც მეტაფორული აზროვნების ერთი-ერთი საინტერესო მიგნებაა - ფილმის ავტორსა და გმირს ერთდროულად უკლავენ მუზას. „მეტამორფოზა“ ხუთი ნოველისაგან შედგება, მათ შორის ორი ანიმაციურ ჟანრშია ნამუშევარი, იმდენად ფაქიზად, რომ ფილმის მთლიანობიდან არათუ ვარდება, პირიქით ამ ნაწილის გარეშე შეუძლებელია ფილმის მთავარი სათქმელის სრულყოფილი აღქმა. ფილმი საინტერესოა იმითაც, რომ ანიმაცია შექმნილია არა კომპიუტერული ტექნიკის ჩარევით, არამედ ხელით. მინიმალური ხერხებით, მაგრამ შთამბეჭდავადაა გადმოცემული თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ის ეხმარება ჩიტს, როგორც ქართული კინოს სიმბოლოს, დახურული სივრციდან გაღწევაში. თავად ფილმიც, როგორც დარბაზში აღინიშნა, საბჭოთა ეპოქის უკანასკნელი თავისუფალი კინოპროექტია. რეჟისორის პროდიუსერი ნინო ნაცვლიშვილი კი თვლის, რომ წარმოდგენილი ფილმები „ეპოქის ეპიგრაფია - საბჭოთა იმპერიის ნგრევიდან ვარდების რევოლუციამდე“.

ფილმზე რეჟისორთან ერთად საინტერესო შემოქმედებითმა გუნდმა იმუშავა. მუსიკის ავტორები დათო ევგენიძე და გიო ცინცაძეა, დამდგმელი მხატვარი - ნუგზარ ტარიელაშვილი, ოპერატორები - ნუგზარ ერქომაიშვილი და გიორგი ბერიძეა. იმის გამო, რომ ფილმზე მუშაობა თითქმის ათი წელია მიმდინარეობს, ფილმის ანიმაციური ნაწილის მხატვარმა ეთერ მითაგვარიამ ფილმის დასრულებაში მონაწილეობა ბოლომდე ვერ მიიღო, მაგრამ უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის მის წარმატებაში. ქალბატონი ეთერი ამჯერად საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის თვლის რომ გოგიტა ჭყონიას ფილმი არტსა და კინოს შორის არსებული ჟანრია და მას არაკომერციული ფილმისთვის დამახასიათებელი ღირებულება გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ გოგი ჭყონიას ყველა ფილმს ერთი ხელწერა აქვს, ისინი განსხვავდებიან დრამატურგიული და მონტაჟური დინამიკით და პლასტიკით. კინომცოდნე გოგი გვახარია რეჟისორის შემოქმედებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მაშინ როცა კინემატოგრაფი შორდება თავის ბუნებას, თავის არსს, ახალგაზრდა რეჟისორი გოგიტა ჭყონია კინოენით ცდილობს გველაპარაკოს და კინო დაუბრუნოს „თავის თავს“.

თავად რეჟისორი თავის არჩევანს რობერტ ბრესონის სიტყვებით ხსნის: „კინო არა სინთეზი, არამედ საიდუმლოა“. ამ საიდუმლოს მიგნებას კი მინიმალისტური ფორმებით, მაგრამ მაქსიმალური შედეგების მიაღწევით ცდილობს. ფიქრობს, რომ მის ფილმებში თავმოყრილია წინა ეპოქის ხელოვნების ჟანრთა კალეიდოსკოპი, მაგრამ „კინოში ჩემთვის მთავარი მაინც გამოსახულება და ხმაა“. მას კინოსადმი გაჩენილმა ფანატიკურმა დამოკიდებულებამ არქიტექტორის პროფესიაზე უარი ათქმევინა. „ერთ დღეს ყველაფერი გაქრა და დარჩა ის, რასაც მხოლოდ მე ვხედავდი“. გოგიტა ჭყონიას სურვილი - ქართულ კინოში დააკანონოს წარმოდგენილი ჟანრი, გარკვეულწილად სრულდება, რადგან მაყურებელი გარინდებული უცქერდა ეკრანს და ფილმის დასრულების შემდეგ დიდხანს უჭირდა განცდებიდან, შთაბეჭდილებებიდან თავის დაღწევა. რეჟისორმა თავის საყვარელი ფრაზები გამანდო: „მე ღირსეულად დავემკვიდრე, სამ დიად დროზე, და იმედი მაქვს ამ ნიადაგზე, ჩემი კანონი რომ დავაფუძნე“.

გოგიტა ჭყონიას ფილმები საუკეთესო მასალაა კინოკრიტიკოსებისათვის, როგორც ქართული კინოს ახლი გამოძახილი. მაგრამ იმისათვის, რომ მან ქართული სივრცე გაარღვიოს და მსოფლიო არტ-კინო დააინტერესოს, ამისათვის ფილმების თანამედროვე ციფრულ მატარებლებზე გადატანაა აუცილებელი, რაც ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. ფილმის პროდიუსერი იმედს გამოთქვამს, რომ კინოცენტრი, რომელიც სახელმწიფო სუბსიდიაზეა, წელს ამ ფილმის დაფინანსებაზეც იზრუნებს, რათა 2007 წლის თებერვალში ფილმი როტერდამის ფესტივალზე მოხვდეს. ეს კი ერთ-ერთი რეალური შანსია ფილმის დისტრიბუციის დასაწყებად.

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“ აცხადებს
კონკურსს ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე:

1) კადრებისა და კანცელარიის განყოფილების უფროსი
1 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: მუშაობის სტაჟი ანალოგიური პროფილით - მინიმუმ 2 წელი, ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel, Internet). ხელფასი - 600 ლარი

2) ოპერატორი
3 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: უმაღლესი განათლება (სტატისტიკოსი, ეკონომისტი, მათემატიკოსი) მუშაობის სტაჟი - მინიმუმ 1 წელი, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel). ხელფასი - 400 ლარი.

3) ბუღალტერი
1 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: სამუშაო სტაჟი ანალოგიური პროფილით - მინიმუმ 2 წელი, უმაღლესი ეკონომიური განათლება, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel). მინიმალური ხელფასი - 500 ლარი.

4) ეკონომისტი
1 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: სამუშაო სტაჟი ანალოგიური პროფილით - მინიმუმ 2 წელი, უმაღლესი განათლება ფინანსისტ-ეკონომისტის განხრით, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel). მინიმალური ხელფასი - 600 ლარი.

5) ავტოსათადარიგო ნაწილების შეკვეთების მენეჯერი
1 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: სამუშაო სტაჟი ანალოგიური პროფილით - მინიმუმ 2 წელი, უმაღლესი განათლება საავტომობილო განხრით, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel). მინიმალური ხელფასი - 600 ლარი.

6) ავტოინჟინერი
1 საშტატო ერთეული.
მოთხოვნები: სამუშაო სტაჟი ანალოგიური პროფილით - მინიმუმ 2 წელი, უმაღლესი განათლება ავტომატიკა ელექტრონიკის განხრით, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა, კომპიუტერის ცოდნა (Word, Excel). მინიმალური ხელფასი - 600 ლარი.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ გადმოაგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) 2006 წლის 10 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: info@tegetamotors.ge

გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური ვარტნიორები:

Ferrari Enzo აუქციონზე მფლობელთან ერთად გაიყიდება

გერმანელი ახალგაზრდა ქალბატონი Ferrari Enzo-ს აუქციონზე გაყიდის, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ მყიდველი ავტომობილს მის პატრონთან ერთად შეიძენს. აღნიშნული ავტომობილის ღირებულება 500 ათას დოლარს აღემატება. ავტომობილისა და მისი მფლობელის საწყისი ღირებულება 1,6 მილიონი დოლარია. მყიდველი მამაკაცი, რომელიც ამ თანხას გადაიხდის, Ferrari Enzo-სთან ერთად მის მფლობელ, ფინანსურად უზრუნველყოფილ ქალბატონსაც მიიღებს. გერმანელი ქალბატონის განცხადებით, მისი ასეთი ნაბიჯის მოტივაცია ღირსეული მამაკაცის პოვნაა, რომელიც მას შეიყვარებს. "იმედი მაქვს, რომ ასეთ მამაკაცს აუცილებლად ვიპოვი, რადგან FerrArl Enzo-ს შეძენის საშუალება ყველას არ აქვს,"-განაცხადა გერმანელმა ქალბატონმა.

Morgan 100 ექსკლუზიურ კუპეს გამოუშვებს

კომპანია Morgan-მა ექსკლუზიური კუპე Morgan Aeromax-ის გამოშვების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აღნიშნული მოდელი საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით, მხოლოდ 100 ცალი გამოვა. შეგახსენებთ, რომ ეს ავტომობილი Morgan Aero 8-ის პლატფორმაზე, ჯერ კიდევ 2005 წელს შეიქმნა. ეს ავტომობილები კომპანიამ ინდივიდუალური შეკვეთის საფუძველზე გამოუშვა. შემკვეთი ერთ-ერთი შვეიცარელი ბანკირი გახლდათ. ავტომობილის დიზაინზე კი მეთიუ ხამპფრისი მუშაობდა. აღნიშნული მოდელების წარმოებას კომპანია 2008 წელს დაიწყებს. კომპანიის მენეჯერი აცხადებს, რომ ყოველკვირეულად კომპანია Morgan მხოლოდ ორ ავტომობილს გამოუშვებს. ბოლო მოდელი კი გეგმის მიხედვით 2009 წლისთვის გამოვა. ბოლო ავტომობილის გამოშვებას კომპანია 100 წლის იუბილეს მიუძღვნის. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ექსკლუზიური ავტომობილის შვეიცარელი ბანკირისგან თანხმობა უკვე მიიღეს, ასე, რომ ავტომობილ Morgan Aeromax გამოშვებას წინ არაფერი უდგას. დიდ ბრიტანეთში აღნიშნული ექსკლუზიური ავტომობილი 94 ათასი ფუნტი სტერლინგი ეღირება. ეს ფასი მის წინამორბედ Aero8-ზე ორჯერ უფრო ძვირია. ინგლისური საავტომობილო კომპანიის წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ასივე ექსკლუზიურ მოდელს პატრონი ძალიან მალე გამოუჩნდება.

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3155
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9786
1	არაბული დირხამი	AED	0,4825
1	აშშ დოლარი	USD	1,7720
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8271
1	ბულგალური ლევი	BGL	1,1517
1	დანიური კრონი	DKK	0,3021
1	ეგვიპტური ბირვანძა	EGP	0,3082
1	ევრო	EUR	2,2520
10	ესტონური კრონი	EEK	1,4398
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3408
1	თურქული ლირა	TRY	1,1305
10	იაპონური იენი	JPY	0,1544
1	ინგლისური ბირვანძა ს	GBP	3,2470
1000	ირანული რიალი	IRR	0,1935
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,2319
1	ისრაელის სიკელი	ILS	0,3991
1	კანადური დოლარი	CAD	1,5965
1	ლატვური ლატი	LVL	3,1643
10	ლიტვური ლიტი	LTL	6,4368
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,3303
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2845
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5574
10000	რუმინული ლეი	ROL	0,5953
1	რუსული რუბლი	RUB	0,0658
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1158
100	სომხური დრამი	AMD	0,4231
1	ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5401
1000	უზბეკური სუმი	UZS	1,4470
10	უკრაინული გრივნა	UAG	3,5419
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,7976
1	ქუვეითური დოლარი	KWD	6,1292
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1498
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4407
1	შვედური კრონი	SEK	0,2442
1	შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4375
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0792
1	ჩინური იუანი	CNY	0,2218
1	ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2281



ლარის კურსის დინამიკა

ჩემი წარმოება კოსმოსში დაფრინავს

სურსათის სექტორის ხელახალი ინსპექტირება იწყება

თინა შავაძე

ხშირად, მოქმედი კანონმდებლობა ბიზნესმენს ერთს ეუბნება, მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები და დადგენილებები კი მეორეს. ამის შედეგად ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო უარესდება და მეწარმე მუდმივად საფრთხის მოლოდინშია. შესაძლებელია, მთავრობამ კანონის ასამოქმედებლად (რასაც ადმინისტრაციული ღონისძიების გატარება ჰქვია), ისეთი წესები შეიმუშაოს, რომელიც საწარმოს საქმიანობის ხელშეწყობას კი არ ემსახურება, არამედ მის შეფერხებას. ასე მოხდა ბიზნესსექტორებისთვის ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის გამარტივების მიზნით ამოქმედებული ახალი კანონის შემთხვევაშიც.

მიხო სვიმონიშვილი.

ზურაბ ცქიტიშვილი.

საქართველოს საფონდო ბირჟის მიმოხილვა

გასულ კვირას საქართველოს საფონდო ბირჟაზე 8 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე 83 გარიგება განხორციელდა. ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ 494086,64 ლარი შეადგინა, გასხვისდა 519518 აქცია. მომხდარი გარიგებებიდან აღსანიშნავია სს "საქლადა"-ში მომხდარი აქციათა გადანაწილება - გასხვისდა აქციათა 30%, გასხვისდა 119445 აქცია, საერთო თანხით 116458,88 ლარი. წილით მეორე იყო ბირჟაზე ორი თვის წინ დაშვებული სს "საქართველოს საერთაშორისო ტრანსპორტი" - გასხვისდა 11%, ჯამური თანხით 8553,60 ლარი. მესამე პოზიციაზეა სს "თოლია" - გასხვისდა აქციათა 9,295%, საერთო თანხით 18082,2 ლარი, ხოლო გასხვისებული აქციების რაოდენობამ შეადგინა 180822 ცალი.

აღსანიშნავია "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციაზე ფასის კლების ტენდენციის შენარჩუნება, რაც ამ კვირასაც გაგრძელდა. მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ამ აქციის ფასმა ორჯერ იკლო.

საქართველოს საფონდო ბირჟა

სესია № 633 - 634 / *2006 წლის 26 ივნისი - 3 ივლისი*

დასახელება და ძირითადი აქტივი	კოდი	საშ.შეწ. ფასი	მოცულობა (ფ/ქ)	ღირებულება (ლარი)	საწესდებო კაპიტალი (აქციებში)	კაპიტალიზაცია ლარში	გასხვისწილი %	2006წ დფიქსირ მაქს.	ფასი მინ
სს "საქართველოს ბანკი"	GEB	12,85	20678	266467	14783409	189966806	0,140	13,25	10
სს "საქართველოს საერთაშორისო ტრანსპორტი"	GIT	0,15	57024	8553,6	516344	77451,6	11,04	0,15	0,15
სს "რეა ქართუ"	REAQ	3,64	494	1798,16	128892	469166,88	0,383	3,64	3,64
სს "საქლადა"	SLAD	0,975	119445	116459	392139	382336	30,460	0,975	0,1
სს "თოლია"	TOLI	0,1	180822	18082,2	1945335	194534	9,295	0,25	0,1
სს "ტრანსშენი"	TRMS	1,36	205	278,8	346733	471557	0,059	1,36	1
სს "უნივერმაღი თბილისი"	UTB	27,000	1 100	9 000,0	969637	26180199	0,113	27,00	6,30
სს "ელექტროკავშირი"	UTC	0,526	139 750	73 448,3	103236684	54302496	0,135	1,05	0,20
სულ			519 518	494 086,64					

ადმავალი აზიური სახელმწიფო და დამავალი ევრაზიული იმპერია

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

ევროპული მუშათა კლასი და მზარდი ინდოეთი

გასულ კვირას მთელი ინდოეთი დიდ გამარჯვებას ზეიმობდა. ხუთთვიანი ბრძოლის შემდეგ კომპანია "მიტალ სტილმა" თითქმის შეუძლებელი შეძლო და ევროპული მეტალურგიული გიგანტი "არსელორი" შეისყიდა. ეს მოხდა მაშინ, როცა სულ რაღაც ერთი კვირის წინ თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ "არსელორი" რუსულ "სევერსტალთან" გაერთიანდებოდა.

თურქმენბაშის სურს, თავისი სიმდიდრიდან მეტი მოგება ნახოს, ვიდრე აქამდე "გაზპრომთან" თანამშრომლობით ნახულობდა. ამის პერსპექტივები კი ნამდვილად არსებობს: ჩინეთი მზადაა თურქმენეთიდან გაზის ექსპორტისათვის. აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთნახსენები "ნაბუკოც," რომელიც თურქმენულ გაზს დასავლეთ ევროპას მიაწვდის.

თურქმენეთი რუსეთისთვის გაზის გაძვირებას აპირებს.

საქართველოს საფონდო ბირჟის მიმოხილვა

ჰირველი გვერდიდან



ფულადი ბაზარი

26 ივნისის მდგომარეობით 2006 წელი

ვალუტა	ლარი
1 აშშ დოლარი	1,7750
1 ევრო	2,2299
1 რუსული რუბლი	0,0656
1 ფუნტი სტერლინგი	3,0427

ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი

გახსნება	ვალიანობა	პროცენტი	თანხა
28-Jun-06	7 დღე	7%	1 000 000
27-Jun-06	28 დღე	10%	5 000 000
08-Jun-06	56 დღე	6%	800 000
08-Jun-06	84 დღე	7%	500 000

სადეპოზიტო აუქციონი

გახსნება	ვალიანობა	პროცენტი	თანხა
30-Jun-06	28 დღე	10%	8 000 000

მომავალი კვირის კალენდარი

თარიღი	შინაარსი
27-Jun-06	სბს სესია № 48 (633)
29-Jun-06	სბს სესია № 49 (634)

აღსანიშნავია აქტივობის ზრდა სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციაზე - გასხვისდა 139750 ცალი აქცია, ჯამური თანხით 73448,3 ლარი. ამასთანავე, აღსანიშნავია ფასის კლების ტენდენციის შენარჩუნება, რაც ამ კვირასაც გაგრძელდა. მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ამ აქციის ფასმა ორჯერ იკლო. როგორც ჩანს, არსებული კლების ტენდენცია ახლოსაა აქციის რეალურ ფასთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთი თვის წინ მაღალ ფასებში დადებული გარიგებები არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 30 ივნისს მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ორი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 560 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 460 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 2 660 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე დაფიქსირდა შემდეგი კურსი — 1 აშშ დოლარი/1.7720 ლარი. 1 ივლისიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7720 ლარი. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 29 ივნისს მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა (ორმა გამყიდველის და ოთხმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ექვსი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 2 950 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 950 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 2 950 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1000 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით — 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. 30 ივნისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 28 ივნისს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ორმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო სამი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 100 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 400 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 1 100 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 700 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით — 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. 29 ივნისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7730 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 28 ივნისს დაიდო 50 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 29 ივნისიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი: 1 ევრო/2.2274 ლარი. **24 საათი**

ჩემი წარმოება კოსმოსში დაფრინავს

ჰირველი გვერდიდან

მთავრობამ გასულ წელს გააუქმა სურსათის სფეროში არსებული ლიზენზირების სიტემა. დღეს კვების პროდუქტების დამზადებას არანაირი ლიცენზია და ნებართვა არ სჭირდება, ანუ ვინ რა პირობებში და რა ხარისხის სურსათს ამზადებს და რას ჭამს მომხმარებელი არავინ უწყის. მაგრამ მოსალოდნელია კვების სექტორში მოქმედი საწარმოების ხელახალი ინსპექტირება დაიწყოს, რომელსაც ახლად შექმნილი მაკონტროლებელი ორგანო განახორციელებს.

გასულ კვირას მთვარობამ დაამთავრა მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც მეწარმეს ავალდებულს წარმოების პროცესში განსაზღვრული ნორმები დაიცვას, მაგრამ ეს ნორმები შეუსაბამობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. ეს საკითხი კი დიდ დავასა და დაპირისპირებას იწვევს კანონმდებლებსა და აღმასრულებლებს შორის. ერთ მხარეს დგას პარლამენტის აგრარული კომიტეტი და განსაკუთრებით გამოკვეთილი პოზიციის მქონე დეპუტატი ზურაბ ცქიტიშვილი და მეორე მხარეს, სოფლის მეურენობის მინისტრი და მისი მოადგილეები, რომლებიც კანცელარიაში შემუშავებულ დოკუმენტს იცავენ.

“24 საათს” ზურაბ ცქიტიშვილმა განუმარტა, რომ “როცა გასული წელის ივნისში გაუქმდა ლიცენზირების კანონი, პრინციპუად დავსვი საკითხი, სურსათის სექტორში რაღაც ეტაპზე, გამარტივებული სალიცენზიო წესი შენარჩუნებულიყო. საბოლოო ჯამში ჩემმა პოზიციამ გაიმარჯვა. მხარი დამიჭირა პარლამენტმა და კანონში შევიდა დავალება მთავრობისადმი, რომ მიმდინარე წლის იანვრამდე უნდა წარმოდგენილიყო გამარტივებული ლიცენზირების წესი, რასაც “კანონში რეგისტრაცია” დავარქვით.”

გამარტივებული ლიცენზირების წესით, მეწარმეს უნდა წარედგინა მეწარმის დეკლარაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მდომარეობაში აქვს საწარმოს იატაკი და ჭერი, აქვს თუ არა ტექნოლოგიური პროცესების გამზომი ხელსაწყო, რა სახის მანქანა-დანადგარები აქვს პროდუქციის დასაფასოვებლად და ინფორმაცია სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების შესახებ. დეპუტატების აზრით, ეს იყო კანონში ჩადებული მარტივი და კონკრეტული ინფორმაცია, რომელმაც ნორმატიული ხასიათი მიიღო. არასწორი ინფორმაცია ისჯება განსაზღვრული კანონით. გარდა ამისა, ახალი მაკონტროლებელი ორგანო (ჩამოყალიბების პროცესშია და ჯერ სახელი არ აქვს) გამარტივებული წესით მოახდენდა საწარმოების კლასიფიკაციას: რომელ კომპანიას რა დანადგარები აქვს და რომელი საწარმო აკმაყოფილებს პირობებს. ამ გზით გამოჩნდებოდა რა საფრთხეები იყო, რომლებიც გაანალიზდებოდა და ამის შედეგ შედგებოდა კონკრეტული სამუშაო გეგმა. ეს არის ევროპული მიდგომა - თავდაპირველად საფრთხეები უნდა გამოვლინდეს.

“იანვრდან გავიდა ექვსი თვე. ერთი კვირის თავზე დამირეკეს და მთხოვეს, შენთან ერთად გავიაროთ მიღებული წესიო. მაგრამ დღეს გავიგე, რომ ეს დოკუმენტი ჩემთან შეუთანხმებლად გაუკეთებიათ და ნახეთ რა ჩაუწერათ? - ზოგადი ნორმები: ჩემი წარმოება აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, ჩემი წარმოება აკმაყოფილებს ვეტერინალურ მოთხოვნებს, “ჩემი წარმოება დაფრინავს კოსმოსში”. წარმოგიდგენიათ ასეთი არაფრის მთქმელი დოკუმენტი? არცერთი მეწარმე არ დაწერს რომ არ ვაკმაყოფილებ დაწესებულ ნორმებსო?!

ჩვენა არ გვექნება ზუსტი სურათი თუ რომელ საწარმოში, რა მდგომარეობაა და უნდა დავიწყოთ ხელახალი ინპექტირება და შესწავლა - მაშინ, როცა პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მეწარმეს პირდაპირ ვთხოვდით კონკრეტულ ინფორმაციას, კონკრეტულ საკითხებზე” - ამბობს ცქიტიშვილი დეპუტატთა დიდ ნაწილი იმის მომხრეა, რომ ქვეყანაში იყოს გამარტივებული ლიცენზირების სისტემა და წურბელები აღარ არსებობდნენ. მაგრამ, მათი აზრით, მეორეს მხრივ, სანებართვო სისტემები რაღაც სახით უნდა არსებობდეს, რათა ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებებიც დაცული იყოს.

მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა შეამოწოს კვების სექტორში მოქმედი საწარმოები, მაგრამ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ისინი ათასობით საწარმოს ერთდროულად ვერ შეამოწმებენ, და ამას გარკვეული დრო დასჭირდება. არსებობს კიდევ ერთი საშიშროებაც - მოსალოდნელია, ასეთ პირობებში საწარმოების შერჩევითი ინსპექტირება განხორციელდეს და ამ დროს უეჭველად გათვალისწინებული იქნება გარკვეული ჯგუფების ინტერესები. ცნობისთვის, პარლამენტის უმრავესობის წევრს ზურაბ ცქიტიშვილს რძისა და რძის პროდუქტების ბიზნესი დიდი ხანია აქვს და სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილიც პოლიტიკაში ბიზნმესიდან მოვიდა.

საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა VISA INTERNATIONAL ქართული წევრ-ბანკების მიღწევებს აღნიშნავს

სალომე ძაძამია

VISA-ს წევრმა ქართულმა ბანკებმა გამოშვებული VISA პლასტიკური ბარათების რაოდეობით 300 000-იან ზღვარს გადააჭარბეს;

VISA-ს ბაზრის განვითარებით საქართველო ერთ-ერთი პირველია დსთ-ის სივრცეში.

VISA INTERNATIONAL-ის რეგიონალური მენეჯერი დსთ-ს ქვეყნებში სვეტლანა გეორბელიძე აღნიშნავს, რომ “300 000 ერთეული ბარათი არ ნიშნავს მხოლოდ VISA პლასტიკური ბარათების რაოდენობას. ეს არის ჩვენი წევრი ქართული ბანკების წარმატებული მუშაობის მაჩვენებელი. ეს რიცხვი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში VISA-ს უნაღდო ანგარიშსწორებით სისტემის მნიშვნელოვან წვლილზე მიანიშნებს. VISA პლასტიკური ბარათების მეშვეობით კიდევ უფრო მეტი ადამიანი ერთვება საბანკო სფეროში, კიდევ უფრო მეტი თანხა გამოდის ჩრდილოვანი ეკონომიკიდან, რაც მომავალი მოსახლეობისა და წარმოების დაკრედიტებას უნდა მოხმარდეს.”

საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია დსთ-ს სივრცეში VISA პლასტიკური ბარათების ბაზრის განვითარებაში. სისტემის წევრი ქართული ბანკების აქტივობის მაჩვენებელი ორჯერ და მეტად გაიზარდა.

საქართველოში VISA პლასტიკური ბარათების რაოდენობა 2005 წლის მარტიდან 2006 წლის მარტის ჩათვლით 186%-ით გაიზარდა. VISA პლასტიკური ბარათებიდან მომსახურების ადგილებში და ბანკომატებში მოხსნილი თანხის რაოდენობა ერთ წელიწადში 293%-ით გაიზარდა და 490 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. VISA პლასტიკური ბარათების მომსახურების წერტილებში აღნიშნულ პერიოდში 116%-ით გაიზარდა და 1300 შეადგინა, მათ შორის 217 ბანკომატი და 776 მომსახურებისა და სავაჭრო ობიექტია.

“VISA-სთვის მნიშვნელოვანი არა მარტო ისაა, თუ რამდენი ბარათია გამოშვებული ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ ისიც, თიუ რამდენად აქტიურად გამოიყენება თითოეული ბარათი. რამდენად ინტენსიურად მოიხმარს მას მოსახლეობა” - აცხადებს სვეტლანა გეორბელიძე. მისი თქმით: “სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქართველების მიერ ბარათების მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციები წელიწადში 156%-ით გაიზარდა და მათმა რაოდენობამ 3 მილიონს გადააჭარბა. ეს ყველაფერი უნაღდო ანგარიშსწორების ბაზრის განვითარების დადებითი ტენდენციაა, რაც უპირველესად ჩვენი წევრი ქართული ბანკების დამსახურებაა.”

საქართველოს მოსახლეობისთვის დღეს ნათელი გახდა VISA პლასტიკური ბარათის საგადამხდელო საშუალებად გამოყენების უპირატესობა, მხოლოდ განაღდების საშუალებასთან შედარებით. 2006 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში სავაჭრო ობიექტებში განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობამ 262 ათასი ერთეული შეადგინა, რაც 151%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. VISA პლასტიკური ბარათების მეშვეობით ქართულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში დახარჯული თანხის ოდენობამ 2006 წლის მარტისათვის 30 მილიონო აშშ დოლარი შეადგინა, რაც 119%-ით აღემატება 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

საქართველო დსთ-ს სივრცეში პირველი ქვეყანაა, რომელშიც VISA-მ გამოფენა “ავენიუ 2010” წარმოადგინა. გამოფენა სპეციალურად მოდელირებულ ქუჩასავით გამოიყურება, რომელზეც VISA და მისი ტექნოლოგიური პარტნიორები საგადამხდელო გადაწყვეტილებებს სთავაზობენ მომხმარებელს. ყოველივე ეს 2010 წლისთვის დაინერგება.

გამოფენა “ავენიუ2010” პირველად ქალაქ დუბაიში 2006 წლის მარტში გაიმართა. იგი სამი ძირითადი ღონისძიების ერთგვარ მოედანს წარმოადგენდა. კონფერენცია “გადახდების მომავალი” (წევრი ბანკებისა და ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებისთვის); კონფერენცია “სავაჭრო გადაწყვეტილებები” (სპარსეთის ყურეს ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს მონაწილე ვაჭრობისა და მომსახურების საწარმოსათვის).

“ავენიუ 2010”-ის შემუშავების მიზანია იმის დემონსტრირება, რომ Global Platform ტექნოლოგია ახალი საგადამხდელო გადაწყვეტილებების შემუშავებასთან ერთად ხელს უწყობს ისეთი კომერციული და სოციალური დანარტების კომბინირებას, როგორებიცაა ლოიალობისა და ჯანდაცვის პროგრამები. გამოფენის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ თავად ნახო ატმოსფერო, რომელშიც მთავარ როლს ასრულებენ სმარტფონები, პერსონალიზებული უკონტაქტო ბარათები, “გონიერი” სარეკლამო აბრები, ვირტუალური კლავიატურები, ხმოვანი და მანათებელი ბარათები და Global Platform-ის ბაზაზე შექმნილი სხვა ინოვაციური პროდუქტები. ეს ტექნოლოგიები, რომლებიც დღეს უკვე ხელმისაწვდომია, ხელს შეუწყობენ ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც მოქნილი და მოხერხებული საგადამხდელო სისტემები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

საქართველოდან გამოფენა “ავენიუ 2010” უკრაინის, აზერბაიჯანის და დსთ-ს სხვა ქვეყნების დედაქალაქებში გადაინაცვლებს..

სავალუტო კურსის ცვლილებამ ქვეყნის სარეზერვო აქტივებზე უარყოფითად იმოქმედა

სავალუტო კურსის ცვლილებამ ქვეყანაში სარეზერვო აქტივების მოცულობაზე უარყოფითად იმოქმედა. ამის მიზეზად კი სტატისტიკის დეპარტამენტში სავალუტო კურსის ცვლილებას ასახელებენ.

მათივე მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სარეზერვო აქტივების მოცულობა, ოპერაციებით ცვლილების შედეგად, 28,5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა. თუმცა, სავალუტო კურსის ცვლილებების გამო, იგი 23,1 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

საბოლოო ჯამში სარეზერვო აქტივები, პირველი კვარტლის განმავლობაში, 5,5 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 480,6 მლნ დოლარს მიაღწია.

რაც შეეხება ლარის კურსის ცვლილებას. ეროვნული ბაკის პრეზიდენტის, რომან გოცირიძის განმარტებით, ლარის კურსის ცვლილება სეზონურმა ფაქტორებმა განაპირობა.

გოცირიძის განმარტებით, ზაფხულში ლარის კურსი უმნიშვნელოდ გამყარდება, რადგან ზაფხულში, როგორც წესი, უცხოური ვალუტის მეტი მასა შემოედინება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეროვნული ბანკი ანტიინფლაციურ პოლიტიკას ატარებს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, რომან გოცირიძის განმარტებით, ეროვნული ბანკი ანტიინფლაციურ პოლიტიკას ატარებს, რაც ფულადი მასის შემცირებაში გამოიხატება.

"მთავრობასთან კოორდინირებულად ვმოქმედებთ. შედგენილია შეთანხმებული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც გაიცემა ხარჯები. წლის ბოლოსთვის, ზოგადად, ფასების ზრდა ერთნიშნა მაჩვენებელზე შეჩერდება," - განაცხადა გოცირიძემ.

აღსანიშნავია, რომ ინფლაციამ წინა თვესთან შედარებით, 2,5 პროცენტი, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10 პროცენტი შეადგინა.

გოცირიძის განმარტებით, ბოლო პერიოდში დაფიქსირებული ინფლაციის მაღალი დონე მთელმა რიგმა საგარეო და შიდა არამონეტარულმა ფაქტორებმა განაპირობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

უარყოფითი საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებელი გაიზრდება

საქართველოს უარყოფითი საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებელი, რუსეთის მიერ საქართველოდან იმპორტირებული ყურძნის, ნატურალური ღვინოებისა და მინერალური წყლების აკრძალვის გამო, 2006 წლის მეორე კვარტლის საგადამხდელო ბალანსზე გავლენას აუცილებლად მოახდენს და კიდევ გაიზრდება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის პირველ კვარტალში უარყოფითმა საგადასახადო ბალანსმა - 193,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64,3 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს კვლავ განაპირობებს საქონელი, სადაც იმპორტი ექსპორტს თითქმის ორჯერ აღემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქციო კაპიტალში სამეწარმეო სექტორის მეტი წილი BP-ის ინვესტიციებზე მოდის

ქვეყნის სააქციო კაპიტალში სამეწარმეო სექტორის დიდი წილი BP-ს ინვესტიციებზე მოდის. ქვეყნის სააქციო კაპიტალში პრივატიზაციიდან შემოსული ინვესტიციების წილს თითქმის ორჯერ აღემატება სამეწარმეო სექტორი წილი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სამეწარმეო სექტორის წილი სააქციო კაპიტალში 53,7 პროცენტია. აქედან 22,0 პროცენტი BP-ის ინვესტიციებზე მოდის. ხოლო სააქციო კაპიტალში 35,9 პროცენტს შეადგენს პრივატიზაციის პროცესიდან შემოსული თანხები. მკვეთრად არის გაზრდილი ინვესტიციები სამეწარმეო და საბანკო სექტორში. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის პირველ კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 133,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რომლის 88,4 პროცენტი სააქციო კაპიტალზე მოდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბათუმი ინგლისური ტურისტული კრუიზების მარშრუტში შეიტანეს

გუშინ, დილის 8 საათზე, ბათუმს ინგლისური საკრუიზო გემით "პირიტ ოფ დევიდ" 400 ინგლისელი ტურისტი ეწვია. გემი "პირიტ ოფ დევიდ" საქართველოში პირველადაა. 12-დღიანი კრუიზი სტამბულიდან დაიწყო და ბულგარეთში - ვარნაში დასრულდება. ამ კრუიზში საქართველო წელს პირველად ჩაისვა. ბათუმში ჩამოსულ ინგლისელ ტურისტებს დღეს 6 საათამდე ბათუმის მერია უმასპინძლებს. ისინი ქალაქის ღირშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. 6 საათზე კი ინგლისური გემი გეზს სტავროპოლისკენ აიღებს. **ინტერპრესნიუსი**

რუსეთიდან საქართველოში გადარიცხვების მოცულობას ახალი მიგრაციული კანონი შეამცირებს

რუსეთმა მიგრაციულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ცვლილებების მიხედვით, ქვეყანაში ჩასულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამუშაოზე მოწყობის პროცედურა მარტივდება. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, ათი დღის განმავლობაში მიიღონ სეზონური მუშაობის უფლება. ასევე გამარტივებულია "პირველი ნაბიჯის" პროცედურა - დროებითი ცხოვრების სამწლიანი ვადა. ახლი კანონის ავტორები მიიჩნევენ, რომ კანონი გაუმკლავდება არალეგალურ მიგრაციას და ასევე, დამატებით შრომით რესურსებს მოიზიდავს. პრობლემა, რაც კანონის მიხედვით რუსეთში მყოფ ქართველებს ექმნებათ, ის არის, რომ მიღებული კანონი ვრცელდება დსთ-ს ქვეყნების იმ მოქალაქეებზე, რომელთანაც რუსეთს სავიზო რეჟიმი არ გააჩნია. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და თურქმენეთის მოქალაქეებს რუსეთში კვლავ არალეგალურად მოუწევთ მუშაობა. თუმცა, აქაც მნიშვნელოვანი სირთულეა. კერძოდ, ის, რომ კანონი მკაცრდება რუსეთის ტერიტორიაზე მუშაობისა და ცხოვრების უფლების არმქონე მოქალაქეთა დაქირავებულებისთვის. ეს, ძირითადად, მნიშვნელოვან ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს. ექსპერტები და კანონის ავტორები მიიჩნევენ, რომ რუსი დამქირავებლები არალეგალური მიგრანტების დაქირავებას მოერიდებიან და საკუთარ თავს ფინანსური დარტყმის ქვეშ არ დაყენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთიდან საქართველოში გადარიცხვები მნიშვნელოვნად შემცირდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, რუსეთიდან საქართველოში გასულ წელს 253 მილიონი აშშ დოლარი გადმოირიცხა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ქვეყანაში სამუშაოდ წასული ქართველების მიერ გამომუშავებული სახსრებია. რუსეთში აღნიშნულ სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციების მონაცემებით, ამჟამად, ამ ქვეყანაში მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან 12-15 მილიონი არალეგალური მიგრანტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

ამერიკა ნავთობისა და გაზის სანაპირო მარაგს ითვისებს

აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი, რომელმაც წერტილი დაუსვა ბუნებრივი საწვავის სანაპიროებზე მოპოვების 25 წლიან აკრძალვას. ინიციატივას მხარი 232-მა კონგრესმენმა დაუჭირა, 187 კი წინააღმდეგი წავიდა. ასე რომ, ენერგეტიკულ კომპანიებს საშუალება ექნებათ ახალი ინგლისიდან ალიასკამდე ზღვასა და სანაპიროებზე არსებული საბადოების ათვისება დაიწყონ.

ძველი ფედერალური კანონის მოწინააღმდეგეები თვლიდნენ, რომ ქვეყანას დიდი ენერგეტიკული დამოუკიდებლობა უნდა გააჩნდეს და ირწმუნებოდნენ, რომ ნავთობისა და გაზის მოპოვება გარემოსათვის დაბინძურების გარეშეც შეიძლება. თუმცა, ამასთან ისიც ითქვა, რომ თუ რომელიმე შტატი ნავთობისა და გაზის სანაპიროზე მოპოვებაზე მორატორიუმის შენარჩუნებას ისურვებს, ეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გააკეთოს.

Siemens-ს Bayer-ის განყოფილების შეძენა სურს

გერმანულ კომპანია Siemens-ს ასევე გერმანული ფარმაცევტული კონცერნის Bayer-ის სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი განყოფილების შეძენა სურს და მზად არის 4,2 მილიარდი ევრო გადაიხადოს. ანალიტიკოსთა აზრით, აღნიშნული გარიგება ორივე კომპანიისათვის მომგებიანი იქნება - Siemens სამედიცინო აპარატურის ბაზარზე თავისი წილის გაზრდას შეძლებს, Bayer კი კომპანია Schering AG-ის ინტეგრაციისათვის საჭირო სახსრებს მიიღებს და მსხვილ შემცირებებს თავიდან აიშორებს.

აღსანიშნავია, რომ Bayer-მა კარგა ხნის წინ გადაწყვიტა სამედიცინო აპარატურის გამოშვებას შეელიოს და ყურადღება ძირითადად მედიკამენტების წარმოებაზე გადაიტანოს. Schering ფეხმძიმობის კონტროლისათვის საჭირო მედიკამენტების მწარმოებელი მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიაა. მის ხელში ჩასაგდებად Bayer მოლაპარაკებებს აწარმოებდა თავის მთავარ კონკურენტთან,

Schering-ის აქციების 21,8 პროცენტის მფლობელ ფრანგულ ფარმაცევტულ კომპანია KGaA Merck-თან. საბოლოოდ, მხარეები 1 აქციის 89 ცენტად გაყიდვაზე შეთანხმდნენ და გარიგებასაც ევროკავშირის მაკონტროლებელმა ორგანოებმა მწვანე შუქი აუნთო.

Volvo-მ რომის პაპს ავტომობილი აჩუქა

ვატიკანში რომის პაპისადმი ავტომობილის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა. ბენედიქტ მე-16-ს იტალიურმა საავტომობილო კომპანია Volvo Cars Corporation-მა ავტომობილი Volvo XC90 უსახსოვრა. v8 ძრავიანი, მუქი ლურჯი შეფერილობის ღია ფერის ტყავის სალონიანი ავტომობილი უკვე რომის პაპის მფლობელობაშია. "ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ბენედიქტ მე-16-ს ავტომობილი ვაჩუქეთ. უსაფრთხოება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი კომპანიის მუშაობის მთავარი პრიორიტეტი. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, რომ ისეთი წმინდა ადამიანის უსაფრთხოება დავიცვათ, როგორიც არის რომის პაპი." განაცხადა კომპანია vOLVO Auto Italia-ს პრეზიდენტმა პასკალ ბელემანსმა.

გასულ წელს, eBay-ის აუქციონზე 189 ათას ევროდ გაიყიდა 1999 წელს გამოშვებული vw Golf. აღნიშნულ ავტომობილს იოსეფ კარდინალ პატცინგერი იმ მომენტამდე ფლობდა, სანამ რომის პაპის, ბენედიქტ მე-16-ის ტიტულს მიიღებდა. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც რომის პაპი აღნიშნულ მანქანაზე არასდროს მჯდარა, იმ მიზეზით, რომ მა მართვის მოწმობა არ ჰქონდა. შესაძლოა რატცინგერისთვის ავტომობილი მაშინ შეიძინეს , როცა ის ჯერ კიდევ კარდინალი იყო.

აღმავალი აზიური სახელმწიფო და დაღმავალი ევრაზიული იმპერია

ჰირველი გვერდიდან

ყოფილ საბჭოთა კავშირში "მიტალ სტილისა" და მისი მეპატრონის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, ლაკშმი მიტალის სახელებმა ყურადღება პირველად გასულ წელს მიიპყრო, როცა ინდურმა გიგანტმა ისევ და ისევ რუსულ კომპანიებს ააცალა ცხვირწინ უკრაინის მთავრობის მიერ საპრივატიზაციოდ გამოტანილი "კრივოროჟსტალი." ეს მოსკოვისათვის ნამდვილი შოკი იყო.

მაგრამ კიდევ უფრო დიდ შოკი გამოიწვია ლაკშმი მიტალის მიერ "არსელორის" შესყიდვის შესახებ სურვილის გამოთქმამ. ამის საპასუხოდ ევროპულმა პრესამ ისეთი მითქმა-მოთქმა და კამპანია გააჩაღა (ევროპულ კომპანიას ინგლისის ყოფილი კოლონია ეპატრონება, - დაახლოებით ასეთი იყო ამ კამპანიის შინაარსი), რომ ინდოეთის ოფიციალურმა პირებმა შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისათვის ევროპელებს საყვედურით მიმართეს. რაც მთავარია, "მიტალ სტილის" წინადადება ერთობ შორს დაიჭირა თავად "არსელორის" ხელმძღვანელობამაც. ლაკშმი მიტალმა თითქოსდა წააგო, მით უმეტეს, რომ ამ დროს ასპარეზზე პუტინთან დაახლოებული ოლიგარქის, ალექსეი მორდაშოვის კომპანია "სევერსტალი" გამოჩნდა. მაგრამ ამ დროს "არსელორისა" და "მიტალ სტილის" გარიგებას აშშ-სა და ევროკავშირის სამსახურებმა მწვანე შუქი აუნთეს. მოკლედ, საჭირო იყო ლაკშმი მიტალისგან გადამწყვეტი სვლის გაკეთება, რომელიც გაკეთდა კიდეც: ინდოელმა მაგნატმა მკვეთრად ასწია მაზანდა და, ბოლოს და ბოლოს, "არსელორიც" დათანხმდა. მით უმეტეს, რომ მიტალი "არსელორის" შესყიდვის ნაცვლად მასთან გაერთიანებას დათანხმდა. გაერთიანებულ კომპანიას "არსელორ-მიტალი" ერქმევა. მისი აქციების 43,5 პროცენტი ლაკშმი მიტალის ოჯახის ხელთ იქნება. გაერთიანებულ კომპანიას ტოვებს "არსელორის" გენერალური დირექტორი გი დოლე, რომელიც მიტალსა და მის კომპანიას შეურაცხმყოფელი სიტყვებით (მაიმუნების ბიზნესი - Monkey business) იხსენიებდა. რაც მთავარია, ახალი მეტალურგიული გიგანტი უპირობო ლიდერი იქნება თავის დარგში და მნიშვნელოვნად გაუსწრებს უახლოეს მდევარს, იაპონურ "ნიპონ სტილს."

მოკლედ, მსოფლიო ეკონომიკას ახალი დიდი გაერთიანება ელის. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ასევე შერწყმის შედეგად იშვა თავად "არსელორიც," როცა 2001 წელს გაერთიანდნენ ფრანგული "უსინორი," ლუქსემბურგული "არბედი" და ესპანური "ასერალია." ცხადია, "არსელორ-მიტალის" შექმნა ახალი გაერთიანებებისკენ უბიძგებს ამ დარგში მომუშავე სხვა კომპანიებს, რომელთაც ინდურ-ევროპული გიგანტის წარმოქმნა კონკურენციის პირობებს უმძიმებს.

რუსული პრესის რეაქციამ ამ მოვლენისადმი არ შეიძლება, საბჭოური პროპაგანდისეული გამონათქვამები არ მოგვაგონოს. კერძოდ, ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი დამწუხრებული იუწყებოდა, რომ "სევერსტალთან" გაერთიანებაზე უარის თქმას აღშფოთებულნი შეხვდნენ "არსელორის" მუშები. იქვე, დამწუხრებული ჟურნალისტი იუწყებოდა, რომ მუშები კომპანიის აქციათა მხოლოდ 2 პროცენტს აკონტროლებენ და ძნელად თუ შეცვლიდნენ რამეს, მაშინ, როცა "არსელორის" უმსხვილესი აქციონერმა, ლუქსემბურგის დიდმა ჰერცოგმა ინდოელებს უკვე თანხმობა უთხრა. რუსული პროპაგანდა იმასაც აღნიშნავს, რომ მომხდარმა ბზარი არ უნდა გააჩინოს "მოძმე" ინდოეთთან ურთიერთობაში.

მოკლედ, ლაკშმი მიტალის სამშობლო ზეიმობს. "მოხარული ვარ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, ბოლოს და ბოლოს, შეიგნო, რომ გლობალიზაცია არ არის ცალმხრივი მოძრაობა," - განაცხადა ინდოეთის ვაჭრობის მინისტრმა ქამალ ნათმა. ყოველივე ამან, ალბათ, ბევრს გაახსენა ამ ბოლო დრომდე, ცოტა არ იყოს, იგნორირებული ჭეშმარიტება, რომელსაც "მზარდი და აღმავალი ინდოეთი" ჰქვია. მზარდი და აღმავალი ინდოეთი - ეს არის ბირთვული სახელმწიფო, რომელიც თავისი მოსახლეობით ლამის ჩინეთს უტოლდება. ეს არის სახელმწიფო, რომელიც პირველ ადგილზეა მსოფლიოში საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთა რაოდენობით; სახელმწიფო, სადაც ეფექტური დემოკრატიული სისტემის წყალობით ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციაა. ეს მაშინ, როცა მსოფლიო ბალანსის უპირველეს საფრთხედ მიჩნეულ ჩინეთში პოლიტიკური სტაბილურობა ერთპარტიულ მმართველობაზე დგას, ხოლო ეკონომიკურ განვითარებას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შეუბრალებელი ექსპლუატაცია ახლავს.

ვისი "მოძმეა" ინდოეთი? პასუხს ამ შეკითხვაზე, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. იყო დრო, როცა დელი მართლაც მოსკოვისკენ იხრებოდა. ამას უფრო ცივი ომის დროს ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოყოლებული. მაშინ, ნიქსონისა და კისინჯერის ცნობილი "სამკუთხა დიპლომატიის" წყალობით, პოლიტიკური იზოლაციიდან გამოვიდა კომუნისტური (მაგრამ, ამის მიუხედავად, მოსკოვთან დაპირისპირებული) ჩინეთი, რომელიც, პრაქტიკულად, ვაშინგტონის მოკავშირედ იქცა და დიდი წვლილი დაიდო იმ დროს არნახულად აგრესიული საბჭოთა კავშირის დაბალანსებაში. ამ დიპლომატიური რევოლუციის გამო ინდოეთი, მის მიერ გაცხადებული მიუმხრობლობის პოლიტიკის მიუხედავად, მოსკოვისაკენ გადაიხარა.

ახლა ვითარება განსხვავებულია. რამდენიმე თვის წინ ინდოეთს პრეზიდენტი ბუში ეწვია, რასაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ახალ ეტაპზე გადასვლა მოჰყვა. ვაშინგტონმა ინდოეთი ბირთვულ სახელმწიფოდ სცნო და მასთან ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის თაობაზე მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმებებიც გააფორმა. თეთრმა სახლმა საბოლოოდ დაივიწყა ის წყენა, რაც ინდოეთის ბირთვულ სახელმწიფოდ ქცევამ გამოიწვია, და მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან დემოკრატიასთან თანამშრომლობა გააფართოვა. თუკი ამას სტრატეგიული პარტნიორობაც მოჰყვება, დასავლეთს აზიაში მეტად სერიოზული დასაყრდენი ეყოლება. თუმცა, აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდოეთი, დამკვრივებლის სტატუსით, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ანუ, ცალსახად იმის თქმა, თუ სად დგას დელი, საკმაოდ რთულია. არაა გამორიცხული, რომ ინდოეთი კვლავაც ერთგვარი მიუმხრობლობის პოლიტიკის ერთგულად დარჩეს, თუმცა როგორც დემოკრატია, იდეოლოგიური მოსაზრებებით იგი მაინც დასავლეთისკენ იხრება.

იმპერიას საპასუხოდ ურტყამენ

თუკი "არსელორის" მუშებზე დამამძიმებელ ფიქრებს მოვწყდებით და "სევერსტალის" მარცხს საღად შევაფასებთ, ამ მარცხის მიზეზები საკმაოდ იოლი დასანახია: ევროპა სერიოზულად დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ მორდაშოვი ერთობ დაახლოებულია პუტინთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "სევერსტალი" საჭიროების შემთხვევაში ისევე გამოიყენებს პოლიტიკურ ბერკეტად ფოლადს, როგორც იყენებს გაზს პოლიტიკურ ბერკეტად "გაზპრომი." გარდა ამისა, "არსელორში" ვერ გაარკვიეს "სევერსტალის" ზოგიერთი აქტივის (რომლითაც მორდაშოვი გარიგების დაფინანსებას აპირებდა) ნამდვილი საბაზრო ფასი. მოკლედ, რუსული გაუმჭვირვალე ბიზნესი ევროპისათვის ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე "ყოფილი კოლონიის" კომპანია.

რუსული აგრესია უკურეაქციას იწვევს და ეს უკურეაქცია გასულ კვირას მოსკოვმა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან, ენერგეტიკულ ფრონტზეც იწვნია.

უკურეაქციის პირველი სერიოზული სიმპტომი დასავლეთიდან გამოჩნდა. რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა პროექტ "ნაბუკოს" განხორციელებას, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით კასპიური გაზის შუაგულ ევროპაში ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. "ნაბუკოს" გაზსადენის მშენებლობა, წესით, 2008 წელს უნდა დაიწყოს და 2011 წელს უნდა დასრულდეს (წინასწარი შეფასებით, პროექტი 5,8 მილიარდი დოლარი ჯდება). ევროკავშირის ენერგეტიკული კომისარი ანდრის პიბალგისი ერთობ ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ პროექტი რუსეთსა და ევროპას შორის უთანხმოებას არ გამოიწვევს. ამასთან დათანხმება არცთუ ისე იოლია იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი "ენერგეტიკულ ზესახელმწიფოს" აშენებს და ლამის მთელი ევროპის ენერგოდერეფნებზე კონტროლის დამყარებას ლამობს. მაგრამ აშკარაა, რომ "გაზპრომის" შანტაჟებმა ევროპელებს საბოლოოდ აუხილა თვალი და ძველი კონტინენტი, ალბათ, "ნაბუკოზე" უარს არ იტყვის. ამ პროექტის მეშვეობით, ენერგორესურსების წყაროების მნიშვნელოვანი დივერსიფიცირება მოხდება და შანტაჟის ალბათობაც შემცირდება.

მეორე სიურპრიზი რუსეთს აღმოსავლეთიდან, კერძოდ, თურქმენეთიდან ელოდა. გასულ კვირას წარუმატებლად დასრულდა "გაზპრომის" მოლაპარაკებები თურქმენეთში. 2007 წლის განმავლობაში გაზის მიწოდების და, ასევე, 2006 წლის მეორე ნახევარში დამატებითი გაზის მიწოდების თაობაზე მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მოლაპარაკებათა ჩაშლის უმთავრეს მიზეზად ის გარემოება იქცა, რომ თურქმენბაშის აღარ სურს, "გაზპრომს" თავისი სიმდიდრე კვლავაც ძველ ფასში, 65 დოლარად მიჰყიდოს და ათასი კუბომეტრის სანაცვლოდ 100 დოლარს ითხოვს. ცხადია, ამ პრეტენზიებს, უპირველესად, თავად "გაზპრომის" ქმედებამ შეუწყო ხელი, რომელიც ბოლო პერიოდში, პრაქტიკულად, ყველა თავის კლიენტს უძვირებს გაზს (რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც სწორედ იაფად ნაყიდი თურქმენული გაზი შეადგენს).

თუმცა, აქ ერთ პარადოქსთან გვაქვს საქმე. ადრე თურქმენული გაზი 50 დოლარი ღირდა და მიმდინარე წლის დასაწყისიდან თავად "გაზპრომის" ინიციატივით გაიზარდა 65 დოლარამდე. ამ პარადოქსის მიზეზი შემდეგ გარემოებებშია:

- რუსეთი გაზის უმსხვილეს საბადოებს ფლობს, მაგრამ, ამავე დროს, "გაზპრომის" ყველა კლიენტის დასაკმაყოფილებლად (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, აღმოსავლეთ ევროპა, ნაწილობრივ - დასავლეთ ევროპა, სამომავლოდ კი - ჩინეთიც...)... მხოლოდ რუსული გაზი არ კმარა და "გაზპრომი" ცდილობს, შუა აზიის გაზსაც დაეპატრონოს, მისი მეშვეობით შეინარჩუნოს მრავალრიცხოვანი კლიენტურა და, ამავე დროს, ენერგეტიკული ზესახელმწიფოც გაამაგროს.

- მიმდინარე წლის დაწყებამდე უკრაინა თურქმენულ გაზს 50 დოლარად იღებდა, მაგრამ "გაზპრომმა" (რომლის მეშვეობითაც თურქმენული გაზი უკრაინამდე მიდის) თავად ასწია თურქმენულ გაზზე ფასი 65 დოლარამდე. ჩანს, კომპანიის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ თურქმენბაში ფასის 15-დოლარიანი აწევით იმდენად მოიხიბლებოდა, რომ მთელ თავის გაზს ამ ფასში დაუთმობდა რუსეთს.

- 15 დოლარი არც ისე მაღალი კომპენსაცია აღმოჩნდა მაშინ, როცა "გაზპრომი" თავის კლიენტებს ფასს სამჯერ-ოთხჯერ უზრდის. ნიაზოვმაც თავისი სიმდიდრე 100 დოლარი დაფასა. "გაზპრომი" ახალ ფასს ჯერჯერობით არ თანხმდება.

საქმე ისაა, რომ "გაზპრომი" ვალდებულია, თურქმენული გაზის უკრაინამდე ტრანსპორტირება უზრუნველყოს. უკრაინა კი სიამოვნებით წავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე თურქმენეთთან და, ტრანსპორტირების ტარიფის ჩათვლით გაზი, 130 დოლარი დაუჯდება. ეს ორჯერ ნაკლებია იმ ფასზე, რომლის დაწესებასაც "გაზპრომი" უკრაინას უპირებს.

მოკლედ, თურქმენბაშის სურს, თავისი სიმდიდრიდან მეტი მოგება ნახოს, ვიდრე აქამდე "გაზპრომთან" თანამშრომლობით ნახულობდა. ამის პერსპექტივები კი ნამდვილად არსებობს: ჩინეთი მზადაა თურქმენეთიდან გაზის ექსპორტისათვის. აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთნახსენები "ნაბუკოც," რომელიც თურქმენულ გაზს დასავლეთ ევროპას მიაწვდის.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ "გაზპრომსა" და ენერგეტიკული ზესახელმწიფოს პროექტს სერიოზული ბზარები უჩნდება. არადა, ენერგეტიკას რუსეთი თავისი იმპერიული ზეობის აღდგენის უპირველეს ინსტრუმენტად განიხილავს. რომ არა გაძვირებული ნავთობი და "გაზპრომის" მიერ თითქმის მთელ ევრაზიაში ფესვების გადგმა, ძნელი წარმოსადგენია, რომ პრეზიდენტ პუტინს განეცხადებინა ის, რაც გასულ კვირას განაცხადა: რუსეთმა და ამერიკამ ერთმანეთთან ისე უნდა ისაუბრონ, როგორც თანასწორმა პარტნიორებმა. ეს განცხადება დიდი რვიანის სამიტის წინ კეთდება - რუსეთი კიდევ ერთხელ აღნიშნავს საკუთარ მნიშვნელობას, რომელიც გაზსა და ნავთობზეა დამყარებული.

ოთხდღიანი შესვენების წინ აშშ-ს ბირჟაზე კლება დაფიქსირდა





დამოუკიდებლობის დღის ზეიმის გამო ოთხდღიანი შესვენების წინ, პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ფედერალური სარეზერვო ფონდის პიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის 5,25 პროცენტამდე გაზრდამ, ნავთობის გაძვირებამ ჩიკაგოელ მენეჯერთა ასოციაციის მიერ საქმიანი აქტივობის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,36 პროცენტით, 11.150,22 პუნქტამდე შემცირდა. 0,11 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.172,09 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,21 პროცენტით, 1.270,20 პუნქტამდე მოიკლო.

ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა 5 ივლისს განახლდება.

ძირითადი საპროცენტო განაკვეთი მეჩვიდმეტედ გაიზარდა

პარასკევს დასრულებულ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ფონდის ორდღიან სხდომაზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთის 0,25 პროცენტით, წლიურ 5,25 პროცენტამდე გაზრდა გადაწყდა. ასე რომ, ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი ზედიზედ მეჩვიდმეტედ გაზარდა, რაც ამერიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი სერიაა. ბოლოსწინა, მეთექვსმეტე, 5 პროცენტამდე გაზრდა 10 მაისს განხორციელდა.

ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ზრდა ჯერ კიდევ ფედერალური სარეზერვო ფონდის ამჟამინდელი თავკაცის ალან გრინსპენის წინამორბედის, ბენ ბერნანკეს მიერ შემუშავებული ინფლაციასთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში დაიწყო. მიუხედავად ამისა, 2001 წლის აპრილის შემდეგ ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. ასე რომ, ექსპერტთა პროგნოზი მთლიანად გამართლდა. მათი ვარაუდით, უახლოეს მომავალში განაკვეთის გაზრდა კვლავ მოსალოდნელია, თუმცა, ცხადია, ყელაფერი ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპებსა და ინფლაციაზე იქნება დამოკიდებული. ფედერალური სარეზერვო ფონდის გეგმები ალბათ უახლოეს რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი. ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ძირითადი საპროცენტო განაკვეთი არის გადასახადი, რომელსაც ბანკები ვექსილების, ფასიანი ქაღალდების, კუპონების, აქციების და ობლიგაციების შეძენის, ან სხვა საქმიანი ვალდებულების სანაცვლოდ ავანსად აღებული ფულის დაბრუნების ვადის გასვლამდე იღებენ.

ნავთობის ფასი 73 დოლარი/ბარელს ასცდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,12 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,71 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ამგვარად, ნავთობის ფასმა ბოლო შვიდკვირიან მაქსიმუმს მიაღწია. ნავთობის გაძვირება აშშ-ს შიდა პროდუქტის ზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, ნავთობის მარაგის შემცირებამ, მსოფლიოში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ და თავისუფლების დღესთან დაკავშირებულმა ოთხდღიანმა უეიქ-ენდმა განაპირობა. ეს უკანასკნელი ამერიკელების მიერ საკუთარი ავტომობილებით ქალაქგარეთ გასვლას და ბენზინზე მოთხოვნილების გაზრდას ნიშნავს. შემდეგი ვაჭრობა ნიუ იორკის ბირჟაზე 5 ივნისს გაიმართება.

Arcelor-ის აქციონერებმა "სევერსტალთან" შერწყმაზე უარი თქვეს

პარასკევს გამართულ ევროპული მეტალურგიული კომპანიის Arcelor SA-ის აქციონერთა კრებაზე `სევერსტალთან" შერწყმაზე უარის თქმის გადაწყვეტილება მიიღეს. ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ხმა მისცა აქციონერთა 57,94 პროცენტმა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 მაისს Arcelor-მა მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნის Mittal Steel-ის მიერ შთანთქმის თავიდან ასაშორებლად რუსულ "სევერსტალთან" შერწყმა გადაწყვიტა. თავის მხრივ, Mittal Steel-მა თავისი წინადადება რამდენჯერმე გაზარდა და საბოლოოდ 25 ივნისს Arcelor-ის დირექტორთა საბჭომ აქციონერებს მოუწოდა კრებაზე უარი ეთქვათ "სევერსტალთან" შერწყმაზე და მიეღოთ Mittal Steel-ის წინადადება 1 აქციის სანაცვლოდ 40,4 ევროს, მთლიანობაში 26 მილიარდი ევროს გადახდის შესახებ.

Renault-ს და Nissan-ს General Motors-ში წილის შესყიდვა სურთ

ავტომშენებელი კომპანიები ფრანგული Renault SA და იაპონური Nissan Motor Co ამერიკულ კონცერნ General Motors Corp-ში წილის შეძენას და ამგვარად მის თავიანთ სტრატეგიულ ალეანსში გაერთიანებას გეგმავენ. ამის შესახებ ამერიკული პრესისათვის GM-ის ხელმძღვანელობისათვის მილიარდერ კირკ კერკორიანის მიერ გაგზავნილი წერილიდან გახდა ცნობილი. აღნიშნულ წერილში GM-ის აქციების 10 პროცენტის მფლობელი, უმსხვილესი მინორიტარული აქციონერი კომპანია Tracinda-ს მფლობელი ამერიკული ავტოკონცერნის დირექტორთა საბჭოს ურჩევს Renault-ის და Nissan-ის შესაძლო წინადადება მიიღონ. კერკორიანი აღნიშნავს, რომ ორი კომპანიის ალიანსს "შთამბეჭდავი ეფექტი მოჰყვა როგორც წარმოების, ასევე ბაზრის ათვისების საქმეში" და მასთან მიერთება GM-ს პრობლემათა დაძლევაში დაეხმარება. 2005 წელს ამერიკული კონცერნის სუფთა წაგებამ 10,6 მილიარდი დოლარი შეადგინა.

გორში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნავენ

თეა თედლიაშვილი
გორიდან

საერთაშორისო ორგანიზაციების - CHF-ისა და ურბანული ინსტიტუტის ძალისხმევით, რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიზნით, გორში რაიონის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, სადაც გაერთიანებული არიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის და მედიის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფმა, რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით, მოამზადა პროექტი, რომელიც გორის ციხის მისასვლელი გზის აღდგენას ითვალისწინებს. სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ გორის ციხეს, როგორც უძველესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლს, ტურისტების მოზიდვის დიდი პოტენციალი გააჩნია. წლების მანძილზე მიტოვებული ისტორიული ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია, რის გამოც მას ტურისტები იშვიათად სტუმრობენ. გორის ციხის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 50 ათას ლარს შეადგენს, რომლის 75 პროცენტსაც CHF და ურბანული ინსტიტუტი გაიღებს, ხოლო დანარჩენი თანხა გორის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი ქეთევან ბებიაშვილი ირწმუნება, რომ პროექტის განხორციელებისთვის დამტკიცებული ბიუჯეტი ღია და საჯარო იქნება, მისი ნახვა და ინფორმაციის მიღება საქართველოს ყველა მოქალაქეს შეეძლება.

სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ გორის ციხის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ქალაქში ტურიზმის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას. მათი აზრით განვითარდება ტურიზმზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა, როგორიცაა სუვენირების დამზადება-გაყიდვა, სასტუმროების, რესტორნების ქსელის ჩამოყალიბება. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ტურისტული მარშრუტის გეგმაც, რომლის მიხედვითაც დაიბეჭდება საინფორმაციო ტურისტული ბუკლეტები. გორში ჩამოსულ ტურისტს სთავაზობენ, მოინახულონ გორის ციხე, სტალინის სახლ-მუზეუმი, უფლისციხე და ატენის სიონი.

გორის ციხის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით გორის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ გამართულ პრესკონფერენციას CHF-ის დირექტორის მოადგილე კრის ბრაუნი და საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაესწრნენ.

კულტურის მინისტრის მოადგილემ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი და განაცხადა, რომ მოსავალში ინტენსიურად დაიწყება მუშაობა ძეგლების რეაბილიტაციაზე.

"ჩვენი სამინისტრო ქალაქში ჩაატარებს ისტორიული ძეგლების ინვენტარიზაციას, ახლო მომავალში კი სახელმწიფო დააფინანსებს ძეგლების აღდგენა-განახლების პროექტებს. ამ პროექტების მიზანი იქნება, ძეგლებმა შეიძინონ ტურისტული მნიშვნელობა," - განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

ურბანული ინსტიტუტის სამოქალაქო განათლების პროგრამის კოორდინატორი მზია მიქელაძე მიიჩნევს, რომ გორის ციხის პროექტის განხორციელება ერთი კაცის და ერთი ჯგუფის საქმე არ არის და მასში მთელი ქალაქის მოსახლეობა უნდა ჩაერთოს.

"ამსათანავე არ შეიძლება ყოველთვის დონორების შემყურე ყოფნა. არავინ არის ვალდებული, დაიცვას ჩვენი ისტორიული ძეგლები. დროა, ხელისუფლებამ თვითონ იზრუნოს ღირსშესანიშნაობების დაცვაზე," - დასძინა მზია მიქელაძემ.

CHF-ის დირექტორის მოადგილის კრის ბრაუნის თქმით, ეს პროექტი - პილოტირებული პროექტია (ვინაიდან CHF პროექტებს მხოლოდ სოფლებში ახორციელებს) და მის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული, საქართველოს სხვა ქალაქებში მოხდება თუ არა ანალოგიური პროექტების დაფინანსება.

უცხოელი ინვესტორები კომუნიკაციებით და ტურიზმით ინტერესდებიან

უცხოელი ინვესტორები საქართველოში, ძირითადად, კომუნიკაციებით და ტურიზმის სექტორით ინტერესდებიან. საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ კვირის ბოლოს ოთხ დიდ დელეგაციას უმასპინძლა ლიბანიდან, გაერთიანებული არაბეთის საემიროებიდან, ყაზახეთიდან და ისრაელიდან. როგორც საქართველოს საინვესტიციო სააგენტოში განაცხადეს, განსაკუთრებული დაინტერესება სტუმრებმა წყალტუბოში, ბორჯომსა და აჭარაში ტურიზმის სფეროში მიმდინარე პრივატიზაციის მიმართ გამოხატეს. ინვესტორები საქართველოში სავაჭრო ქსელებისა და კაზინოების განვითარების საკითხებითაც დაინტერესდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის შესახებ კანონი გაერთიანდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ექსპერტებთან ერთად, მეფუტკრეობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის კანონპროექტს ამუშავებს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა განაცხადა, სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონის გაუქმების შემდეგ, მეფუტკრეობა მეცხოველეობის ზოგად კანონში გაერთიანდება. ცვლილებებს პარლამენტში აგრარული კომიტეტი განიხილავს. ბეგიაშვილის თქმით, კანონპროექტზე მუშაობა, დაახლოებით, ივლისი-აგვისტოში დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო კანონპროექტის დახვეწას მოითხოვს

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრის მურმან ქურიძის მიერ კომიტეტზე წარდგენილ მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ კანონპროექტს არ ეთანხმება. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ კანონპროექტში მთელი რიგი დებულებები და საკითხები დასახვეწია. ამიტომ სამინისტრო მას არ ეთანხმება. ლილი ბეგიაშვილი არ გამორიცხავს იმას, რომ პარლამენტის აგრარული კომიტეტი, ხმათა უმრავლესობით, მურმან ქურიძის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს დაამტკიცებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სამტრესტს განყოფილებები დაემატება

“სამტრესტის” სტრუქტურა 2006 წელს, შესაძლოა, ნაწილობრივ შეიცვალოს. როგორც სამტრესტის თავმჯდომარის მრჩეველმა ედუარდ ლეკიაშვილმა განაცხადა, სულ მალე კომისია, რომელიც ქართველი და უცხოელი ექსპერტებითაა დაკონპლექტებული, გადაწყვეტს, დაემატება თუ არა სამტრესტს გეოგრაფიული და რეგიონული მაჩვენებლების განყოფილებები. მისი თქმით, ახალ განყოფილებებს, სამტრესტის მსგავსად, ყველა ფუნქცია ექნებათ და რეგიონებში, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში რეგულირებას კანონის შესაბამისად განახორციელებენ. სამტრესტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის დარგში რეგულირებას ახდენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთი ელექტროენერგიის ზრდის პროგნოზს აკეთებს

რუსეთის ეკონომიკის სამინისტრო ელექტროენერგიის მატებას ვარაუდობს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, უახლოესი 13 წლის განმავლობაში ატომური სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ამჟამად არსებული 16%-დან 23-34%-მდე გაიზრდება.

აღნიშნული უწყების ხელმძღვანელის ვიკტორ ხრისტენკოს განცხადებით, სამინისტრო ამუშავებს გეგმას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს რუსეთს, 2007 წლიდან ორი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყოს.

2011-2012 წლებში კი რუსეთის ტერიტორიაზე ექსპლოატაციაში ორ ატომურ ენერგობლოკს ჩაუშვებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

მომსახურების სფეროს ბალანსი დადებითად ფასდება

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის პირველ კვარტალში მომსახურების ბალანსი დადებითია. მან .30,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 79 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე (17 მლნ დოლარი). შესაბამისად, გაზრდილია მომსახურების ექსპორტიც და იმპორტიც.

დადებითია შემოსავლების ბალანსიც, რამაც 29,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. კრედიტში ჭარბობს საქართველოს რეზიდენტების შემოსავლები საზღვარგარეთ მუშაობისგან, ხოლო დებეტში - საინვესტიციო შემოსავლები.

მიმდინარე ტრანსფერტები საკმაოდ სოლიდურია და 27,5 პროცენტით აბალანსებს საქონლის ვაჭრობით გამოწვეულ დეფიციტს. მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსი 2005 წლის პირველ კვარტალში 55,4 მლნ. აშშ დოლარი იყო, ხოლო 2006 პირველ კვარტალში მან 96,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ ადგილი აქვს 73,6-პროცენტიან ზრდას.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითმა სალდომ 2006 წლის პირველ კვარტალში 170,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 32 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე. ეს, ძირითადად, გამოწვეულია როგორც კაპიტალის, ისე ფინანსური ანგარიშის დადებითი სალდოს ზრდით. **ჯი-ეიჩ-ენი**

ამინდი

	3/07	4/07	5/07
კიევი	25	27	29
რიგა	27	27	28
ვილნიუსი	26	27	27
მოსკოვი	19	25	23
მინსკი	26	29	30
პარიზი	31	36	26
რომი	30	31	31
ლონდონი	30	32	31
მადრიდი	33	32	27
ბონი	29	33	35
ვარშავა	26	31	32
ათენა	27	26	27
ბერნი	31	30	31
ამსტერდამი	25	30	32
ოსლო	25	26	29
ანკარა	27	27	28
ვარნა	23	25	26
დელი	54	53	46
ტოკიო	32	29	30
კოპენჰაგენი	25	26	26
ბაქო	26	26	26
ერევანი	32	30	33
ასტანა	27	22	19
ჰელსინკი	23	23	23
დუბლინი	20	23	24
ლისაბონი	26	23	22
პრაღა	25	25	27
სოფია	18	24	22
ბუდაპეშტი	27	30	31
ბუხარესტი	29	31	32

ანტალია და ფრანგული მუხის კასრში დავარგებული ქართული ღვინო

დიანა ჩაჩუა

ქართველი დამსვენებლები თვითმფრინავში ღვინის ბოკალით ხელში, რეისი ანტალიის მიმართულებით, საღამოს შვიდი საათი - რა არის ამაში უჩვეულო? მართლაც, რეისი თბილისი-ანტალია თურქეთში აქამდეც უამრავჯერ შესრულებულა, არც ცაში ღვინის სმაა უცხო ქართველებისთვის. მაგრამ ახლა საქმე ფრანგული მუხის კასრში დაძველებულ ღვინოს ეხება, რომელიც პირველად 10 ათას მეტრ სიმაღლეზე სწორედ ხსენებული ხომალდის მგზავრებმა დააგემოვნეს. ტურისტული სააგენტო "N ტურის" დამფუძნებლებმა თურქეთში ტურისტული სეზონი პირველი ქართველი დამსვენებლების და "თელიანი ველის" ორი ახალი ბრენდის თანხლებით თავად გახსნეს.

მოვლენებმა ციდან ანტალიის ერთერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმრო "გლორია გოლფში" გადაინაცვლა. საღამოს ანტალიის გუბერნატორი, მერი, ტურიზმის ნიმისტრის მოადგილე, სასტუმრო "გლორია გოლფ"-ის დირექტორი, "ვასკო დეტურ"-ის გენერალური დირექტორი, ასევე თურქეთში საქართველოს ელჩი გეგა მგალობლიშვილი და "N ტურის" პარტნიორი სააგენტოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ზაფხულის სეზონის გახსნის აღსანიშნავად, ანტალიაში შეკრების უმთავრესი მიზანი საერთაშორისო ტურიზმში ჩართულ ქართულ და თურქულ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ჩრდილოელი მეზობლების მიერ დაწუნებული ქართული ღვინის მხარდაჭერა იყო.

"გლორია გოლფის" გოლფის თვალმიუწვდომელ მოედნებზე "N ტურმა" ქართველ პარტნიორებს სამახსოვრო დიპლომები გადასცა, თავად კი 5-წლიანი საუკეთესო პარტნიორობისთვის ტურისტულმა სააგენტო დეტურმა დაუჯილდოვა.

"თელიანი ველის" ახალი ღვინოებით დაჭაშნიკება "N ტურის" სტუმრებს მთელი ღამის განმავლობაში, ქართული ხალხური სიმღერის ფონზე შეეძლოთ. თუმცა მხოლოდ მოწვეულ სტუმრებს, რადგან ქართული ღვინის კომპანია თურქეთში საკუთარი პროდუქციის ექსპორტს მხოლოდ ახლა იწყებს. შესაბამისად, ანტალიის დახლებზე მათ ჯერ ვერსად შეხვდებით.

"место встречи изменить можно" - ამის ძლიერ სჯერა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს საბა კიკნაძეს. რუსეთში უარყოფილი ქართული ღვინო თავის ძირძველ რუს მომხმარებელს თურქეთის კურორტებზე დახვდება, - ასეთი განწყობითაა ქართული ტურიზმის ხელმძღვანელი. ამასთან, ანტალიის სასტუმრო "გლორია გოლფი" ხომ რუსი დამსვენებლების ერთ-ერთი რჩეული ტურისტული კომპლექსია.

“ ვფიქრობ, მარტო იმ ფაქტმა, რომ აქ უამრავი რუსი ისვენებს, ქართულ ღვინოს ამ თურქულ რივიერაზე დიდი წარმატება უნდა მოუტანოს. დღევანდელი ჩვენი საღამო თურქეთში “თელიანი ველის” ღვინოების წარმატების საწინდარი უნდა გახდეს,” - აღნიშნა "თელიანი ველის" შეფ-სომელიე თემურ ბენიძემ.

მაინც რითი გამოირჩევიან "თელიანი ველის" ახალი ღვინოები - წინანდალი და საფერავი მათი წინამორბედებისგან? როგორც "24 საათს" კომპანიის შეფ-სომელიემ განუმარტა, წინანდალი ფრანგული მუხის კასრში იქნა ფერმენტირებული. მანამდე, წინანდალს მუხა არასოდეს ჰქონია გავლილი. "თელიანი ველის" მეღვინეების მიერ განხორციელებულმა სიახლემ ახალ სასმელს ტროპიკული ხილის სურნელი შესძინა და ახლა ის მეტად რბილი და ხავერდოვანია. წინანდალი ძალიან უხდება ზღვას და ზღვის პროდუქტების სამზარეულოს. რაც შეეხება საფერავს, ისიც ერთი წლის განმავლობაში ფრანგული მუხის კასრში იყო დავარგებული და ფერმენტირებული. თუმცა ამ ღვინის უნიკალურობა სხვა რამეშია - **"ჩვენ ღვინო არ გავფილტრეთ. ამან მას მეტი ბუნებრიობა შესძინა,"** - დასძინა თემურ ბენიძემ.

ანტალიის გოლფის მოედანზე გამართული ქართული ღონისძიება გვიან ღამით, ფეიერვერკების თანხლებით დასრულდა. "N ტურის" სტუმრები თბილისში კვლავ ანტალიის საერთაშორისო აეროპორტიდან, თუმცა უკვე ფრანგულ მუხის კასრში დაძველებული ღვინოების გარეშე გაფრინდნენ. ერთი სიტყვით, სეზონი გახსნილია და წარმატებული დასვენების ახალი რეცეპტიც გამჟღავნებულია - თურქეთში, ქართული ღვინის თანხლებით.

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

რიკარდუმ ინგლისი კიდევ გაამწარა

C2

ბებერი ხარები

C3

ნადალმა აგასის ოცნება მოკლა

C4

ბექჰემი კაპიტნობას ტოვებს

ტელეკომპანია სკაი ნიუსთისითვის მიცემულ ინტერვიუში დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ დარჩება ინგლისის ნაკრებში, მაგრამ აღარ უკაპიტნებს გუნდს.

"ვამაყობ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი ვიყავი, ახლა როდესაც ნაკრებს სტივ მაკლარენი ჩაიბარებს, კაპიტნის სამკლაურს სხვას გადავცემ. რაც შეეხება ჩემს თამაშს ნაკრებში. ყოველთვის ვამბობდი, რომ ქვეყნის პირველ გუნდში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია, ამიტომ ნაკრებიდან წასვლას არც ვფიქრობ", - აცხადებს დევიდ ბექჰემი.

ფიფა რუნის საქმეს განიხილავს

ინგლისისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების შეხვედრაში უეინ რუნი მინდვრიდან გააძევეს. ინგლისელთა ფორვარდი ავტომატურად გამოტოვებს თავისი გუნდის მომავალ შეხვედრას, თუმცა შესაძლოა რუნის დისკვალიფიკაცია უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ფიფას დისციპლინარული კომიტეტი ამ ინციდენტის გამოძიებას აპირებს და შესაძლოა რუნი უფრო მკაცრადაც დაისაჯოს. ამავდროულად უეინს გამოესარჩლა სტივენ ჯერარდი, ფაქტია, რომ ინგლისელთა მარცხს ახლა ბევრი სწორედ რუნის დააბრალებს.

"რუნი ფანტასტიკური ფორვარდია, ყველაფერს მას ნუ დააბრალებთ, დარწმუნებული ვარ ინგლისის ნაკრებს კიდევ ბევრ კარგს გაუკეთებს", - აცხადებს ჯერარდი.

შირაკი ფინალზე ოცნებობს

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ტრიბუნებიდან ადევნა თვალყური საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებას მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩის შემდეგ შირაკმა განაცხადა, რომ ფრანგები აუცილებლად ითამაშებენ ფინალში.

"ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ საფრანგეთის ნაკრები ფინალში ითამაშებს. საფრანგეთს უყვარს თავისი გუნდი და მას მხარში უდგას", - ამბობს შირაკი.

პობორსკი კარიერას ასრულებს

ჩეხეთის ნაკრების ვეტერანი ნახევარმცველი კარელ პობორსკი საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს. 34 წლის ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა.

კრიშტიანუ რონალდუ "რეალში" გადადის

პორტუგალიის ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ აცხადებს, რომ მუნდიალის დასრულების შემდეგ მადრიდის "რეალში" გადავა.

დაახლოებით ორი დღის წინ კრიშტიანუმ განაცხადა, რომ სრუს სამეფო კლუბში თამაში, გუშინ კი მან ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ჟურნალისტის კითხვას გადავა თუ არა იგი "რეალში" რონალდუმ უპასუხა: "დიახ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ალბათ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი გავხდები".

არეულობები პარიზსა და გელზენკირხენში

სფარანგეთის ნაკრების გამარჯვების შემდეგ პარიზში დიდი ზეიმი მოეწყო. საფრანგეთის დედაქალაქი მთელი ღამე აღნიშნავდა გამარჯვებას. ცხადია ამ სპონტანურ ღონისძიებას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. პოლიციამ 20-დე გულშემატკივარი დააკავა.

გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა გალზენკირხენის პოლიციას. ინგლის-პორტუგალიის მატჩის შემდეგ განაწყენებული ინგლისელი ფანები ქალაქის გუჩებში გამოეფინენ და რატომყაც მაღაზიების ვიტრინების მტვრევა დაიწყეს, პოლიციამ შეძლო ხულიგნების დაშოშმინება და ასამდე გულშემატკივარია დაკავებული.

ფინალისკენ გზა ხსნილია

პორტუგალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ ეუსებიომ განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრების დამარცხების შემდეგ პორტუგალიელებს ვეღარავინ შეაჩერებს.

"არაერთხელ მითქვამს, რომ მჯერა ამ გუნდის. ფინალისკენ მიმავალი გზა ხსნილია, თუ საჭირო გახდა ამ გუნდის ფეხბურთელებს მინდორზე სიკვდილიც კი შეუძლიათ. ახლა ჩვენი ოცნება შესაძლოა რეალობად იქცეს", - ამბობს ეუსებიო.

"ჩელსი" კრესპოს გაყიდის

მას შემდეგ რაც არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ტრანსფერზე აყენებენ არგენტინელ ფორვარდ ერნან კრესპოს. ისე კი, ალბათ არგენტინელთა მარცხი აქ არაფერ შუაშია, კრასპოს, რომ "ჩელსი" გაყიდდა მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც არისტოკრატებმა მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ორი ფორვარდი შეიძინეს - ანდრეი შევჩენკო და სოლომონ კალუ.

ქართული დღე უიმბლდონზე

შაბათს ირაკლი ლაბაძემ უიმბლდონზე მესამე წრის შეხვედრა მოიგო და ტურნირის მერვედფინალში გავიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ირაკლიმ უიმბლდონის ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, ეს უდავოდ დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. მესამე წრეში მას აშკარად გაუმართლა. ირაკლის მეტოქე იყო ამერიკელი მარდი ფიში, რომელიც ბალახის კორტის ოსტატად ითვლება. მატჩი ლაბაძის უპირატესობით დაიწყო. პირველ სეტს ირაკლი 5:2-ს იგებდა, როდესაც ამერიკელმა თამაში შეწყვიტა. ფიშს მატჩის დაწყებამდეც აწუხებდა ტრავმა, რამაც თამაშის დროსაც იჩინა თავი.

ახლა ქართველ ჩოგბურთელს ნამდვილი გამოცდა ელის. მეოთხე წრეში ირაკლი რაფაელ ნადალს ეთამაშება. მართალია, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ბალახის კორტის ოსტატად არ ითვლება, მაგრამ წლეულს ნადალს უიმბლდონის მოგება აქვს დაგეგმილი და ალბათ ირაკლის მასთან თამაში ძალიან გაუჭირდება. ნადალმა მესამე წრეში სრულიად უპრობლემოდ დაამარცხა ანდრე აგასი.

აღსანიშნავია, რომ ესპანელი ვუნდერკინდიც უფრთხის ქართველ ჩოგბურთელს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში რაფაელის მცირე ინტერვიუსაც გთავაზობთ, რომელშიც ის სწორედ ამაზე საუბრობს.

ირაკლისთვის კი წლევანდელი უიმბლდონი საოცრად იღბლიანი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ მან ერთეულთა თანრიგში მიაღწია მერვედფინალამდე, წყვილთა თანრიგშიც კარგად თამაშობს და სერბ დუშან ვერიჩთან ერთად გათამაშების მესამე წრეში გავიდა.

წლევანდელი უიმბლდონი მხოლოდ ირაკლის წარმატებით როდია ქართველებისთვის მნიშვნელოვანი. შაბათს გოგონათა ტურნირიც დაიწყო, რომლის პირველ წრეში ანა ტატიშვილმა სერბი ნატაშა ზორიჩი დაამარცხა. ტატიშვილმა პირველი სეტი დათმო, თუმცა შემდეგ ტაიბრეიკზე ძალა მოიკრიბა, მოიგო მეორე სეტი, მესამეში კი მეტოქე უშანსოდ დატოვა. საბოლოოდ ტატიშვილმა ანგარიშით 5:7,7:6,6:4 იმარჯვა.

ამრიგად, სეზონის უმნიშვნელოვანეს საჩოგბურთო ტურნირზე ქართველები საკმაოდ კარგად ასპარეზობენ. ვნახოთ, რას იზამს დღეს ლაბაძე რაფაელ ნადალთან. ვინ იცის, იქნებ ქართველმა მორიგი სენსაციაც შემოგვთავაზოს. თუ ირაკლიმ ნადალის ბარიერის გადალახვა შეძლო, მას ნახევარფინალში თამაშის რეალური შანსი ექნება, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ნიემინენისა და ტურსუნოვის წყვილს შორის გამარჯვებულს შეხვდება და ნადალის დამმარცხებელ ჩოგბურთელს ამ ორიდან არც ერთის ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია. ჯერჯერობით ირაკლის წინააღმდეგ მსოფლიოს მეორე ჩოგანი რაფაელ ნადალი ითამაშებს.

გაგრძელება □4 გვერდზე

მერვედფინალში ლაბაძე ნადალს შეხვდება.

გიორგი ბაბაური

სევდიანი ტანგო ოქროსფერ ქალაქში

ნინო პირველი
გერმანიიდან

ბერლინი, 2006 წლის 30 ივნისი. ყოვლად ჩვეულებრივი პარასკევი დღის ნელთბილი საღამო. ოთხმილიონიანი ქალაქის ფართე ქუჩები ისე უკაცრიელი და ცარიელია, როგორც შუასაუკუნეებში შავი ჭირის ეპიდემიის მეფობის ჟამს. კანტიკუნტად თუ ჩაივლიან ნაციონალური დროშებით მორთული მანქანები, აქა იქ ხანდახან ერთ-ორი ფეხით მოსიარულესაც მოკრავს კაცი თვალს, თავპირისმტვრევით რომ გარბიან უახლოესი ტავერნა ბარისკენ. ხაზის ავტობუსები ისე იოლად იკვლევენ გზას მორიგი გაჩერებებისკენ, როგორც არასოდეს ბერლინის გადატვირთულ საგზაო მოძრაობაში. სწრაფად იხსნება და იხურება დიდი ყვითელი ავტობუსის მორჩილი კარები - გაჩერებაზე არავინ დგას. მოწყენილი მძღოლი, გაბრაზებული, მაინცდამაინც ამ დღეს რომ მოუწია რამდენიმე გზააბნეული უცხოელი ტურისტის აქეთ-იქით ტარება, გამეტებით აჭერს ფეხს "გაზის პედალს".

ნეტა რა ხდება ახლა ოლიმპიურ სტადიონზე? ჯერ კიდევ აკონტროლებს სიტუაციას იურგენ კლინსმანის ახალგაზრდა ნაკრები, თუ უკვე წაიცეკვეს საბედისწერო ტანგო არგენტინელებმა? ღმერთო, სადაც აქამდე მოგვიყვანე და გამარჯვების იმედი ჩაგვისახე, ნუ მიგვატოვებ ახლა, ამ მძიმე წუთებში. მთელი ქვეყანა ხომ მხოლოდ ფეხბურთით სუნთქავს ამ ბოლო სამი კვირის განმავლობაში. გვაჩუქე კიდევ ერთი გამარჯვება, შენ, უმოწყალო და ჭირვეულო ფეხბურთის ღმერთო.... ეს პატარა, მაგიური ლოცვა არ ჭრის: 49-ე წუთზე რობერტო აიალამ თავით გოლი გაიტანაო, სევდიანად იუწყება შავი რაცია, ყველა ბერლინელ მძღოლს რომ უდევს საჭის წინ ავტობუსში. რა უსამართლობაა... წააგებენ, ალბათ აუცილებლად წააგებენ. რა გაეწყობა, არგენტინა დიდი გუნდია. რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს დროშას მაინც არ მოვხსნი მანქანას. დაე ყველამ იცოდეს, რომ გერმანელი ვარ და ვამაყობ ამით! ამ პატრიოტული ტირადით გამხნევებული მძღოლი ისევ კარგ ხასიათზე დგება და ირონიულად ათვალიერებს სარკეში უზარმაზარ ავტობუსში გაბნეულ მგზავრებს. მაინც რა უნდა ამ ხალხს ახლა გარეთ, ტელევიზორი არ აქვთ სახლში?

ამ დროს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე არგენტინელი ფანები უკვე თითქმის თავდაჯერებულად აფრიალებენ თეთრ-ცისფერ დროშებს.

"ალბისელესტე" ბრწყინვალედ იცავს თავს და წარმატებით უტევს იენს ლემანის კარს. ხუან რომან რიკელმე, იენს ლემანის დაუძინებელი მტერი, აშკარად ტკბება თავის შურისძიებით. მატჩის პირველი და ერთადერთი გოლი ხომ მის მიერ ჩაწოდებული კუთხურის მერე გაიტანა ვეტერანმა რობერტო აიალამ. არგენტინელი ნახევარმცველი და გერმანელი მეკარე უკვე მეორედ ხვდებიან ერთმანეთს ამ სეზონში. ამა წლის აპრილში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, სადაც რიკელმე ესპანური "ვილიარეალის" წარმატებისთვის იბრძოდა, ლემანი კი ლონდონის "არსენალის" კარს იცავდა, არგენტინელის პენალტი იოლად მოიგერია გერმანელმა და ამით "ვილიარეალის" ნაცვლად "არსენალი" გავიდა ფინალში. ის მწარე დამარცხება ახლაც ახსოვს რიკელმეს და ყველა ღონეს ხმარობს, მშობლიური მუნდიალი რომ ჩაუმწაროს ლემანს. აი, თავადაც რომ გაიტანოს გოლი, მერე უყაროს კაკალი ლემანმა, სულაც რომ ყირაზე დადგნენ კლოზე და პოდოლსკი, პეკერმანის დაცვას მაინც ვერსად წაუვლენ. არგენტინა ჯერ ნახევარფინალში გავა, მერე ფინალში და მერე ჩემპიონი გახდება. სწორედ ისე, როგორც ამ 20 წლის წინათ მექსიკაში.

მაშინ დიეგო მარადონა იყო ვარსკვლავი და ეროვნული გმირი, 2006 წელს კი რიკელმე იზეიმებს უდიდეს ტრიუმფს. ჰო, მართლა, სად არის მარადონა? რატომღაც არ ზის ტრიბუნაზე. მგონი ვიღაცამ თქვა, მისი კლანი არ შეუშვეს გერმანელებმა VIP ლოჟაში და ამან ისე გააბრაზა, რომ სტადიონი დემონსტრაციულად დატოვაო. რა სისულელეა... რიკელმე თავდაუზოგავად შრომობს მოედანზე, გენიალურ პასებს აწვდის თანაგუნდელებს, გადასარევად უშლის ხელს მეტოქის თავდასხმას, მოკლედ, ერთერთი საუკეთესოა და სწორედ ამიტომ თვალებს არ უჯერებს, როცა გვერდითი მსაჯის ზეცისკენ აწვდილ ტაბლოზე საკუთარ ნომერს ხედავს - როგორ, მას სათადარიგოთა სკამისკენ იწვევენ და ესტებან კამბიასომ უნდა ითამაშოს მის მაგივრად? მაინც რამ მიაღებინა ხოსე პეკერმანს ასეთი გადაწყვეტილება?

ამ წუთებში ჯერ არავინ იცის, რომ ეს საბედისწერო შეცდომაა. ამ წუთებში ყველა ფიქრობს, რომ არგენტინელთა მთავარ მწვრთნელს ამ მწირე 1:0-ის შენარჩუნება უნდა და ამიტომ შემოჰყავს ჩამშლელი და გამანადგურებელი ესტებან კამბიასო. აბა როგორ უნდა იცოდეს ხოსე პეკერმანმა წინასწარ, დაახლოებით 40 წუთის მერე სწორედ კამბიასო რომ ააცილებს გადამწყვეტ უკანასკნელ პენალტს?

80-ე წუთამდე ყველაფერი კარგად იყო არგენტინელთა თვალსაწიერიდან. მერე კი მიროსლავ კლოზეს ტრიუმფის ჯერი დადგა - ბალაკის პასი, კლოზეს თავი და არგენტინელთა ნომერ მეორე მეკარე ლეო ფრანკო, ტრამვირებული აბონდანსიერის ნაცვლად რომ შემოვიდა მეორე ტაიმში, უსასოდ აყოლებს თვალს მის კარებში უმოწყალოდ შეჭრილ ბურთს. ეს იმას ნიშნავს, რომ არგენტინას ისევ ჭირდება გოლის გატანა, რიკელმე კი უკვე აღარ არის მოედანზე...

სტადიონი ზანზარებს, გერმანელი ფანები ლამისაა გადმოცვივდნენ ტრიბუნებიდან. ოქროსფერი-შავი და წითელი დროშები ამაყად ფრიალებენ, ფანობა ერთმანეთს ამხნევებს - "გერმანია ჩემპიონი გახდება!!!" ბუნდესკანცლერი ანგელა მერკელი აღტაცებული უკრავს ტაშს. ფრანც ბეკენბაუერი გაბრწყინებული სახით იყურება სტადიონისკენ. რესტორნებში, ბარებში და ფანთა პროსპექტებზე იეფორია კულმინაციას აღწევს. მოკლედ, ყველა ბედნიერია, არგენტინელების გარდა. მერე ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც მოსალოდნელი იყო - დამატებითი 30 წუთი და ბოლოს პენალტები.

არგენტინელების გადამწყვეტი პენალტი: ესტებან კამბიასო ფრთხილად უახლოვდება ბურთს. ორივე ხელაღმართული ლემანი არგენტინელი დაბნევას ცდილობს და აქეთ-იქით დახტის. კამბიასოს დარტყმა და.. მთელს გერმანიაში საგანგებო მდგომარეობა იწყება. სახალხო ზეიმი, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდება და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს: ბუნდესკანცლერიდან დაწყებული, აღტაცებული რომ ეხვევა ფრანც ბეკენბაუერს, ყვავილების გამყიდველებით დამთავრებული, ოქროსფერ-შავ-წითელის კომბინირებას რომ ცდილობენ თაიგულებში.

ეს გაუგონარი გამარჯვება მთელს ქვეყანაში უდიდეს აღტაცებას იწვევს. მატჩის შემდეგ საყოველთაო ეიფორია იწყება - ბერლინის ქუჩებში დროშებით მორთული მანქანები სიგნალებით მიქრიან, შეზარხოშებული ფანობა მანქანის სავალ გზებზე ცეკვავს, მთელი ქალაქი ოქროსფერ-შავ-წითელია. თვით 4-5 წლის ბავშვებსაც კი უზარმაზარი დროშები უკავიათ პატარა ხელებში. ყველა მძღოლი თავს ვალდებულად მიიჩნევს საყვირის მიცემით ჩაიაროს სავსე ქუჩებში. და ეს იმ ქვეყანაში, სადაც მოძრაობის წესების რეგისტრში მკაცრადაა დადგენილი რა შემთხვევაშია ნებადართული სიგნალის გამოყენება: ქალაქში გაფრთხილების და ქალაქგარეთ გადასწრების და გაფრთხილების მიზნით. აქამდე არც არავინ აჭერდა თითს საყვირს, ადგილობრივი თურქების ქორწილს თუ არ ჩავთვლით. ახლა კი ყველამ აღმოაჩინა, რომ მანქანაში სიგნალი აქვს. რომ გერმანელები არიან და ამაყობენ ამით, რომ ნაციონალური დროშა აუცილებლად უნდა იყოს მანქანაზე დამაგრებული ანდა აივანზე გადმოკიდებული, რომ ჰიმნის ტექსტის ცოდნა სავალდებულოა, რომ გერმანელები სულაც არ არიან პირქუში და უხალისო ერი.

ზიდანი მიდის, ვინღა დარჩება?



გმადლობთ ზიზუ

ვასილ უდუმაშვილი

შაბათს, როდესაც ბრაზილია - საფრანგეთის თამაშს ვუყურებდი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბრაზილია-საფრანგეთის კი არა ზიდანის თამაშს, ერთი ლეგენდად ქცეული ამბავი გამახსენდა.

60-იანი წლების მიწურული და 70-იანი წლების დასაწყისი. თბილისის "დინამო" მიხეილ მესხს აცილებს. მიშას გამოსათხოვარი მატჩისთვის თბილისში ერთ-ერთი ურუგვაული გუნდია ჩამოსული. პირველი ტაიმის შემდეგ დინამოელებმა მესხი ხელში აიტაცეს და სტადიონს საპატიო წრეს არტყამენ. ურუგვაელთა გაკვირვებული მწვრთნელი თარჯიმანს ეკითხება, რა ხდებაო? რა უნდა ხდებოდეს, მესხს ფეხბურთიდან ვაცილებთო, პასუხობენ მას. ურუგვაელი კიდევ უფრო მეტად გაკვირვებული ამბობს, კი მაგრამ, ამას თუ აცილებთ უკეთესი ვინ გყავთო.

ზიდანის თამაშის შემურეს ანალოგიური შეგრძნება გამიჩნდა, თუ ზიზუ ფეხბურთიდან მიდის უკეთესი ვიღა რჩება.

ზიდანი დიდი ფეხბურთელია და ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. გენიალურმა ზიზუმ თავად მოიწყო გაცილება. არ ვიცი, რა მოხდება პორტუგალია-საფრანგეთის ნახევარფინალურ შეხვედრაში, მაგრამ ზიდანმა თავისი ფინალი უკვე მოიგო.

ზიდანის წასვლით სრულდება მთელი ეპოქა. ისე კი, გულის სიღრმეში საწყენია, რომ ეს უნიკალური ფეხბურთელი 2 სექტემბერს თბილისში არ ითამაშებს. მართალია წმინდა პრაგმატული მოსაზრებით შესაძლოა საქართველოს ნაკრებისთვის უკეთესიც არის, რომ ზიდანი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერას ასრულებს, მაგრამ მეორე მხრივ, მისი თამაშის ხილვა ცოცხლად, თუნდაც შენი საყვარელი გუნდის წინააღმდეგ, მაინც ძალიან კარგი იქნებოდა.

რაც შეეხება თავად ბრაზილია-საფრანგეთის მატჩს, გულშემატკივარმა ყველაფერი თავად ნახა. რა თქმა უნდა, შესაძლოა ვისაუბროთ მწვრთნელის შეცდომებზე - რატომ ითამაშა პარეირამ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით? რატომ თამაშობდა ბრაზილიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე თავისთვის უჩვეულო პრაგმატულ ფეხბურთს და ასე შემდეგ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ბრაზილიას ზიდანმა მოუგო.

მინდორზე იგი კაპიტანიც იყო, გამთამაშებელიც და მწვრთნელიც. ზიდანი ფეხბურთს თამაშობდა, დანარჩენები კი მას უყურებდნენ.

რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს. ამ გუნდის პირველი მატჩების შემდეგ ითქვა, რომ ბრაზილიელები ძალას ზოგავენ, როგორც ფრანგებთან მატჩმა გვიჩვენა, ბრაზილიელებს დასაზოგი არაფერი ჰქონდათ, წინა შეხვედრებში პენტაკამპიონებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენეს. უბრალოდ პარეირას გუნდი მუნდიალს სრულიად გადამწვარი შეხვდა. რონალდინიო საკუთარ აჩრდილს ჰგავდა, ადრიანო და რონალდო საოცრად დამძიმებულები იყვნენ, კაკამ მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა. დაბერებული კაფუ კი იმდენად დიდი ავტორიტეტია, რომ პარეირამ მის ნაცვლად ძირითადში სისინიოს დაყენება ვერ გაბედა.

მოკლედ, რაც მოხდა სრულიად ლოგიკური იყო. ერთ დეტალსაც გაგახსენებთ. 1994 წელს ბრაზილიის ნაკრებმა პარეირას ხელმძღვანელობით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ბრაზილიელთა ქომაგები კი მაინც უკმაყოფილონი ჩანდნენ. ერთი მარტივი მიზეზის გამო - პარეირა ბრაზილიელებს ბრაზილიურ ფეხბურთს არ ათამაშებს. იგივე მოხდა ახლაც.

ისე კი, ყველაფერი ლოგიკურია. საფრანგეთი ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდა. ზიდანმა დაუვიწყარი საფეხბურთო საღამო გვაჩვენა, ისღა დაგვრჩენია ვთქვათ - გმადლობთ ზიზუ.

ბოლოს კი, მატჩის შემდეგ გამოთქმულ რამდენიმე კომენტარს გაგაცნობთ:

კარლოს ალბერტო პარეირა: "საწყენია. ტურნირის დასრულებას ამ ეტაპზე არ ვგეგმავდით. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენმა შეტევამ ძალიან ცუდად ითამაშა. ვიცოდით, რომ ზიდანი დიდი ფეხბურთელია და მან ეს ამ მატჩშიც დაამტკიცა. ზიზუ დეკადის უდიდესი ფეხბურთელია და ამას მტკიცება არ სჭირდება".

რაიმონ დომენეკი: "ზიდანი შეუდარებელი იყო, თუმცა გამარჯვება კარგად შემუშავებული სტრატეგიისა და მინდორზე მყოფი თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაა."

ზინედინ ზიდანი: "ახლა უკვე ტიტულის მოგებაზე ვფიქრობთ, აღფრთოვანებული ვარ".

რონალდო: "იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი ვარ, საფრანგეთის ნაკრებმა ჩვენი სათამაშო გეგმა მთლიანად არია. დღეს ფრანგებმა უკეთ ითამაშეს და დამსახურებულად გავიდნენ შემდეგ ეტაპზე. მეტოქემ ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშა".

ტიერი ანრი: "გამარჯვებას ვიმსახურებდით, პორტუგალიასთან თამაშში კი ფავორიტები ვართ".

რიკარდუმ ინგლისი ისევ გაამწარა

რიკარდუს გმირობა

შესაძლოა, ვინმემ იკითხოს კიდეც, რატომ დაასახელა ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისელი ნახევარმცველი, როდესაც პორტუგალია-ინგლისის დაპირისპირება პორტუგალიელთა მეკარემ რიკარდუმ მოიგო. ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: რიკარდუმ მატჩის შემდგომი პენალტების სერია მოიგო, 120 წუთის განმავლობაში კი მინდორზე საუკთესო მართლაც ჰარგრივზი იყო და კანადაში დაბადებული "ბაიერნის" ბრიტანელი ფეხბურთელისთვის თანაგუნდელებსაც რომ აებათ მხარი, შესაძლოა, საქმე პენალტების სერიამდე არც მისულიყო, რაშიც ინგლისელებს თითქმის არასდროს უმართლებთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი სვენ გორან ერიქსონის ბოროტ გენიად იქცა. 2002 წლიდან მოყოლებული, სკოლარიმ უკვე მესამე პრინციპული დაპირისპირება მოუგო ერიქსონს. თანაც, სამჯერვე მეკარეების წყალობით. თუ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერიქსონის გუნდი სიმენსის ბრიყვულ შეცდომას შეეწირა, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე და შაბათს სკოლარიმ რიკარდუს ბრწყინვალე თამაშის წყალობით დაამარცხა ერიქსონი.

მატჩის წინ ინგლისის ნაკრები უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ პორტუგალიის ნაკრები ორი ლიდერის - დეკოსა და კოშტინიას გარეშე ითამაშებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისელთა მთავარი კოზირი ნახევარდაცვა იყო, ორი წამყვანი ნახევარმცველის არყოფნა პორტუგალის ნაკრებისთვის, წესით, აუნაზღაურებელი დანაკლისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა საპირისპირო. პორტუგალიელებმა არაფერი დაუთმეს მეტოქეს და თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას ძირითად დროში, ეს სკოლარის გუნდი იყო. ცხადია, შესაძლოა, ვისაუბროთ გარკვეულ უიღბლობაზეც. დაშავდა ბექჰემი, რუნი კი მინდვრიდან გააძევეს. რაც შეეხება ჰორაციო ელიზონდოს გადაწყვეტილებას, ის იმდენად ახლოს იყო იმ ეპიზოდში ფეხბურთელებთან, რომ მისი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვის შეტანა ძნელია. რუნიმ აშკარად დააბიჯა ფეხი მეტოქეს. საკითხავი მხოლოდ ის არის, განზრახ მოიქცა უხეშად თუ არა. თუმცა, კიდევ ვიმეორებთ: არგენტინელი არბიტრი იქვე იდგა და ალბათ დაინახა კიდეც, რაც მოხდა. თანაც, თუ რუნის კარიერას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინგლისელმა ფორვარდმა მართლაც სპეციალურად გააკეთა ეს. შეგახსენებთ ერთ დეტალს. გასული სეზონის დაწყების წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩში რუნი მინდვრიდან გააძევეს. მაშინ "მანჩესტერის" მესვეურებმა ისიც თქვეს, უიენს ფსიქოთერაპევტი უნდა დავუქირავოთ, რათა თამაშისას ემოციების მოთოკვა მოახერხოსო.

ცხადია, რუნის გაძევებამ ინგლისის ნაკრებს დაღი დაასვა, მაგრამ პორტუგალიელებსაც ნუ დავუკარგავთ: მათ ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენეს. რაც შეეხება პენალტების სერიას, ბევრს მიაჩნია, რომ ეს ლატარიაა, მაგრამ პენალტიც ხომ საფეხბურთო კომპონენტია და თუ ფეხბურთელი ასეთ გადამწყვეტ მომენტში ემოციებს ვერ ერევა, მაშინ ის არც ნახევარფინალში თამაშს იმსახურებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ლუიშ ფიგუ და მისი თანაგუნდელები ისტორიული წარმატებისკენ მიდიან. 1966 წლის შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატებზე ასეთი დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

სვენ გორან ერიქსონი: "ურიგოდ არ გვითამაშია. მიმაჩნია, რომ მატჩის მსვლელობას ვაკონტროლებდით. წესით, ნახევარფინალშიც უნდა გავსულიყავით. პენალტების სერიაში წაგება ძალიან საწყენია".

ლუიშ ფელიპე სკოლარი: "ეს იყო ფანტასტიკური მატჩი. მინდა მივულოცო ინგლისის ნაკრებს, მათ ძალიან კარგად ითამაშეს".

რიკარდუ: "მე გმირი არ ვარ. თამაში გუნდმა მოიგო. ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი".

ინფოთეკა

რატომ წავიდა სისე?

"ნიუს ოფ ზე უორლდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ფრანგული "მარსელის" თავდამსხმელმა ჯიბრილ სისემ ინგლისური "ლივერპულიდან" წასვლის შესახებ ისაუბრა.

ფრანგი ფორვარდის თქმით, მერისისადული გუნდის დატოვება მას მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა აიძულა.

"გაკვირვებული ვიყავი, როცა ერთ დღეს რაფა ბენიტესმა დამირეკა და პირდაპირ მომახალა, რომ გუნდიდან უნდა წავსულიყავი. მას ბევრი არ ულაპარაკია, უბრალოდ მითხრა, რომ გუნდში ჩემი ადგილი არ იყო. ამას ახლა იმიტომ ვამბობ, რომ მინდა "ლივერპულის" გულშემატკივარმა სიმართლე იცოდეს - მე არ მინდოდა ჩემი საყვარელი კლუბიდან წამოსვლა", - თქვა გულდაწყვეტილმა სისემ.

"ლაციო" გაძლიერებას აპირებს

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, რომის "ლაციოს" თვალთახედვის არეში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ერთბაშად ორი ფეხბურთელი მოექცა - გერმანელთა თავდამსხმელი ჯერარდ ასამოა და შვეიცარიელთა ნახევარმცველი ტრანკტილიო ბარნეტი.

თუმცა, 28 წლის წარმოშობით გაენელი თავდამსხმელის შეძენა რომაელთათვის არც ისე იოლი იქნება - "შალკე 04" ასამოასთან განშორებას არ ჩქარობს. ფეხბურთელს კი კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს.

გერმანიაშივე თამაშობს შვეიცარიელი ბარნეტიც, რომელიც ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავს.

იაპონიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

ბი ბი სი-ს ცნობით, სერბი სპეციალისტი ივიცა ოსიმი ოფიციალურად დაინშნა იაპონიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ იაპონელთა გაწვრთნაზე უარი თქვა ბრაზილიელმა ზიკომ. იმ დღიდან მოყოლებული იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა 65 წლის სერბთან, რომლის გაშვებაზეც უარს იყო მისი წინამდებარე კლუბი "ჯეფ იუნაიტედი".

ბალაკი და კლოზე ითამაშებენ

გერმანიის ეროვნული ნაკრების ექიმთა განცხადებით, გუნდის ლიდერები - მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზემ არგენტინასთან მიღებული მცირე დაზიანებები მოიშუშეს და "სკუადრა აძურასთან" სათამაშოდ ემზადებიან.

"ორივე მათგანი მწყობრშია და ხვალნდელ მატჩს ძირითად შემადგენლობაში დაიწყებენ", - განაცხადა იურგენ კლინსმანის თანაშემწე იოაჰიმ ლევმა.

ბელამი გისოსებს მიღმა?

უელსის ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "ლივერპულის" თავდამსხმელ კრეიგ ბელამის კარდიფის ღამის კლუბში 19 წლის ბიჭუნაზე თავდასხმაში ედება ბრალი.

"ბლექბერნიდან" "ლივერპულში" ახლახან გადაბარგებული 26 წლის ბელამი მარტში ერთხელ უკვე მოხვდა პოლიციაშია. მაშინ ფეხბურთელს ახალგაზრდა ქალბატონი მის ფიზიკურად შეურაცხყოფაში ადანაშაულებდა.

კარდიფის პოლიციამ ბელამის მეგობართან ერთად დააკავეს, თუმცა ეს უკანასკნელი მალევე გაათავისუფლეს. ბელამი კი ისევ პოლიციის განყოფილებაში რჩება.

კამპო "ბოლტონში" დარჩა

"დეილი მეილის" ცნობით, ესპანელმა მცველმა ივან კამპომ, რომელსაც ინგლისურ "ბოლტონთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა, კლუბთან ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა.

32 წლის ესპანელი "ბოლტონში" 2002-03 წლების სეზონში გადავიდა და მას მერე პრემიერლიგაში 111 შეხვედრა გამართა.

2000 წელს ივან კამპომ მადრიდის "რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო.

გერმანული ბონუსი

გერმანიის ნაკრების თითოეული წევრი ნახევარფინალში გასვლისთვის პრემიის სახით 100 000 ევროს მიიღებს. ეს გახლავთ ყველაზე დიდი თანხა, რომელიც გერმანელ ფეხბურთელებს ოდესმე მიუღიათ გამარჯვებისთვის. აღსანიშნავია, რომ გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელებს 92 000 ევროს ფინალის მოგებისთვის დაპირდნენ. ახლა კი ამაზე მეტს მხოლოდ ნახევარფინაში გასვლისთვის იღებენ.

რიკელმემ "მანჩესტერი" იუარა

არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ხუან რომან რიკელმე არ აპირებს "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას. "ჩემთვის დიდი პატივია, რომ ისეთი კლუბი, როგორიც "მანჩესტერია" ჩემით დაინტერესდა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ახალი კონტრაქტი გავაფორმე "ვილიარეალთან" და ამ გუნდის დატოვებას არ ვაპირებ", - აცხადებს არგენტინელი.

ინფოთეკა

გატუზოს არ ეშინია

იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ განაცხადა, რომ ნახევარფინალში არ მოერიდება ხისტ თამაშს იმის შიშით, რომ შესაძლოა ფინალის გამოტოვებამ უწიოს.

"ამ თვალსაზრისით ნახევარფინალი ჩემთვის გარკვეულწილად გამოცდა იქნება. არა მგონია რომ ყვითელი ბარათის მიღების შიშით ფრთხილად ვითამაშო. მინდორზე გასვლისას საერთოდ არ ვფიქრობ ამდაგვარ რამეებზე", - ამბობს გატუზო.

ანრი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს

ტიერი ანრი მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმირებული ფეხით თამაშობს. ფრანგ ფეხბურთელს ქუსლის ტრავმა აწუხებს. ამის გამო შესაძლოა ტიერიმ მომავალი სეზონის დასაწყისი გამოტოვოს, ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იგი საოპერაციო მაგიდაზე დაწვება. ეს ინფორმაცია ჩვენთვის იმითაც არის ყურადსაღები, რომ 2 სექტემბერს საქართველოს ნაკრები საფრანგეთის გუნდს უმასპინძლებს და ამ დროისთვის ანრი შესაძლოა სათამაშოდ მზად არ იყოს.

რონალდინიოს წყევლამ უწია

ბრაზილიის ნაკრებისა და "ბარსელონას" ნახევარმცველი რონალდინიო გასულ წელს ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. აგრეთვე მან ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ოქროს ბურთიც მიიღო. თურმე ეს ორი ტიტული დაწყველილია და ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ამ ტიტულებს იგებს, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ვეღარ ხდება. ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა ამ თვალსაზრისით გარკვეული გამოკვლევაც კი ჩაატარეს და დაადგინეს, რომ რონალდინიოს წყევლამ უწია. ოქროს ბურთისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოპოვების გამო.

1993 წელს ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელად რობერტო ბაჯო დაასახელეს, 1997 წელს რონალდო, 2001 წელს კი ფიგუ, 1994 და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე რონალდომ და ბაჯომ თავისი გუნდები ფინალამდე მიიყვანეს. ფინალში ბაჯომ გადამწყვეტი პენალტი აცილა, რონალდომ კი 1998 წლის ფინალი პირწმინდად ჩააგდო. რაც შეეხება ფიგუს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები საერთოდ ჯგუფში ჩარჩა.

ანალოგიური ვითარებაა ოქროს ბურთის ტიტულის მფლობელებთან დაკავშირებით. 1961 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად იტალიელი ომარ სივორი აღიარეს. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა. ახლა კი გთავაზობთ უიღბლოთა სიას.

1961 - იტალია, ომარ სივორი (იტალიის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა)
1965 - პორტუგალია, ეუსებიო (პორტუგალიის ნაკრები მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა)
1969 - იტალია, ჯანი რივერა (იტალია ფინალში განადგურდა)
1973 - ჰოლანდია, იოჰან კრუიფი (ჰოლანდია ფინალში დამარცხდა)
1981 - გერმანია, კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანია ფინალში დამარცხდა)
1985 - საფრანგეთი, მიშელ პლატინი (საფრანგეთის ნაკრები ნახევარფინალში დამარცხდა)
1993 - იტალია, რობერტო ბაჯო (იტალია ფინალში დამარცხდა)
1997 - ბრაზილია რონალდო (ბრაზილია ფინალში დამარცხდა)
2001 - ინგლისი მაიკლ ოუენი (ინგლისი მეოთხედფინალში დამარცხდა)
2005 - ბრაზილია, რონალდინიო (ბრაზილია მეოთხედფინალში დამარცხდა)

უკრაინული დახვედრა

უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები მიანიჭეს, ნაკრების სამწვრთნელო შტაბს კი დამსახურებული მწვრთნელების.

კიევში დაბრუნებული უკრაინის ნაკრებს "ბორისპოლის" აეროპორტში რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ელოდა. ბლოხინის ნაკრების ფეხბურთელები სამშობლოში, როგორც ნამდვილი გმირები მიღეს. ნაკრების მცველმა ვლადისლავ ვაშჩუკმა აღნიშნა, რომ ასეთ დახვედრას არც ელოდა: "მიხარია, რომ ფეხბურთის წყალობით მთელი ქვეყანა გაერთიანდა. მეოთხედფინალში გასვლა ცხადია წარმატებაა, მაგრამ ასეთ დახვედრას მაინც არ ველოდი".

"რეალს" რუნიც მოუნდა

მადრიდის "რეალის" პერეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არტურო ბალდასანო გუნდში უეინ რუნის მიყვანას აპირებს. რუნის ტრანსფერზე სამეფო კლუბში უკვე სერიოზულად საუბრობენ. გამორიცხული არაა, რომ ესპანურმა გრანდმა კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად უეინ რუნიც წაგლიჯოს "მანჩესტერს".

"ინტერი" მაქსიზე ნადირობს

მას შემდეგ, რაც ხუან რომან რიკელმე უარი განცხადა "ვილიარეალის" დატოვებაზე მილანური კლუბი კიდევ ერთ არგენტინელ მაქსი როდიგესზე გადაერთო.

მორატის ძალიან უნდა ამ ფეხბურთელის შეძენა, თუმცა ეს არც ისე იოლია. ამავე ფეხბურთელის შეძენას "მილანიც" გეგმავს.

WWW.SPORTPHOTO.GE

ქართული სპორტი ფოტომატიანით გამდიდრდა

გიგა გურასაშვილი

კაფე "მსოფლიო სპორტში" ერთბაშად ორი დაბადების დღეს აღნიშნავდნენ - სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციისას (AIPS) და ქართული სპორტის ფოტოისტორიის ვებსაიტის დაბადებას. პირველი დაარსებიდან 82 წლის იუბილეს აღნიშნავდა, მეორე - დაბადებას. ალბათ მიხვდებოდით, რომ ორივე მოვლენა ერთმანეთს შემთხვევით არ დამთხვევია.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ინტერნეტ ქსელში ქართული სპორტის ფოტოისტორია, გნებავთ ფოტომატიანე შემოიჭრა. უკვე გასაგებია რასაც მოიცავს შესაბამისი პროექტი.

"ქართული სპორტის ფოტოისტორია" ასწლოვან პერიოდს მოიცავს და დოკუმენტურად ასახავს ქართული სპორტის განვითარების ეტაპებს 1890 წლიდან დღემდე. კატალოგში, რომელშიც შესულია 100-მდე ფოტოგრაფის ნამუშევარი, მათ შორის უნიკალური და ისტორიული მნიშვნელობის ფოტოები, ამჟამად 2000-მდე ფოტოს ითვლის. ახლო მომავალში კი მათი რაოდენობა 5000-მდე გაიზრდება.

სხვათა შორის, ვებსაიტზე ისეთი ფოტოებია თავმოყრილი, რომელიც ბევრს არც უნახავს.

ახლა რას ისახავს მიზნად "ქართული სპორტის ფოტოისტორია"? პროექტის უმთავრესი საზრუნავი ქართული სპორტის ფოტომატიანის შექმნა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფოტომასალის მოძიება და შესწავლა, აღწერა და დოკუმენტირება, კომპიუტერული აღდგენა-დამუშავება და დაცვაა.

პროექტის ავტორის საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი და გამომცემლობა "ისინდის" დირექტორის ელგუჯა ბერიშვილის განმარტებით, "ქართული სპორტის ისტორიის" ინტერნეტ ვერსიის შექმნაზე მუშაობა დაიწყო 2002 წელს. მატიანეში თავმოყრილია როგორც ქართველი, ისე უცხოელი ფოტორეპორტიორების, გარდაცვლილი და უცნობი ავტორების, აგრეთვე საოჯახო არქივებში გაბნეულ 5 ათასზე მეტ ფოტოს და ფოტოფირს, რომელთა ერთი ნაწილი უკვე საიტზეა განთავსებული.

საგულისხმოა, რომ დროთა განმავლობაში საიტი სისტემატურად შეივსება ქართული სპორტის თანამედროვე ისტორიის ამსახველი ფოტოსურათებით.

პროექტი რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობდნენ ცნობილი სპორტული ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები, მეცნიერები და არქივარიუსები, სპორტის ისტორიის მკვლევარები და ფოტოხელოვნების მოყვარულები, დააფინანსეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ და თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა.

"ქართული სპორტის ფოტოისტორიის" ვებმასტერია ლევან ჩხეიძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის იუბილესთან დაკავშირებით რამდენიმე ჩვენი კოლეგა შარშან დეკემბერში გამოცემული წიგნით "სპორტის ენციკლოპედიით" დაასაჩუქრა.

და კიდევ, გუშინდელ დღესთან დაკავშირებით ელგუჯა ბერიშვილმა სინანულით აღნიშნა, ერთი დღე გვაქვს ჩვენ სპორტულ ჟურნალისტებს და სამწუხაროდ აქ ვერცერთ სპორტსმენს ვერ ვხედავთ. არადა, ჩვენ ყოველთვის მათთან ვართო. ერთადერთი ვინც გუშინ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე მოგვილოცა ვეტერანი სპორტსმენი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში გურამ საღარაძე იყო.

ელგუჯა ბერიშვილმა დიმა ობოლაძე "სპორტის ენციკლოპედიით" დაასაჩუქრა.

გიორგი ბაბაური ფოტო

რიდით "რიდის" წინააღმდეგ

"დინამო" ავსტრიაში დამარცხდა

მიხეილ აბაიშვილი

ავსტრიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" პირველ ივლისს ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე ეტაპის მატჩი გამართა. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორმა შანსი არ დაუტოვა სომხეთის "კილიკიას", ორივე თამაში მოუგო საერთო ანგარიშით 8:1 და მომდევნო წრეში გავიდა. ამჯერად თბილისის "დინამოს" გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდა - ავსტრიის "რიდი", რომელმაც საკუთარ ეროვნულ ჩემპიონატში არცთუ ურიგოდ იასპარეზა და მეოთხე ადგილი დაიკავა. "რიდთან" მატჩამდე ჩვენმა გუნდმა ავსტრიაში ორი საკონტროლო თამაში გამართა ამ ქვეყნის ქვედა ლიგის გუნდებთან. პირველ შეხვედრაში "დინამომ" 15:0 დაამარცხა "შპიტალი", ხოლო მეორეში თავად დამარცხდა "ლეობენთან" - 3:4.

"რიდი"-"დინამოს" მატჩში მხოლოდ პირველი ტაიმი წარიმართა მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში. ანაგრიში მე-7 წუთზე გახსნა მასპინძელთა ფორვარდმა კლასპერმა, რომელმაც კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ფეხი დაუხვედრა და გრიშიკაშვილს გოლი გაუტანა. ამ ეპიზოდში უყურადღებოდ ითამაშეს "დინამოს" მცველებმა, რომლებმაც კლასპერი საკუთარ საჯარიმოში მეურვის გარეშე დატოვეს.

გოლის შემდეგაც თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. მართალია, გრიშიკაშვილს მაინცდამაინც ხშირად არ უწევდა თამაშში ჩართვა, მაგრამ ბურთს ძირითადად ავსტრიელები აკონტროლებდნენ და ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს მუდმივად დსაძაბულობაში ამყოფებდნენ.

37-ე წუთზე გრიგალაშვილმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო: "დინამოს" სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, "რიდის" მეკარეს ფეხებშორის გაუძვრინა ბურთი და ანგარიში გაქვითა: 1:1.

ეს იყო მაქსიმუმი, რაც ქართველმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში შეძლეს. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, კერძოდ, 47-ე წუთზე, მსაჯმა "დინამოს" საჯარიმოში ხელით თამაში დააფიქსირა და საეჭვო თერმოტრეტრიანი დაინშნა. პენალტი დრესლერმა ზუსტად შეასრულა და "რიდი" კიდევ ერთხელ დაწინაურდა: 2:1.

მასპინძლებმა თამაშს და ანგარიშს მე-60 წუთზე დაუსვეს წერტილი, როცა "რიდის" ნახევარმცველმა სეომ დინამოელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა და თავური დარტყმით საკუთარი გუნდის უპირატესობა დამაჯერებელი გახადა: 3:1.

ხუთიოდე წუთში ამბროზიოს შეეძლო ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება, მაგრამ მისი დარტყმული ავსტრიელთა მეკარემ მოიგერია. ერთ წუთში "დინამო" კიდევ ერთ გოლს გადაურჩა - კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ შეცცლაზე შემოსულმა ვოლფმა ბურთი კარის ძელს მოარტყა. საბოლოოდ მატჩი 3:1 დასრულდა "რიდის" სასარგებლოდ და, შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის გაცილებით უკეთესი შანსი აქვთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ორბურთიანი სხვაობა არ არის ისეთი დეფიციტური, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელი იყოს. განმეორებითი მატჩი 9 ივლისს თბილისში გაიმართება. "დინამომ" ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საჭირო ანგარიშით გაიმარჯვოს და მესამე ეტაპზე გააღწიოს.

ამ შეხვედრაში "დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გრიშიკაშვილი, ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, კობახიძე, გრიგალაშვილი (ჯანაშია, 88'), გიგაური, ხუციშვილი (მახარაძე, 52'), ჩირიკაშვილი, იაშვილი, ბობოხიძე (დვალი, 68').

ბებერი ხარები

ზიდანი ძველია, მაგრამ კარგი.

რაც უფრო მეტი წელი გადის, მით უფრო მეტი გენიოსი ეთხოვება ფეხბურთს. ასე იქნება გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგაც, როცა ერთბაშად რამდენიმე ლიდერი ჩამოკიდებს ბუცებს ლურსმანზე. წამსვლელთა შორის ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა და კიდევ რამდენიმე დიდი მობურთავე იქნება. თუმცა, მანამდე "ბებერი ხარები" ისეთი ძალებით უტევენ, ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე ფეხბურთელსაც რომ შეშურდებათ.

გამოცდილი ვარსკვლავების ტრიუმფალურმა თამაშმა აჩვენა, რომ მათი ტახტიდან ჩამოგდება არც ისე იოლი ამბავი იქნება.

უკანასკნელ ორ შეხვედრაში - ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრებებთან ზინედინ ზიდანმა კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ბებერი ევროპული გვარდია ბრძოლის ველის უბრძოლველად დატოვებას არ აპირებს.

"ნერვები მეშლება, როცა ბებრებს გვეძახიან, - თქვა 34 წლის ზიზუმ ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ, მატჩისა, რომელიც ამ გენიოსმა მარტომ მოიგო, - ჩვენ არ დავბერებულვართ, უბრალოდ სხვა ფეხბურთელებთან შედარებით მეტი გამოცდილება გვაქვს და ვფიქრობ, ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენი ოსტატობა ძალაშია".

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონს რვა წლის წინანდელის გამეორება წელსაც ამოუჭირა გულში. საწადელის მიღწევის შემდეგ კი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაუწყვეტია. ჩემპიონატის დასრულებისთანავე, სავარაუდოდ, მას თანაგუნდელები - ლილიან ტიურამი და ფაბიენ ბარტეზიც მიჰყვებიან უკან. უკეთესად წასვლას ფეხბურთელი ვერც ინატრებდა - მართალია, ზიდანს გულისწადილი ჯერ არ ასრულებია, მაგრამ ბრაზილიელების დამარცხება უკვე საკმარისია, რათა თავაწეულმა დატოვო ნაკრები.

ვეტერანები ამინდს მარტო საფრანგეთის ნაკრებში არ ქმნიან. მიმდინარე მსოფლიოს პირველობა უკანასკნელი შეიძლება გამოდგეს ინგლისელი დევიდ ბექჰემისთვის, იტალიელი ფრანჩესკო ტოტისა და პორტუგალიელი ლუიშ ფიგუსთვის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სამეულმა მაქსიმუმი გაიღო თავისი ნაკრებისთვის. თუმცა, გამოსარჩევი მაინც ლუიშ ფიგუ გახლავთ, რომელმაც ზიდანის დარად, ბოლომდე ჯიგრით იბრძოლა და შედეგად, მისი ნაკრები ნახევარფინალში ითამაშებს.

ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ სამშობლოში მას მუდმივად აკრიტიკებდნენ ცუდი ფიზიკური მომზადების გამო, თუმცა ფიგუს თავდადებულმა თამაშმა ყველაზე ჯაჯღანა კრიტიკოსებიც კი ჩააჩუმა. მიუხედავად იმისა, რომ კრიშტიანუ რონალდუ პორტუგალიური ფეხბურთის მომავალია, მოედანზე მთავარი ფიგურა მაინც 33 წლის ლუიშ ფიგუა. ნაკრების თითოეული ფეხბურთელისთვის კაპიტანი სანიმუშო მაგალითი და საყრდენი ძალა გახლავთ. ასეც უნდა იყოს - ინგლისელებთან მატჩი ლუიშ ფიგუსთვის ხომ 125-ე სანაკრებო გამოდგა.

ნაკრები არ დაუტოვებია, მაგრამ პორტუგალიასთან 52-ე წუთზე მიღებული ტრავმა 31 წლის დევიდ ბექჰემისთვის საბედისწერო გამოდგა. მატჩის შემდეგ ინგლისელთა თვალცრემლიანმა ლიდერმა კაპიტნის სამკლავური მოიხსნა და უარი თქვა მის ტარებაზე. თუმცა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელად კვლავაც რჩება. ბექჰემს, რომელსაც აქამდე 94-ჯერ მოურგია ქვეყნის პირველი გუნდის მაისური, ამ ციფრის გაზრდა ასამდე გადაუწყვეტია.

ფიგუს დარად, მუნდიალის დაწყების წინ, ნაკლები დღე არც დევიდ ბექჰემს დადგომია სამშობლოში. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელთა აწ უკვე ექს-დამრიგებელ სვენ გორან ერიქსონისთვის ბექჰემი შეუცვლელი ფიგურა იყო, ბრიტანული პრესა დღენიადაგ იმას გაჰყვიროდა, რომ 31 წლის კაპიტანი ძირითადში ყოფნას არ იმსახურებდა და შვედს მოედანზე აარონ ლენონის შეყვანას სთხოვდა. მაგრამ "რეალის" ნახევარმცველმა, რომელიც მობილურობით ვერ დაიკვეხნის, ყველას დაუმტკიცა, რომ როცა ბურთი მის ფეხთან, ძალიან საშიში ვინმეა.

სწორედ მისი საჯარიმოს წყალობით აიღო საკუთარი კარი პარაგვაელმა კარლოს გამარამ; სწორედ მისი წყალობით გაიტანა თავისი პირველი სამუნდიალე გოლი პიტერ კრაუჩმა ტრინიდადი და ტობაგოსთან; სწორედ მისმა ზე-გოლმა გაიყვანა ინგლისი მეოთხედფინალში, სადაც პორტუგალიელებთან მატჩში მიღებულმა ტრავმამ იძულებული გახადა მოედანი ნაადრევად დაეტოვებინა. გადაჭრებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ მისი არყოფნის გამო, ახლა ნახევარფინალში პორტუგალია ითამაშებს.

როგორც ინგლისში დევიდ ბექჰემი, ისე იტალიაში ფრანჩესკო ტოტი ან უყვართ, ან ეჯავრებათ. ტურნირის დაწყებამდე საქმეს ისეთი პირი უჭირდა, რომ მთელი იტალია ტრავმირებული ფრანჩესკო ტოტის გამოჯანმრთელებაზე ოცნებობდა. ტოტი გამოჯანმრთელდა, მაგრამ გერმანიაში ტიფოზებსა და მარჩელო ლიპის თავი ვერ მოაწონა და მერდვეფინალში ავსტრალიასთანაც მატჩის დაწყება სკამზე მოუნია.

მსოფლიოს 2002 და ევროპის 2004 წლის ჩემპიონატებზე ჩავარდნის შემდეგ, აპენინებზე ელოდნენ, რომ ტოტი ჭკუას მოუხმობდა და სრულფასოვნად ათამაშდებოდა. ტიფოზთა მოლოდინი ჯერაც გრძელდება, თუმცა ავანსცენაზე იტალიელი თავდამსხმელი ყველაზე საპასუხო მომენტში გამორჩნდა და ავსტრალიელთა კარში გადამწყვეტი პენალტის რეალიზება შეძლო.

მუნდიალის წინ, ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო ჩემპიონატი იქნებოდა. "სკუადრა აძურას" ნახევარფინალში გასვლის შემდეგ "რომას" კაპიტანმა სიამოვნება კიდევ რამდენიმე მატჩით გაიხანგრძლივა.

გიორგი ნემსაძე:

"გადავედით ევროპის ჩემპიონატზე"

მეოთხედფინალებისწინა კომენტარში ვარაუდი გამოვთქვი, რომ ვერც არგენტინა და ვერც ბრაზილია ვერ შეძლებდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებას. ეს მოლოდინი კი გამართლდა, მაგრამ იმას ძნელად წარმოვიდგენდი, თუ ნახევარფინალში ვერცერთი სამხრეთამერიკული გრანდი ვერ გავიდოდა და ნახევარფინალებიდან ევროპა "საშინაო საქმედ" გაიხდიდა მსოფლიო ჩემპიონატს. ამდენად, ძირითადად ევროპა-სამხრეთამერიკის დაპირისპირებას შევეხები. გერმანია-არგენტინის წყვილში გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობდა. ორივე გუნდს ნახევარფინალში გასვლის თანაბარი შანსი ჰქონდა, რაც თამაშმაც დაადასტურა. ჩემი აზრით, ის, რომ არგენტინა ნაადრევად, მეოთხედფინალურ სტადიაზე დაემშვიდობა მსოფლიო ჩემპიონატს, მისი მთავარი მწვრთნელის, პეკერმანის დამსახურებაცაა. როცა გუნდის მთავარი "კოზირი" მისი შემტევი პოტენციალია, აქცენტის იმაზე გაკეთება, რომ პირველ რიგში გოლი არ გაუშვა, ხოლო შეტევაში რა გამოგივა ბედს მიენდო, დიდი შეცდომაა. მეოთხედფინალში გასული გუნდებიდან რომ არგენტინელებს საუკეთესო თავდასხმის ხაზი ჰყავდათ, ამაზე თითქმის ყველა სპეციალისტი თანხმდება. ტევესი, მესი, კრესპო და მათ უკან მოქმედი რიკელმე - ასეთ თავდამსხმელებს ნებისმიერი ანატრებდა. პეკერმანმა კი ჯერ დროს გაასწრო და ნაადრევად მოხსნა თამაშიდან რიკელმე-კრესპოს ტანდემი, შემდეგ ბოლო შანსიც არ გამოიყენა და მესი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. გერმანელებმა კი, როგორც სჩვევიათ, წმინდა გერმანული ხასიათი გამოავლინეს, ნაგებული თამაში შემოატრიალეს და "საფეხბურთო ლატარიის" წყალობით, თუმცა, დამსახურებულად გავიდნენ ნახევარფინალში.

განსაკუთრებული საუბრის თემაა საფრანგეთ-ბრაზილიის დაპირისპირება. ძალიან ბევრი ითქვა და პარალელიც გაკეთდა ამ გუნდების წინა, ისტორიულ შეხვედრებთან. თუმცა, მიმაჩნია, რომ არც 1986 წლის მეოთხედფინალი, არც 1998 წლის ფინალი არაფერ შუაშია. ფრანგებმა რამდენიმე ობიექტური გარემოების გამო მოიგეს. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ბრაზილიის ნაკრებს მეოთხედფინალამდე მეტნაკლებად ტოლ-სწორი მეტოქე არ შეხვედრია და სულ თამაშ-თამაშით, ოფლისმოუდენლად გაისეირნეს მეოთხედფინალის გზაზე, რითაც ირწმუნეს, რომ დაუმარცხებლები არიან. პირველივე მაღალი კლასის გუნდმა, როგორიც საფრანგეთია, ნათელი გახადა ის სისუსტეები და ხარვეზები, რაც "ტეტრა-კამპეონების" თამაშშია. აღმოჩნდა, რომ ბრაზილიის თავდასხმის ხაზი მხოლოდ სახელებია და სხვა არაფერი, რომ რონალდინიო იმ რონალდინიოს აჩრდილიც არ არის, გასული სეზონის პრიმერადივიზიონიდან და ჩემპიონთა ლიგიდან რომ გვახსოვს. არც კარლოს ალბერტო პარეირა ყოფილა იმ დონის მწვრთნელი, სკოლარი რომ სრულფასოვნად შეეცვალა. აი ფრანგებმა კი მართლაც თავის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს ბოლო რვა წლის განმავლობაში. რაც შეეხება ზიდანს, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია და რომ რონალდინიოს ჯერ კიდევ ძალიან ბევრის დამტკიცება სჭირდება, ასეთი ფეხბურთელების რანგში რომ ჩაეწეროს. ერტიუს მხრივ სასიხარულოა, მეორეს მხრივ კი საწყენი ის გარემოება, რომ ზიდანი ფეხბურტს თავს ანებებს. სასიხარულოა იმიტომ, რომ მას საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ მოუწევს თამაში. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ წარმოიდგენია, ჩვენებიდან ვინ შეძლებდა მის შეჩერებას. საწყენი კი იმიტომაა, რომ თბილისში ვერ ვნახავთ ფეხბურთის ამ ცოცხალ ლეგენდას. ასდეა თუ ისე, ფრანგებმა "ბრჭყალები გამოაჩინეს" და თუ მათმა არვ თუ მაღალი პროფესიონალიზმის მქონე მწვრთნელმა არ დააღალატა, სკოლარის და პორტუგალიის ნაკრების მიმართ ჩემი პატივისცემისა და სიმპათიების მიუხედავად, ფინალში ითამაშებენ.

სკოლარიმ კი მართლაც სასწაული მოახდინა - ამ მწვრტნელმა მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ მეთორტმეტე თამაში მოიგო, რეკორდიც დაამყარა და როგორც მთელს მსოფლიოს, ისე ბრაზილიის ფეხბურტის ფედერაციას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ უდიდესი სპეციალისტია. პორტუგალიელების მთავარი კოზირი ფრანგებთან ნახევარფინალურ შეხვედრაში არა ფიგუ, დეკო ან კრიშტიანუ რონალდო იქნებიან, არამედ სწორედ ლუიშ ფილიპე სკოლარი. სწორედ სკოლარის დამსახურებაა, რომ აღიარებული ლიდერების გარეშე პორტუგალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის გამოკვეთილ ფავორიტად მიჩნეული ინგლისის ეროვნული გუნდი დაამარცხა. იტალია რომ ნახევარფინალში ზედმეტი პრობლემების გარეშე გავიდოდა, ესეც საკმაოდ პროგნოზირებადი იყო. უკრაინამ ალბათ მაქსიმუმს მიაღწია და ამ გუნდისგან "სკუადრა აძურას" გამოთიშვა უკვე ფანტასტიკის სფეროდან იქნებოდა. მართალია, იტალია ისეთ შთამბეჭდავ თამაშს ვერ აჩვენებს, მაგრამ გერმანიას, თუნდაც ამ გუნდების დფაპირისპირებათა ტრადიციიდან გამომდინარე, ძალზე გაუჭირდება მისი ძლევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიის ნაკრებს იტალია არცერთ ოფიციალურ შეხვედრაში დამარცხებული არ ჰყავს.

"ოსერის" კარს ბასო დაიცავს

განახლებული სეზონიდან ფრანგული "ოსერის" კარს ნორვეგიის "ვიკინგის" მეკარე ფაბიენ ბასო დაიცავს. ბასომ, რომელსაც 7 წელი აქვს გატარებული მანამდე ოსერულ კლუბში, გუნდთან 2009 წლამდე გააფორმა კონტრაქტი და ახლა ძირითადში ადგილისთვის ბრძოლა ფაბიენ კოოლემთან მოუწევს. "ბედნიერი ვარ, რომ "ოსერის" ხელმძღვანელობამ დააფასა ჩემი "ვიკინგში" უმაღლეს დონეზე თამაში და საფრანგეთში დაბრუნების საშუალება მომცა", - განაცხადა ფაბიენ ბასომ.

ჯელეს ზიდანი ეამა

"ზიდენ ზიდანი მაგიური ფეხბურთელია და ფრანგებმა ბრაზილიის დამარცხება სწორედ მისი წყალობით შეძლეს", - ასე განაცხადა მეოთხედფინალური მატჩის დასრულების შემდეგ ფეხბურთის მეფე პელემ. ჯერ კიდევ მატჩის დაწყების წინ, პელემ საჯაროდ განაცხადა, რომ "ცუდი წინათგრძნობა" ჰქონდა. მით უმეტეს, რომ წარსულიც ხელს უწყობდა - "სამფეროვნებმა" პენტაკამპეონებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამართულ ორ უკანასკნელ შეხვედრაში სძლიეს. "განწყობას იმის გახსენებაც მიფუჭებდა, რომ ბრაზილიელებმა მსოფლიო პირველობის მოგება ევროპაში მხოლოდ ერთხელ შეძლეს", - დაამატა პელემ, რომელმაც ბრაზილიასთან ერთად, 1958 წელს შვედეთში გამართული ჩემპიონატი მოიგო.

ბლანკომ ლავოლპე გააკრიტიკა

ესპანური "მარკას" ცნობით, მექსიკის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა კუატემოკ ბლანკომ, რომელიც გუნდის თავკაცმა რიკარდო ლავოლპემ მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დატოვა, საჯაროდ გააკრიტიკა მთავარი მწვრთნელი. "ნაკრებმა ღირებულს ვერაფერს მიაღწია ეს კი, პირველ რიგში, სენიორ ლავოლპეს "დამსახურებაა". მან დანაპირები ვერ შეასრულა და ამიტომ უნდა წავიდეს, ისევე, როგორც ხელმძღვანელობა. გქონდეს ნამუსი და აღიარეთ, რომ დამარცხდით და ამიტომაც მიდიხართ", - მიმართა ბლანკომ ქვეყნსი პირველი გუნდის ხელმძღვანელობას.

ბრიუკნერს დარჩენას სთხოვენ

ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდის თავკაც კარელ ბრიუკნერს თანამდებობაზე დარჩენა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატამდე სთხოვა. "კარელ ბრიუკნერს ხვალ, პრაღაში შევხვდებით და ერთად განვიხილავთ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისი დარჩენის საკითხს. მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხისა, გვინდა, რომ ეს სპეციალისტი გუნდში კიდევ ორი წლით დარჩეს", - განაცხადა ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლასტიმილ კოსტალმა.

რა მოხდა ბერლინში?

არგენტინა-გერმანიის მეოთხედფინალური მატჩის დასრულებისთანავე მინდორზე ჩხუბი ატყდა. გერმანელი ფეხბურთელების თქმით ამ ჩხუბის ინიციატორები არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები იყვნენ.

"არ მსურს დეტალებზე საუბარი, ვინაიდან ეს უხერხულად მეჩვენება, ერთს კი ვიტყვი, არგენტინელები პენალტების სერიის წაგების შემდეგ უღირსად მოიქცნენ", - ამბობს ტიმ ბოროვსკი. აღსანიშნავია, რომ ლუბოშ მიხელმა კუფრეს უჩვენა წითელი ბარათი მაშინ, როდესაც პენალტების სერია უკვე დასრულებული იყო. ფიფას დისციპლინარული კომიტეტი ამ ინციდენტის გამოძიებას იწყებს.

ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ თანამდებობა დაატოვებინეს ბერლინის სტადიონის დიქტორს, რომელმაც თამაშის დროს გულშემატკივრებს მოუწოდა, რომ გერმანიის ნაკრებისთვის დაეჭირათ მხარი, არადა ფიფას მოთხოვნის თანახმად დიქტორი ნეიტრალური უნდა იყოს.

ნეტავ რას ნერვიულობდნენ ბრაზილიელები

თურმე ბრაზილიის ნაკრები ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე განწირული იყო და გულშემატკივრებს არც კი უნდა ენერვიულათ. ცნობილმა ბრაზილიელმა წინასწარმეტყველმა და მედიუმმა რობერიუ ალეშანდრე ბავალონემ პენტაკამპიონების კრახი ჯერ კიდევ მერვედფინალამდე იწინასწარმეტყველა.

"ბრაზილია ვერ შეძლებს ჩემპიონის ტიტულის მოგებას. ასტრალი ამჯერად ბრაზილიის ნაკრების სასარგებლოდ არ არის განლაგებული", - უთქვამს მედიუმს, რომელიც თავის დროზე ვანდერლეი ლუქსემბურგოსთან მუშაობდა, ერთ-ერთ ბრაზილიურ ტელეშოუში.

მარადონა გაანაწყენეს

ალბათ ტელემაყურებლებს გაუკვირდათ, როდესაც არგენტინა-გერმანიის მეოთხედფინალური მატჩის ტელეტრანსლაციის დროს დიგო მარადონა არც ერთხელ არ მოხვდა კადრში. მეოთხედფინალამდე დიეგო თავის მეგობრებთან ერთად არგენტინის ნაკრების არც ერთ მატჩს არ აცდენდა და არგენტინელებიც იგებდნენ. გერმანია-არგენტინის მატჩზე კი დიეგო ტრიბუნებზე არ იყო. საქმე ისაა, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა მარადონას ბილეთები არ მისცეს, უფრო სწორად, საკმარისი რაოდენობის ბილეთები. ყოველ შეხვედრაზე დიეგოს ხუთ ბილეთს აძლევდნენ ვიპ ლოჟაში, ამჯერად კი მუნდიალის ორგანიზატორებმა დიეგოს ერთ-ერთ მეგობარს ბილეთი არ მისცეს, რის გამოც მარადონამ საერთოდ უარი თქვა ბილეთებზე. ამრიგად გერმანელებმა არგენტინის ნაკრები ნომერ პირველი გულშემატკივრის და თილისმის გარეშე დატოვეს. შედეგი კი ყველამ თავად იხილა.

პარეირა გიჟად შერაცხეს

ბრაზილია ტრაურშია. ამ ქვეყნის ნაკრებმა ისე დაასრულა მუნდიალი, რომ საკუთარი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოავლინა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ ბრაზილიელთა გულშემატკივრებს. პენტაკამპიონების ფანები ყველაფერში კარლოს ალბერტო პარეირას ადანაშაულებენ.

"მთელი ტურნირის განმავლობაში ბრაზილიამ ერთი ნორმალური მატჩი აჩვენა - იაპონიასთან დაპირისპირებაში - იმ შეხვედრაში მინდორზე ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ და შედეგიც სახეზეა. რატომ არ ითამაშა პარეირამ იმ სქემით, რომელმაც გუნდს წარმატება მოუტანა. რობინიო და სისინიო მინდორზე თავიდანვე უნდა ყოფილიყვნენ, ეს ყველას ესმის პარაირას გარდა, ეს კაცი მგონი საერთოდ გადაირია, ბრაზილიის ნაკრები პარეირამ დაღუპა", - უთხრა ერთ-ერთმა ფანმა ბრაზილიური ტელეკომპანიის ჟურნალისტს.

გერმანია კლინსმანს არ დათმობს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მესვეურებს მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე სურთ იურგენ კლინსმანთან ახალი კონტრაქტის გაფორმება. იურგენ კლინსმანი კი კვლავ თავისას გაიძახის, დასრულდეს მუნდიალი და კონტრაქტზე შემდეგ ვილაპარაკოთო. საბოლოო პასუხს კლინსმანი გერმანიის ფეხბურთის კავშირის მესვეურებს 16 აგვისტოს მისცემს.

ნესტა ნახევარფინალსაც გამოტოვებს

იტალიის ნაკრების მცველმა ალესანდრო ნესტამ ტრავმის გამო უკვე გამოტოვა თავისი გუნდის ბოლო ორი შეხვედრა. იტალიელები იმედოვნებდნენ, რომ ნესტა ნახევარფინალისთვის მაინც დაუბრუნდებოდა გუნდს, თუმცა როგორც ჩანს, ალესანდრო ვერც გერმანელების წინააღმდეგ ითამაშებს.

დამნაშავე ერიქსონია

ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი ტელეკომპანია ბი ბი სის მიმომხილველმა გარი ლინეკერმა ინგლისის ნაკრების მარცხში მთლიანად სვენ გორან ერიქსონი დაადანაშაულა.

"ჩვენი ნაკრების წარუმატებლობაში მხოლოდ ერიქსონია დამნაშავე. იგი მუნდიალზე ფაქტობრივად ფორვარდის გარეშე გაემგზავრა, ასე მოგება კი შეუძლებელია", - აღნიშნა ლინეკერმა.

ფიფა გერმანელებს არ დასჯის

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ბუნდესნაკრების ფეხბურთელები მეოთხედფინალში არგენტინასთან მატჩის შემდგომ მომხდარი ინციდენტის გამო არ დაისჯებიან. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ნაკრებმა არგენტინელებს პენალტების სერიაში სძლია, რომლის დასრულებისთანავე არგენტინელმა ფეხბურთელებმა ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს.

თუმცა, ფიფა ძალაში ტოვებს არგენტინელების - ლეანდრო კუფრესა და მაქსი როდრიგესის, ასევე ორივე ნაკრების ტექნიკური პერსონალის მიმართ გასატარებელ სანქციებსა და ჯარიმებს.

ფიფას წარმომადგენლის მარკუს ციგლერის განცხადებით, ზემოხსენებულ ბრძოლაში ყველაზე აქტიური მაინც მაქსი როდრიგესი იყო: "აშკარა იყო, რომ როდრიგესი თავს დაესხა გერმანიის ნაკრების მეშვიდე ნომერ ბასტიან შვაინშტაიგერს. დისციპლინარული კომიტეტი ჯერაც განიხილავს ამ ეპიზოდს, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ გერმანელი ფეხბურთელები არ დაისჯებიან".

ტულონში წაიბურთავებს

ტანა უმანგა ტულონში ითამაშებს.

ხუთშაბათს გაცხადდა, რომ ზელანდიური რაგბის სახე, დალალა ტანა უმანგა საფრანგეთის ტულონში დროებით წაიმუშავებს და ჯერარნახულად მსუყე თანხას მიიღებს. შეჯიბრის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე დადგინდა ჰაინეკენის თასის პულები, ლისაბონის უნივერსიტეტის სტუდ-ქალაქში კი ირბ-ის ახალი წამოწყება, მორიგი "ერთა თასი" არგენტინის პუმების მარქაფის გამარჯვებით დასრულდა.

ველინგტონელი შუამარბი უმანგა 33 წლისაა. ეროვნულ ნაკრებ ოლ ბლექსიდან იგი მორჭმული, დიდების მწვერვალზე, ბრიტანეთის ლომების მოსრვის, სამი ერის მოგებისა და ბრიტანული სლემის გახერხების შემდეგ წავიდა, მაგრამ მშობლიურ ჰარიკენზში კი გააგრძელა რაგბობა და გუნდი პირველ ზე 14-ზე ფინალშიც გაიყვანა.

ტანა "ეარ ნიუ ზილენდის თასზეც" (ფორმატ და სახელ შეცვლილი პროვინციათა პირველობა) აპირებს "ველინგტონ ლაიონზში" თამაშს. ეს შეჯიბრი ივლისის ბოლოს იწყება და ოქტომბრის შუაწელში სრულდება, საგაისო ზე 14 კი თებერვალშიღა გაჩაღდება. ჰოდა, დიდი ოჯახის პატრონი რომ ტყვილად არ მოცდეს და სიბერეც დაიტკბოს, ცოტა ხნით გარემოს შეიცვლის და საფრანგეთის პრო დ2-ში გავარდნილ ტულონში წაიბურთავებს.

ბორჯღალოსანი მარბიელის, გია ლაბაძის ტულონი დიდი ტრადიციის მქონე კლუბია და 1990-იან წლებში ჩემპიონიც კი ყოფილა, მაგრამ მერე ფინანსური დარღვევების გამო დაექვეითეს. გუნდი გასულ სეზონში ელიტაში დაბრუნდა, მაგრამ ვერ ივარგა, 26 მატჩიდან ოდენ სამი მოიგო და ისევ გავარდა. მაშინ ტულონი ახალმა პატრონებმა, ძირით არაბმა მურად ბუჯელალმა და სტეფან ლელიევრმა ჩაიბარეს და მიზნად ტოპ 14-ში უმაღლესი აღმასვლა დაუსახეს.

ბუჯელალსა და ლელიევრს ფული ჩეჩქივითა აქვთ. ტანა ტულონში მაქსიმუმ 12 მატჩს გამართავს, მაგრამ 350 ათას ევროს კი მიითვლის. პატრონები კივ ვარსკვლავს საკუთარი ჯიბიდან აფინანსებენ და ამითი კიდეც ამაყობენ, რადგან ეშხიანი უმანგა პლანეტაზე ყველაზე ცნობად მორაგბედ მიაჩნიათ და მართალნიც არიან. აკი მსოფლიო რაგბის ერთადერთ ქართულ საითსაც ბანერად ტანას ხატი უზის!

წილი ცხრა ბიჭად ყარეს

ტულონის უფროსობა უმანგას კვალად ინგლისელი ფრთის, დან ლუგერისა და ფიჯელი პივოტის, სერემაია მბაის გადაბირებასაც აპირებს. რაც შეეხება უმანგას, იგი ძირით სამოელია; მეტრიკაში სახელად "ჯონათან ფალეფასა" უწერია; ტანად 187 სანტიმეტრია და 101 კილოს იწონის; რიგით 961-ე ოლ ბლექია და კივთა 59-ე კაპიტანია.

ტანას მოუგროვებია 74 კეპი (59 გამარჯვება - 14 მარცხი, 1 ფრე) და გაუტანია 37 ლელო (ერთი საჯარიმო); ნაკრებისთვის 21-ჯერ უყოჩია (18-3); ზე 12/14-ში გაუმართავს 110 მატჩი (ამ მაჩვენებლით მეხუთეა) და გაუტანია 45 ლელო (აქაც მეხუთეა), ზელანდიურ რაგბში გაწეული ამაგისთვის კი ინგლისის დედოფალმა ივნისის დამდეგს, საკუთარ დღეობაზე გამოქვეყნებულ ნუსხაში, ვეტერანი "კივეთის ღირსების ორდენში" ოფიცრად ჩარიცხა.

ტულონი ფრანგული ელიტიდან რომ გავარდა, ევროპაში არათუ ზეპურ, 24-გუნდა "ჰაინეკენზე" ვერ მოხვდა, არამედ უმცროსი, 20-გუნდა "გარდამავალი თასის" მიღმაც დარჩა. ჰაინეკენის მე-12 სეზონის წილისყრა ფინალის ბინაზე, თვიქნემში მოეწყო.

დასში თავიდანვე გამოარჩიეს ექვსივე ქვეყნის ჯილა (სეილი, ალსთერი, ედინბურგი, კარდიფი, ტრევიზო, ბიარიცი) და პულებში სათითაოდ განთესეს, შემდეგ რვა ბიჯზე კი მონაწილეებს ისე უყარეს წილი, რომ თანამემამულენი ერთად არ მოხვედრილიყვნენ (ეს შეზღუდვა არ შეხებია მეშვიდე ფრანგულ კლუბს, კასტრს, ირლანდიის ჯილა კი "კელტების ლიგის" ჩემპიონი ალსთერი იყო და არა ჰაინეკენის მფლობელი მანსთერი).

ჰაინეკენის თასი 2007

პირველი პული: ბენეტონ ტრევიზო [იტა], პერპინიანი [სფრ], ლონდონ ვოსფსი [ინგ], კასტრი [სფრ]

მეორე: ედინბურგ განერზი [შტლ], აჟენი [სფრ], გლოსთერი [ინგ], ლენსთერ ლაიონზი [დუბლინი ირლ]

მესამე: სეილ შარქსი [მანჩესტერი ინგ], სტად ფრანსეზი [პარიზი სფრ], გიალ კალვიზანო [იტა], ოსფრიზი [ნისი სვონზი უელ]

მეოთხე: კარდიფ ბლუზი [უელ], ბურგუენი [სფრ], ლესთერ თაიგერზი [ინგ], მანსთერი [ლიმრიქი ქორქი ირლ]

მეხუთე: ალსთერი [ბელფასტი ირლ], ტულუზი [სფრ], ლონდონ აირიში [ინგ], ჰლანეჰლი სქარლეთსი [უელ]

მეექვსე: ბიარიც პეი ბასკი [სფრ], ნორსჰემპტონ სეინთსი [ინგ], ოვერმაკ პარმა [იტა], ბორდერ რეივერზი [გალაშილსი შტლ]

პულური რაუნდები: 20-22/10, 27-29/10; 8-10/12, 15-17/12; 12-14/01, 19-21/01

მეოთხედფინალი 30/03-1/04; ნახევარფინალი 21-22/04; ფინალი 19-20/05 ლონდონი [თვიქნემი]

ირბ-მა კონკურენტები გაგვიკაჟა

მსოფლიო რაგბის მამებს საზრიანობა რომ ძაან აკლიათ, ახალ საკონტინენტთაშორისო შეჯიბრსაც, ევროპულის დარად, "ერთა თასი" უწოდეს. მასში პირველი დონის ორი ქვეყნის, არგენტინისა და იტალიის ა (მეორე) ნაკრებები ერთ წრედ გაეჯიბრნენ მესამე დონის ქვეყნების, პორტუგალიისა და რუსეთის პირველ გუნდებს.

ევროპის ერთა თასელებმა რიგიანი შთაბეჭდილება დატოვეს. პორტუგალიას მომავალ მეტოქე რუსეთთან (გუნდები მსოფლიო თასის გადამწყვეტ შესარჩევში ლისაბონშივე, 28 ოქტომბერს შეიბმებიან) იტალიელმა რეფმა, კარლო დამასკომაც ვეღარ უშველა და შინ 20 ქულით დამარცხდა. რუსებმა (გრაჩოვი, გარბუზოვი, ტრიშინი) სამი ლელო მეორე მეოთხედში გაიტანეს, ბოლო ორი კი თამაშის ბოლოს, როცა ჩამორჩენილი ლობუში ამჩატდა და ზედიზედ შეცდა.

მასპინძლებმა შემდეგი მატჩები უკეთ ჩაატარეს. ისინი იტალიის რეზერვს 17 ქულით უგებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ფრეს დაჯერდნენ და არგენტინასაც მეორე ტაიმშიღა ჩამორჩნენ. ერთი სიტყვით, ბორჯღალოსანთა კონკურენტები ირბ-ის მიერ დაფინანსებულ ნაღდ ტურნირში გაკაჟდნენ, მაშინ როცა ჩვენებს მსოფლიო რაგბის ოღრამშა ხელისუფლებმა წყალობად ოდენ იაპონიის უსარგებლო მინი-ტურნე და ქარაფშუტა ბარბაროსებთან ბურთაობა გამოუწერეს.

ირბ-ის ერთა თასი

პორტუგალია - რუსეთი	17:37
არგენტინა"ა - იტალია"ა	26:11
პორტუგალია - იტალია"ა	26:26
რუსეთი - არგენტინა"ა	6:64
იტალია"ა - რუსეთი	32:29
პორტუგალია - არგენტინა"ა	19:24

მასალა მომზადებულია საიტზე www.rugby.ge

ნადალმა აგასის ოცნება მოკლა

ვაჟები

რაფაელ ნადალი - ანდრე აგასი	7:6,6:2,6:4
ივან ლუბიჩიჩი - დმიტრი ტურსუნოვი	7:5,6:4,1:6,6:7,2:6
დავიდ ფერერი - ფერნანდო გონსალესი	4:6,2:6,6:2,6:3,6:4
ლეიტონ ჰიუიტი - ოლივიე როში	6:1,6:4,6:4
ირაკლი ლაბაძე - მარდი ფიში	6:2 (ფიშმა თამაში შეწყვიტა)
იარკო ნეიმინენი - ფილიპ კოლჩბერგერი	1:6,6:2,6:3,7:6
მარიო ანჩიჩი - სტანისლავ ვავრინკა	7:6,6:7,6:1,6:3
მარკო ბაგდატისი - სებასტიან გროჯანი	4:6,6:4,6:4,6:1
ენდი მიურეი - ენდი როდიკი	7:6, 6:4,6:4

ქალები

ანა ივანოვიჩი - დინარა საფინა	3:6,7:6,6:1
ანასტასია მისკინა - ანაბელ მედინა გარიგესი	6:3,6:4
შენონ პერი - სიბილ ბამერი	7:5,6:3
ელენა ლიხოვცევა - ელენა დემენტიევა	5:7,3:6
ფლავია პენეტა - შუაუ პენგი	6:2,6:3
ამელი მაურესმო - ნიკოლ პრატი	6:1,6:2
იანა იანკოვიჩი - ვენუს უილიამსი	7:6,4:6,6:4
მარია შარაპოვა - ემი ფრეიზერი	6:3,6:2

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინ უიმბლდონის ტურნირზე უქმე დღე იყო. ჩოგბურთელები ისვენებდენ. შაბათს კი რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა. პირველ რიგში, ცხადია, ანდრე აგასისა და რაფაელ ნადალის დაპირისპირებაზე უნდა ვთქვათ. მამათა და შვილთა ბრძოლაში ახალგაზრდობამ გაიმარჯვა. ნადალმა აგასის მაღალ ნოტზე კარიერის დასრულების საშუალება არ მისცა. ესპანელმა ვუნდერკინდმა უშანსოდ დატოვა უიმბლდონის არაერთგზის გამარჯვებული და გათამაშების მეოთხე წრეში გავიდა. ქვემოთ რაფაელ ნადალის მცირე ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით სხვა მატჩებზეც ვთქვათ. კერძოდ, აღსანიშნავია ლეიტონ ჰიუიტის დამაჯერებელი გამარჯვება.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, შეიძლება ითქვას, რომ აქ პირველი სენსაცია დაფიქსირდა. იანა იანკოვიჩმა შეძლო ვენუს უილიამსის დამარცხება და უიმბლდონის ტურნირს მისი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი გამოთიშა.

ახლა კი ნადალის ინტერვიუ, მით უმეტეს, რომ რაფაელი დღეს ქართველ ირაკლი ლაბაძეს ეთამაშება.

- დღეს კარგად ითამაშეთ. კმაყოფილი ხართ?

- რა თქმა უნდა.

- თამაშის რიტმი სწრაფად იპოვეთ?

- რას გულისხმობთ?

- კორტზე კარგად მოძრაობდით და რიტმიც საკუთარი სურვილით წარმართეთ.

- გეთანხმებით, მართლაც ასე იყო. თუმცა, დასაწყისში კარგად ნამდვილად არ მითამაშია. აგასი კი მშვენივრად გამოიყურებოდა. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, რომ წავაგებდი. თუმცა შემდეგ ჩაწოდება გამომივიდა და ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მე მინდოდა.

- ახლა ალბათ აღარ გაგიჭირდებათ უიმბლდონზე წარმატება.

- მე ასე ვერ ვიტყოდი. უიმბლდონზე თამაში ყოველთვის მიჭირდა. ახლა უკვე ლაბაძესთან მატჩზე ვფიქრობ. ის ძალიან კარგი ჩოგბურთელია, განსაკუთრებით ბალახის კორტზე აქვს ძლიერი მოწოდება და მიმაჩნია, რომ ჩემთვის სახიფათო მეტოქეა. ძალიან გამიჭირდება, თუმცა, დღევანდელმა გამარჯვებამ საკუთარი ძალების რწმენა შემმატა. დღეს აშკარად კარგად ვითამაშე. ახლა ცოტას დავისვენებ და ლაბაძესთან სათამაშოდ მზად ვიქნები.

- რა გითხრათ აგასიმ მატჩის შემდეგ?

- განსაკუთრებული არაფერი, მომილოცა და წარმატება მისურვა. მე კი ვუთხარი, რომ ის საუკეთესოა.

- კვირას დასვენების დღე გაქვთ, რას გააკეთებთ?

- კვირამდე ჯერ კიდევ არის დრო. დღეს ბრაზილია-საფრანგეთის მეოთხედფინალს ვუყურებ. მერე დავისვენებ. კვირას 45 წუთს ვივარჯიშებ, შემდეგ კი არ ვიცი, ცოტას გავერთობი.